ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

27 იანვრიდან!
ვფ[ფქბ სფჯ,ფ4+
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“
მე-2 ტომი
100 გამორჩეილი მხედართმთავარი
წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი




jhif,fsb7 #) bfydfhb7 @)!@ | 124 (5714) | afcb5 #) stshb

# ეკა ბესელია: ივანიშვილის გარემოცვა ხელისუფლების აგენტებით გაივსო!“



გვ.2

„საპარლამენტო არჩევნებს აუცილებლად მოვიგებთ“

## შალვა ოგბაიძე: ასპინძა გაუდაბნოვდება, ბათუმი და მესტია დაიტბორება!“

გვ. 3



## ადა მარშანია: ხელისუფლებას სანდრო გირგვლიანის მკვლელობა არ შერჩება!“

სამართალს ვერავინ გაექცევა



გვ. 4

## ამომრჩევლებს 3-3 წლით დააპატიმრება ელით!

გვ. 5





გვ. 4

## მინდია გულუა: „ეროვნული თანხმობა და სამართლიანობის აღდგენა ქვეყნის სულიერი ერთობისა და ტერიტორიული მთლიანობის საფუძველი უნდა გახდეს“

## ჭიოევა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ფიცს 10 თებერვალს დადებს



გვ.3

ცხინვალი ისევ სამოქალაქო ომის ზღვარზეა



## კახა კუკავა: ივანიშვილს მთელი ოპოზიცია უნდა გაეერთიანებინა“

როდის გამოვა ოპოზიცია ქუჩაში

გვ. 7

ვფ[ფქბ სფჯ,ფ4+
ფვეყლცტყბ
* კფჰბ
!* ბფყდჰბლფყ




ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 აფხაზეთში ქართველი მღვდელმონაზვნის მოძებნას აფხაზი სასულიერო პირები ცდილობენ

5 ეკატერინა ხვედელიძე და ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტისთვის დაკისრებულ 100 ლარს ფონდ „სამართლიანობაში“ შეიტანენ

6 გაუზრდიან თუ არა ვეტერანებს პენსიას?

5 პატიმარ ქალთა ერთი ჯგუფი უვადო შიმშილობას იწყებს

# ეკა ბესელია: ივანიშვილის გარემოცვა ხელისუფლების აგენტებით გაივსო!“

## „საპარლამენტო არჩევნებს აუცილებლად მოვიგებთ“

შორენა კოწოწაშვილი

**არის თუ არა კონტროლის პალატა პოლიტიკური ინსტრუმენტი ხელისუფლების ხელში და ვინ რა ფორმით ცდილობს ივანიშვილის კარზე თავის დამკვიდრებას? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ბიძინა ივანიშვილის ადვოკატ ეკა ბესელიასთან.**

***— ქალბატონო ეკა, როგორ შეაფასებდით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს და ბიძინა ივანიშვილისა და მისი კოალიციის მისამართით გავრცელებულ ბრალდებებს?***

— ხელისუფლებამ დეკემბრის ბოლოს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ კანონთა კრებული მიიღო და იანვრიდან შეუდგა ამ უსამართლო კანონებით ბრძოლას პოლიტიკური ოპონენტის წინააღმდეგ. კონტროლის პალატა გამოყენებულია, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი და, სამწუხაროდ, ეს უწყება შეუერთდა პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოს რიგს, რომელიც უკვე დიდი ხანია პოლიტიკურ იარაღად არის ქცეული ნაციონალური მოძრაობის ხელში. ყველა ბრალდება, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ან ,,ქართული ოცნების“ წინააღმდეგ არის მიმართული, მერწმუნეთ, მოკლებულია სამართლებრივ ლოგიკას, დასაბუთებასა და სინამდვილეს. რომელიმე სამხილი ან ბრალდება თუ მოგისმენიათ ხელისუფლების მხრიდან, გარდა ლანძღვისა, პროპაგანდისა და ჭორაობისა? ნაციონალურმა მოძრაობამ ქართული პოლიტიკა დაიმსგავსა და საკუთარი მორალითა და ფასეულობებით გააჯერა. მათ სურთ, ქართველი ხალხის გემოვნება ამ უწესობის მისაღებად მომართონ, რაც მათ დაამკვიდრეს. მაგრამ ისინი ორგანულად უცხონი დარჩნენ უმრავლესობისთვის. ბიძინა ივანიშვილი სრულიად ახალი მოვლენა გახლავთ, რომელიც ქართული ტრადიციებისა და ფასეულობების მატარებელია.

***— ოპოზიციური ფლანგიდან კეთდება განცხადებები, რომ „ქართულ ოცნებაში“რესპუბლიკელებისა და ალასანიას მხრიდან გარკვეული ფიგურების თუ ოპოზიციონერების დაბლოკვა ხდება, ანუ გარკვეულ ადამიანებს „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანებაზე უარს ეუბნებიან. სწორედ აქედან გამომდინარე გია ბურჯანაძემ განაცხადა: რა განსხვავებაა იმ ძალასა და ხელისუფლებას შორის, რომელიც ამბობს, შენ უნდა იყო ამ მოძრაობაში და შენ არაო. ეთანხმებით გია ბურჯანაძეს?***

— გია ბურჯანაძეს დიდ პატივს ვცემ. განცდა, რომ ვისაც გული ერჩის, ის უნდა იყოს თანამონაწილე ამ პოლიტიკური ბრძოლისა, სრულიად ბუნებრივია და მართლაც ყველას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სამშობლოს რიგით ჯარისკაცად საკუთარი წვლილით იყოს ჩართული ამ პროცესში. ამას არც არავინ არავის უკრძალავს და არ ვფიქრობ, რომ ამისთვის ვინმეს ნებართვა იყოს საჭირო. ვფიქრობ, ჩვენ, ვინც ეს წლები დაუღლელად და შეუსვენებლად ვიბრძვით არსებული რეჟიმის შესაცვლელად, ნებართვა ვინმესგან არ გვჭირდება. ამიტომ ყველას ადგილია ამ დიდ სივრცეში და ეს სივრცე მხოლოდ მთაწმინდის ბიზნეს-ცენტრი არ არის. ბიძინა ივანიშვილისთვის ყველა, ვისაც სამშობლოსთვის გული უცემს, ღირებულია. ეს მისგან არაერთხელ მომისმენია. ალბათ, დროა საჭირო, რომ დიდი ერთობა შეიქმნას, რომელსაც სამშობლოს იდეა და სამართლიანობა გააერთიანებს. ესაა ქართული ოცნებაც. ერთობა უნდა იყოს მყარი და საიმედო. მე ბევრი რამ ვნახე ამ 4 წლის განმავლობაში, ბევრი გულისტკენა, ბევრ რამეს ვატარებ ჩემში, როგორც საიდუმლოს, რომელიც გამოცდილებაცაა და ვხედავ, რომ გადამწყვეტ ეტაპზე ძალიან მცირედნი ახერხებენ, იყვნენ პრინციპულნი, მართალნი და ულალატონი. ქართული სენია, ყველაფერი გვინდა სწრაფად დ სხვისი ხელით. ჩვენმა წინაპარმა თავად მოიპოვა, რაც გადარჩა და ჩვენი ვალია, ეს მომავალ თაობებს გადავცეთ — გამთლიანებული სამშობლო.



ეკა ბესელია

***— ნანა დევდარიანის განცხადებებს როგორ შეაფასებდით? მართლაც ნაკლებად იგრძნობა „ქართულ ოცნებაში“ არჩევნებისადმი მზადება?***

— არჩევნებისთვის მზადება ახლა კი არა, პირველივე თვეებიდან დაიწყო, თუმცა, შეიძლება, ვინმეს აქვს განცდა, რომ ამ მოკლე დროში მეტი შეიძლებოდა. რთულია, როდესაც ახალი დიდი პოლიტიკური ძალა შენდება, სწრაფად და უშეცდომოდ გააკეთო ყველაფერი. ბატონი ბიძინა თავად არის ჩართული მთელ პროცესში და პარტნიორებთან ერთად ყველა საკითხის გავლა მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე მაშინ, როცა მარტო იღებ გადაწყვეტილებებს. გულწრფელად ვფიქრობ, თუ რამ არ მოგწონს, აჯობებს, პირადად და გუნდში თქვა ეს, ვიდრე ამ ფორმით. როდესაც მედიასივრცე მონოპოლიზებულია ნაციონალური მოძრაობის მიერ, ფაქტია, ხელისუფლება ასეთ განცხადებებს მსუყე ლუკმად გამოიყენებს. როდესაც კონტროლირებადი მედია გიხსნის სივრცეს კრიტიკისთვის, ხომ ფაქტია, ეს რატომ კეთდება? ამიტომ მეტი სიფრთხილე გვმართებს. მე ყოველთვის სხვაზე მეტი მქონდა სასაყვედურო ამ წლების განმავლობაში და რატომ სხვაზე მეტი, ეს მათაც იციან, ვინც იყო ჩართული პროცესში. მაგრამ, საჯაროდ თქმას ვარჩიე, შიგნით, ღიად და პირდაპირ მეთქვა. ყოველთვის ასე ვიქცეოდი და ვფიქრობ, სწორი იყო. ჩვენ რომ ვცხოვრობდეთ ნორმალურ, დემოკრატიულ, თანაბარი კონკურენციის პირობებში, ბუნებრივია, ყველა საკითხზე შეიძლება ისაუბრო საჯაროდ, მაგრამ, როცა ჩვენთვის მედიის სივრცეში მხოლოდ პატარა სარკმელია და მთელი პროპაგანდისტული სახელისუფლებო მანქანა გიპირისპირდება, გვმართებს, ვიფიქროთ იმ ხალხზე, რომელიც ამ მანქანის მსხვერპლია. ხშირად მე დავზარალებულვარ პიროვნულად დუმილით, მაგრამ ეს საქმისთვის ნამდვილად ჯობდა. არჩევნებისთვის მზადება ნამდვილად მიდის. შეცდომას არ უშვებს ის, ვინც არაფერს აკეთებს.

***— რატომ არის ივანიშვილის გუნდი დარწმუნებული, რომ ამ საარჩევნო კანონმდებლობითაც მოიგებს არჩევნებს? არის თუ არა ეს კოდექსი უარესი წინაზე?***

— საარჩევნო კოდექსი მართლაც გაუარესდა და საკანონმდებლო ორგანო მთლიანად ნაციონალური მოძრაობის იარაღად იქცა. უსამართლო კოდექსია და ხელისუფლების ხელში კიდევ უფრო სახიფათოდ გადაიქცევა არჩევნების პროცესში. მაგრამ, ერთი მხრივ, უნდა ვიბრძოლოთ საარჩევნო კოდექსის შესაცვლელად, მეორე მხრივ, უნდა მოვიგოთ ეს საპარლამენტო არჩევნები, მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა. 2008 წლის იანვარში ეს ერთხელ უკვე შევძელით თბილისში და ხელისუფლების გაყალბებამაც კი ვერ დაამარცხა ქართველი ხალხი. ასე უნდა მოხდეს წელსაც. ამ არჩევნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

***— ივანიშვილმა ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა, მოქალაქეობის ჩამორთმევის შემდეგ ვაიძულეთ ხელისუფლება, სამართლებრივ მინდორზე გადმოსულიყოო. ,,სამართლიანი“ ხელისუფლების ნაბიჯები იმავე კონტროლის პალატის საქმიანობიდან გამომდინარეობს?***

— ხელისუფლება ივანიშვილს წესების გარეშე ებრძვის. ებრძვის ყველა დაუშვებელი ხერხით და ამითაც უნდა მივხდეთ, რომ ხელისუფლება სუსტია. ძლიერები ასე არ იქცევიან. ამიტომ ჩვენი მთავარი ძალა, სიმართლე, იმ მახვილად უნდა ვაქციოთ, რომელიც ბოროტებას ყოველთვის ერევა. კონტროლის პალატაზე გითხარით, რომ, სამწუხაროდ, ნაცვლად იმისა, აკონტროლოს, სად მიდის ჩვენი ფული, მოსახლეობის ფული, როგორ იხარჯება, როგორ ხარჯავს მას გზების დეპარტამენტი და რამდენი ასეული მილიონი მოიპარა უკვე, როგორ იხარჯება ჯარში, პოლიციაში, პროკურატურაში, ჯანდაცვაში, დევნილთა სამინისტროში, ნაციონალურ მოძრაობაში, ამის ნაცვლად კონტროლის პალატა ამჟამად მხოლოდ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მუშაობს. ჩვენთვის შეიქმნა სპეციალური საპროკურორო დეპარტამენტი და უკვე დაიწყო თავდასხმა ამ უწყებამ. ეს ისევე მარცხით დასრულდება, როგორც პრეზიდენტ სააკაშვილის სასამართლო, რომელსაც მოვუგეთ ჩვენ ეკატერინა ხვედელიძის საქმეში; ისევე მარცხით, როგორც „ქართუ ბანკის“ მიერ ფულის დაბრუნების შემთხვევაში... და საერთოდ, წინ გაიხედეთ, ბატონებო, ვერ ხედავთ, რომ სხვა მოცემულობაა დღეს და გუშინდელი დღეს აღარ გაგივათ.

***— სწორედ კონტროლის პალატის მეშვეობით განხორციელდება ზეწოლისა და ფინანსური წნეხის ძირითადი დარტყმები?***

— დიახ, ასე იქნება, მაგრამ ეს მცდელობა დაამცრობს და დააკნინებს კონტროლის პალატას და მისი ავტორიტეტი იქნება ისეთივე, როგორც აქვს დღეს სასამართლოს, რომლის მიმართ მოსახლეობის ნდობა, ფაქტობრივად, არ არის. ნახეთ ბოლო კვლევები, არის ის, რასაც თავის თავს უწერს კოტე კუბლაშვილი, არამედ, ის კვლევა, რომელიც ამერიკულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „უესაიდმა“ ჩაატარა სწორედ რამდენიმე დღის წინ.

***— კონსერვატორების შეფასებებში გამოიკვეთა, თუ ყველა ზედმიწევნით შევასრულებთ იმ გეგმებს, რომლებიც ივანიშვილის ფლანგის მიერ არის გაწერილი, არჩენებს მოვიგებთო. ძნელი შესასრულებელია ეს გეგმები? ფაქტია, ხელისუფლებას ივანიშვილის გუნდში ჰყავს მსტოვრები, თორემ ამდენი ინფორმაცია არ გამოჟონავდა. ამ მსტოვრების პირობებში გაძნელდება წინასწარ გაწერილი გეგმებით მუშაობა?***

— საპარლამენტო არჩევნები უნდა მოვიგოთ. ეს არის ზეამოცანა. მსტოვრები და აგენტები იამაზე მეტია, ვიდრე ჩვენ გვგონია. სამწუხაროდ, ადამიანებმა შუბლზე ძარღვი გაიწყვიტეს და პოლიციასთან ისეთი ხალხი თანამშრომლობს, რომ ვერც წარმოიდგენ. აგენტები იქნებიან, მაგრამ ჩვენ უნდა ვიყოთ გონიერები, რომ მივხდეთ, ვინ არის ერთგული და ღირსეული.

***— დაბოლოს, რამდენად არის ერთიანობა გუნდის შიგნით და იკვეთება, რომ ივანიშვილის კოალიცია საერთო ეროვნული ლიდერის ჩამოყალიბებაზე მუშაობს?***

— ბიძინა ივანიშვილი თავად არის საზოგადოებრივი ლიდერი და ის შეძლებს, თავისი გულწრფელობით, ქართული ცნობიერებით, შინაგანი კეთილგანწყობით მიიმხროს საზოგადოება და გაუძლვეს ამ ბრძოლაში. ერთობა და სიმყარე აუცილებელია. თუ არ გავაცნობიერეთ, რომ შიდა კონკურენცია დამღუპველია, მაშინ ვერ შევძლებთ ზეამოცანის შესრულებას. პოლიტიკა რთულია საქართველოში, მაგრამ, თუ პოლიტიკაში მორალურ ფასეულობებს ივიწყებ, თუ მხოლოდ პირადი ინტერესებით მანევრირებ, გარდაუვალია მარცხი. სამყარო მეტისმეტად პრაგმატული გახდა. ამიტომაც სულიერების მეტი მოთხოვნაა.

## „დემოკრატიული მოძრაობა“ რუსთაველზე ახალგაზრდების დაკავებას აპროტესტებს

„დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭო რუსთაველის გამზირზე ახალგაზრდების დაკავების ფაქტს აპროტესტებს.

— მაშინ, როდესაც რამდენიმე ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენელი პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე სანდრო გირგვლიანის მკვლელობის 6 წლისთავთან დაკავშირებით მშვიდობიან აქციას მართავდა და კანონიერ მოთხოვნას აყენებდა, რომ ხელისუფლებამ ევროსასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება დაუყოვნებლივ დაიწყოს, ჩატარდეს ობიექტური გამოძიება სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით და დაისაჯოს ყველა დამნაშავე, ძალოვანმა უწყებებმა პრაქტიკულად მობილიზაცია გამოაცხადეს და აქციის მონაწილე რამდენიმე ახალგაზრდას დასაკავებლად პარლამენტის წინ პატრულის ათეულობით თანამშრომშრომელი მივიდა, აქცია დაშალა და მიუხედავად იმისა, რომ აქციის მონაწილეებს პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ისინი მაინც დააკავეს. „დემოკრატიული მოძრაობა“ სამართალდამცველების მიერ მშვიდობიანი აქციის მონაწილეების უკანონო დაკავებას აპროტესტებს და მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს, — ნათქვამია საბჭოს განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ სამართალდამცველებმა კვირას რუსთაველის გამზირზე, სანდრო გიგრგვლიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ აქციაზე ახალგაზრდული ორგანიზაციების ათამდე აქტივისტი დააკავეს, კერძოდ — ჯაბა ჯიშკარიანი, ირაკლი ბერაია, დავით ფაცაცია, ზაზა სვანაძე, კობა ცერცვაძე, მიხეილ მუმლაძე და ილია წურწუმია.

კიდევ ერთი დაკავებული — ჟურნალისტი ილია ჩაჩიბაია მალევე გაათავისუფლეს. მოგვიანებით 500-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმის შეფარდების შემდეგ დანარჩენებიც გაათავისუფლეს.

პირველი

## რუსთაველის გამზირზე დაკავებული ოპოზიციონერების საქმეზე გამოტანილი განაჩენი გასაჩივრდება

კვირას თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ რუსთაველის გამზირზე დაკავებული შვიდი აქტივისტის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, ჯერ ქართულ, ხოლო შემდეგ ევროპის სასამართლოში გასაჩივრდება. ამის შესახებ „მედიანიუსს“ უფლებადამცველმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ დამფუძნებელმა ნანა კაკაბაძემ განუცხადა.

მისი თქმით, სასამართლოდან აღნიშნული საქმეების ოქმები ორშაბათს ჩაბარდებათ და გასაჩივრების პროცედურაზე მუშაობაც, სავარაუდოდ, სწორედ ხვალიდან დაიწყება.

უფლებადამცველის თქმით, ეს საქმეები ევროსასამართლოშიც წავა, რადგან მათ თავიანთი სიმართლის და სამართალდამცველების მხრიდან კანონდარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულებები აქვთ.

კაკაბაძის მტკიცებით, აქციის მონაწილეების დაკავებაზე „ზონდრებიც“ მუშაობდნენ.

მედიანიუსი



## ბაღათურია „ქართულ დასს“ კიდევ 4 წელი უხელმძღვანელებს

საქართველოს პარლამენტის წევრი ჯონდი ბაღათურია პოლიტიკური პარტია „ქართული დასის“ ლიდერად კიდევ 4 წლით აირჩიეს. იგი პარტიის ლიდერად თბილისში 28 იანვარს გამართულ პარტიულ ყრილობაზე პრაქტიკულად, ერთხმად დაასახელეს. ბაღათურია ამ თანამდებობაზე კიდევ 4 წელი დარჩება.

„სხდომის მონაწილეებსა და თანამოაზრეებს ჩემთვის ნდობის გამოცხადებისათვის მადლობას ვუხდი“, -— აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

შგახსენებთ, რომ ჯონდი ბაღათურია საპარლამენტო ფრაქციის -— „ერთობა სამართლიანობისათვის“ -— წევრია. იგი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გაერთიანებული ოპოზიციის კვოტით მოხვდა.

მედიანიუსი

## მაჭავარიანი და წერეთელი აშშ-ში გაემგზავრებიან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი და ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი დღეს სამუშაო ვიზიტით აშშ-ში გაემგზავრებიან.

როგორც „პირველს“ „ნაციონალური მოძრაობის“ პრესსამსახურიდან აცნობეს, ისინი ვაშინგტონში აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, კონგრესისა და სენატის წევრებთან გამართავენ შეხვედრებს.

ვიზიტის ფარგლებში მაჭავარიანი და წერეთელი აშშ-ის კონგრესის მიერ ორგანიზებულ მე-60 ტრადიციულ საუზმეს დაესწრებიან, რომელიც ყოველწლიურად იმართება.

ცნობისთვის, ტრადიციულ საუზმეზე კონგრესის წევრები და აშშ-ის პრეზიდენტი მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან, ლიდერებთან, ასევე დიპლომატიურ კორპუსთან და 140-ზე მეტი ქვეყნის 3000-ზე მეტ წარმომადგენლებთან ერთად იკრიბებიან, რათა უშუალო და მეგობრულ ატმოსფეროში სხვადასხვა საკითხებზე ისაუბრონ. აღნიშნულ ღონისძიებაში საქართველოს პარლამენტის წევრები ტრადიციულად მონაწილეობენ.

საპარლამენტო დელეგაცია საქართველოში 5 თებერვალს დაბრუნდება.

პირველი

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# შალვა ოგბაიძე: ასპინძა გაუდაბნოვდება, ბათუმი და მესტია დაიტბორება!“

**ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი შალვა ოგბაიძე შიშობს, რომ მალე საქართველო ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დადგება. „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ წევრის განცხადებით, ხელისუფლების პოლიტიკა ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. ოგბაიძე ხელისუფლებას მოუწოდებს, მტკვარის კალაპოტის შეცვლასთან და ლაზიკის მშენებლობასთან დაკავშირებით დებატები გახსნას და საზოგადოებას სიმართლე უთხრას.**

**რა საფრთხეები გველოდება თურქეთში მშენებარე ელექტროსადგურებიდან, რა შედეგებს უნდა ველოდოთ ლაზიკისგან, ამ თემებზე „ახალ თაობას“ შალვა ოგბაიძე ესაუბრება.**

თეა მარხვაიძე

შალვა ოგბაიძე:

– გარდა პრეზიდენტის განცხადებისა „და იყავნ ქალაქი“, ჩვენ არაფერი არ ვიცით, რატომ და რა მიზნით შენდება ლაზიკა. ჯოკერის თამაშის დროს ფერს რომ გამოაცხადებენ, პრეზიდენტი ასე გამოაცხადებს რაღაცას. მერე მიდის თავის მტვრევა, რა იგულისხმება ამაში. მთელი სახელმწიფო მანქანა ერთვება შემდეგ, რომ პრეზიდენტის ნათქვამი ან შეარბილონ, ან ახირებას აყვნენ. ლაზიკა სწორედ ახირება გახლავთ, რომელსაც არავითარი პერსპექტივა არა აქვს.

*– თუმცა ნაციონალები ამბობენ, რომ ის მაინც აშენდება და იქნება ძალიან ლამაზი.*

– თუ აშენდება, ის ცუდის მეტს არაფერს მოიტანს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორც უკვე ვთქვი, მას არავითარი დატვირთვა არ ექნება. მგონია, რომ მაინც ახირებაა. პრეზიდენტის სიტყვებიდან მხოლოდ ამ დასკვნის გაკეთება შეიძლება. ძნელია იმის თქმა რა დანიშნულებით აპირებენ ამ ქალაქის აშენებას. პორტისთვის მისი აშენება ნამდვილი უაზრობა იქნება.

*– რატომ იქნება უაზრობა?*

– საპორტო ქალაქები ჩვენ უკვე გვაქვს ბათუმისა და ფოთის სახით. ისინი სრული დატვირთვით ვერ მუშაობენ. ამ პორტების დატვირთვის ნაცვლად, ახალი ქალაქის აშენება ლოგიკაში რაღაც ვერ ჯდება. ლაზიკა ვერც კურორტის თვალსაზრისით გაამართლებს. ეკონომიკის მინისტრმა ეს აღიარა კიდევაც. მოგეხსენებათ გამოცხადებული იყო, რომ ვინც ქობულეთში თანხას ჩადებდა, გარკვეული დროის განმავლობაში ის მოგების გადასახადისგან გათავისუფლდებოდა. ვერა ქობალიამ აღიარა, რომ ეს პროექტი ჩავარდა. ამ ყველაფრის ფონზე ძნელია ვივარაუდოთ, რომ ლაზიკას ტურისტული მნიშვნელობა ექნება. არის ერთი ვარიანტიც – სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელზეც ვერაფერს გეტყვით. ეს თემა გასაიდუმლოებულია. გაცილებით უპრიანი იქნებოდა, ხელისუფლება თუ ამ თემაზე დებატებს გახსნიდა. ქალაქი რომ აშენდეს, იქ ინვესტიაცია უნდა ჩაიდოს. ინვესტიციის ჩასადებად კი ესა თუ ის ქვეყანა მიმზიდველი უნდა იყოს. სამწუხაროდ, საქართველო მიმზიდველი ვერ არის. მართალია ბიზნესის გახსნის კუთხით პირველ ადგილზე ვართ მსოფლიოში, მაგრამ ბიზნესის დაცულობის კუთხით ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ვიმყოფებით. არც ერთ მეწარმეს არ აქვს გარანტია, რომ ხვალ მას ფულს და ქონებას არ წაართმევენ.

*– გარემოს დამცველები ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ამ ქალაქის აშენება გარემოზე ძალიან მძიმე გავლენას მოახდენს. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით, რა საფრთხეებს შეიცავს ლაზიკის მშენებლობა?*

– იმ ადგილას, სადაც ლაზიკა უნდა აშენდეს არის ჭაობი. როგორც გარემოს დამცველები ამბობენ, ჭაობის დაშრობა ზრდის ზღვის შემოჭრის საფრთხეს ხმელეთზე. ისევე, როგორც ეს მოხდა ფოთში. აქ 400-500 მეტრით არის უკვე შემოჭრილი შავი ზღვა. ეს გამოიწვია კოლხეთის დაბლობის ჭაობის დაშრობამ. ეს პრობლემა კიდევ უფრო საშიში გახდება თუ ლაზიკისთვის დაიწყებენ ჭაობის დაშრობას. რაც ასევე გამოიწვევს დიქტიოფაუნის განადგურებას. ადგილი, სადაც ლაზიკა უნდა აშენდეს, წარმოადგენს დაცულ ტერიტორიას. რაც საერთაშორისო კონვენციით არის დაცული. ეს თავის მხრივ დიდ კითხვის ნიშნებს დაბადებს. საერთაშორისო თვალსაზრისით ხელისუფლების იმიჯი დაეცემა. მთელი მსოფლიო ცდილობს, შეინარჩუნოს ბუნება პირვანდელი სახით. ჩვენ კი ვანადგურებთ. აქ ასევე მოისპობა ტრადიციული მეურნეობების ისეთი ფორმა, როგორიც არის მეჯოგეობა. ეს ადამიანები დარჩებიან ლუკმაპურის გარეშე. ეს სასაცილოც კია. ეს ადგილი გადამფრენი ფრინველებისთვის ერთგვარ პლაცდარმს წარმოადგენს. ჩვენ კი მიერთებული ვართ იმ კონვენციას, რომელიც გადამფრენ ფრინველებს იცავს. ლაზიკის აშენებით მათთვის ეს პლაცდარმი მოისპობა. რაც თავის მხრივ კიდევ გააჩენს კითხვის ნიშნებს. ამის გარდა, ამ ადგილებში მოიპოვება თევზი ქაფშია ე.წ. ხამსა. აქედან მიღებული შემოსავალიც დააკლდება ხალხს. კი არ დააკლდება, გაუქრება. გაწყდება ეს თევზი მთლიანად.

*– გარემოს დამცველების და ოპოზიციის საუბრებიდან თუ ვიმსჯელებთ, ლაზიკა ქვეყანას ცუდის მეტს არაფერს მოუტანს.*

– იმ მწირი ინფორმაციით, რაზეც ხელი მიგვიწვდება, ასე ჩანს. ეს იდეა ძალიან ბევრს კითხვის ნიშანს ბადებს. ამიტომ კარგი იქნება თუ ხელისუფლება ამ თემაზე ღია დებატებს დაიწყებს. ეს მისთვისვე იქნება უკეთესი. რაც უფრო დახურულია თემა, მით მეტია ჭორი და კითხვა. ეს ხელისუფლებამაც კარგად იცის. სამწუხაროდ, ხელისუფლებას დასჩემდა საკითხებისთვის ტაბუს დადება. თვლის, რომ ის უმაღლესი ინსტანციის ჭეშმარიტების მქონე ადამიანებით არის დაკომპლექტებული. ხოლო ჩვენ ვართ მეორეხარისხოვანი ადამიანები. და მივიღებთ იმას, რასაც დაგვიდებენ წინ. ასეთი გამოთქმისთვის ბოდიშს ვიხდი. ასე იყო ენგურჰესის გასხვისების დროს. ასე იყო მამისონის დროს. როცა რუსებმა ჩვენს ტერიტორიაზე გადმოიწიეს და სტრატეგიული მნიშვნელობის მეტეოსადგური დაიკავეს.

*– ისე, საინტერესოა, ამაზე რატომ არ ატეხეს ხმაური? ჩვენ ხომ რუსულ აგრესიაზე გამუდმებით ვსაუბრობთ.*

– ვერ გეტყვით. ლოგიკას ვერ ვხედავ. ამ თემით ხელისუფლებას რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი საერთაშორისო ხმაურის ატეხვა შეეძლო. იტყოდა, რომ ოკუპანტი ქვეყნის მადის გაძლიერება ხდება. ხელისუფლება კი მალავს.

*– გასაიდუმლოებულია მტკვრის თემაც. საუბარია მდინარისთვის კალაპოტის შეცვლაზე. ხელისუფლება სხვას ამბობს გარემოს დამცველები სხვას. რა ხდება?*

– ხელისუფლება ფაქტიურად არაფერს ამბობს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ პრეზიდენტის განცხადებას, რომელმაც გარემოს დამცველებს ბნელეთის მოციქულები, ვამპირები და მუმიები გვეძახა. ასევე გვაქვს გარემოს დაცვის მინისტრის, ჩემი მეგობრის, გოგა ხაჩიძის განცხადება, ის ამბობს, რომ მტკვარი შემოდიოდა საქართველოში, შემოდის და მომავალშიც შემოვა. თურქეთი თუ ამ პროექტს განახორციელებს, მტკვრის რაოდენობა 35-40% შემცირდება. ამის დათვლა და გაკონტროლება საკმაოდ რთულია. ამჯერად დავეყრდნოთ იმ მონაცემებს, რომლებიც გაკრთა საინფორმაციო სივრცეში. უკვე გავრცელდა აზერბაიჯანის ეკოლოგიის სამინისტროს ეკოლოგიური განცხადება. სადაც ნათქვამია, რომ ამ კაშხლის მშენებლობის შემთხვევაში მინგეჩაურში ჩამავალი მტკვრის საერთო რაოდენობას მხოლოდ 3% აკლდება.

*– ეს რანაირად?*

– როგორც ჩანს, აზერბაიჯანის ეკოლოგიის სამინისტრო ვითარების შერბილებას ცდილობს. რითიც ამართლებს თურქეთის ინტერესს.

*– რატომ იქცევა ასე? პრობლემები მათაც ხომ შეექმნება?*

– რატომ ცდილობენ? ეს საუბრის სხვა თემაა. ეს ალბათ გეოპოლიტიკა და სტრატეგიული პარტნიორობაა. ეს მათი საქმეა. ჩვენმა ხელისუფლებამ ღიად უნდა გვითხრას, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი მტკვრის დაგუბებას დაიწყებს.

*– ხელისუფლება ამას არ გვეუბნება. თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით რა მოხდება?*

– კაშხალი, რომელიც საჭიროა წყლის დაგუბებისთვის, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოვა. მისი სიმაღლე იქნება 250 მეტრი, რომლის ძირი იქნება საქართველოს ტერიტორიაზე. საუბარია აგრეგატზე, რომელიც გამოიმუშავებს ენერგიას. წყლის დაგუბება დაიწყება თურქეთის ტერიტორიაზე და ის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. ეს იქნება კატასტროფა ასპინძისათვის. როგორც გარემოს დამცველები ამბობენ, მოხდება ამ მხარის გაუდაბნოება. სერიოზული პრობლემები შეექმნება შიდა ქართლს.

*– იქ რა პრობლემები შეიქმნება?*

– მოგეხსენებათ, რომ ეს მხარე არის მეხილეობით განთქმული. მთელი ქვეყნის მასშტაბით აქ ხილის ყველაზე დიდი მოსავალი მოდის. ფაქტიურად მოისპობა, რადგანაც ისინი მტკვარს სარწყავად ველარ გამოიყენებენ. თბილისში მოიკლებს შეზავების კოეფიციენტი.

*– ეს რას ნიშნავს?*

– იმას, რომ მოიმატებს დაბინძურების ხარისხი. ჯერ ახლა რა მდგომარეობაშია მტკვარი და მერე რა იქნება. ამის შემდეგ წყალი შეიძლება მიმართული იყოს ჭოროხისაკენ. ჭოროხის მიმართ თურქეთს აქვს სტრატეგიული ინტერესი. იქ აპირებენ ჰესების აშენებას. იქ ჰესის აშენება კიდევ ცალკე უბედურებაა.



შალვა ოგბაიძე

*– რატომ არის უბედურება?*

– ჭოროხზე ელექტროსადგურების კასკადის მშენებლობა ნიშნავს, რომ ბათუმი, როგორც ტურისტული პროფილის ქალაქი, აღარ იარსებებს. ბათუმში შემოიჭრება ზღვა. მისი აეროპორტი ფაქტიურად ისედაც ჭაობშია. ჭოროხის გაყოლებაზე მოხდება საძოვრების დატბორვა. მესაქონლეობა ველარ იარსებებს. ამას ხელისუფლება აფორმებს დიდი დიპლომატიურ გამარჯვებად. ასეთი რაღაცების გამო ჩვენ და თურქეთს საერთაშორისო დონეზე შეიძლება სერიოზული პრობლემები შეგვექმნას.

*– რა სახის პრობლემებზე საუბრობთ?*

– არსებობს სასაზღვრო ტბების და მდინარეების დაცვის კონვენცია, რომელთან მიერთება აუცილებლად მოგვიწევს. თუკი ნატოს და ევროკავშირის წევრობა გვინდა. ორივე ორგანიზაცია მოითხოვს ამ კონვენციის დაცვას. ამათ კი, როგორც ჩანს, ევროკავშირი მარტო დროშის ფრიალი ჰგონიათ. ისევ მტკვარს დავუბრუნდები და ვიტყვი, რომ ჯერ კიდევ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება. კარგი იქნება თუ ამ თემით პოლიტიკოსებიც დაინტერესდებიან. ერთმანეთთან კინკლაობის ნაცვლად უმჯობესია ასეთი სერიოზული პრობლემის გადასაჭრელად მივმართოთ ძალისხმევა. ხელისუფლებას კი ამ თემის გახსნისკენ მოვუწოდე. იქნება მართლა კარგს აკეთებენ და ჩვენ როგორც „ბნელეთის მოციქულები“, ამას ვერ ვხვდებით. პოლიტიკოსებს ხუდონჰესის გარშემოც მოვუწოდებ ყურადღების გამახვილებას. ამ ჰესის მშენებლობის შემთხვევაში მესტია დაიტბორება. განადგურდება სოფლები, ეკლესიები.

---

# ჯიოევა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ფიცს 10 თებერვალს დადებს

## ცხინვალი ისევ სამოქალაქო ომის ზღვარზეა

თეა მარხვაიძე

სამხრეთ ოსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისია საგანგებო რეჟიმზეა გადასული და არჩევნებისთვის ემზადება. საპრეზიდენტო არჩევნები აქ 25 მარტს უნდა ჩატარდეს. კომისია განცხადებების მიღებას თებერვლის ბოლომდე გააგრძელებს. თებერვლის ბოლოსვე იტყვის ვის მიეცემა არჩევნებში მონაწილეობის უფლება და ვის არა.

თავიდან, ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას გეგმავდა ალა ჯიოევაც. რომელმაც წინა წელს ჩატარებული არჩევნები პირწმინდად მოუგო თავის კონკურენტ ანატოლი ბიბილოვს. ამ უკანასკნელს კრემლი უჭერდა მხარს. ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ დამარცხებულმა ბიბილოვმა არჩევნების შედეგები ადგილოვრივ უზენაესში გაასაჩივრა. უზენაესმა განაჩენი გამოიტანა და შედეგები გააუქმა. ამის გარდა ალა ჯიოევას მომავალ არჩევნებშიც აეკრძალა მონაწილეობის მიღება.

ოსური უზენაესის გადაწყვეტილებას დიდი ალიაქოთი მოჰყვა. ცხინვალი საპროტესტო აქციებმა მოიცვა. ალა ჯიოვას მომხრეებმა კარვებიც კი გაშალეს. ჯიოევამ თავი არჩეულ პრეზიდენტად გამოაცხადა და ინაუგურაციის თარილიც დანიშნა. მას ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად უჭერდა მხარს. ინაუგურაცია არსებულ რეჟიმს არ აწყობდა. ამიტომაც ისინი დათმობაზე წავიდნენ. ედუარდ კოკოითი გადადგა და უფლებამოსილება ვადიმ ბროვცევს გადააბარა. ამ კაცს მანამდე პრემიერის პოსტი ეკავა.



ალა ჯიოევა

ამასთან მან კინაღამ შეასრულა ალა ჯიოევას ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა. ხელი მოაწერა ადგილობრივი გენპროკურორისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების განკარგულებას. ორივე კოკოითის ნათესავია და მისი კლანის აქტიური წევრები გახლავანთ.

ეს ამბავი ჯიოევამ ნაადრევად იზეიმა. რადგანაც ადგილობრივი პარლამენტის უმრავლესობამ გენპროკურორის და უზენაესის თავკაცის გათავისუფლებაზე უარი თქვა. ამის გარდა ჯიოევას პირობა არც ბროვცევმა არ შეუსრულა. მიღწეული შეთანხმების თანახმად ვიცე-პრემიერის პოსტზე გენერალი ანატოლი ბარანკევიჩი უნდა დაენიშნათ. ეს უკანასკნელი ჯიოევას უჭერდა მხარს.

ჯიოევა საკმაოდ გვიან მიხვდა, რომ ის გააცურეს. მართალია, მას არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცეს, მაგრამ ეს არაფრად ჩააგდო. როგორც თავად ამბობს, თუ გენპროკურორი და უზენაესის თავკაცი პოსტზე დარჩნენ, არჩევნებს აზრი ეკარგება.

ამის შემდეგ მან არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. ამასთან ბროვცევთან უსტარი აფრინა, შეთანხმებიდან გამოვდივარ და თუ ავურიე არ გეწყინოსო.

ალა ჯიოევა რისკიანი ქალი რომაა ყველამ დაინახა. რაც მაგან ცხინვალში ამბები დაატრიალა ბევრი ვერ გაბედავს. ამიტომაც შეარქვეს კაბიანი სტალინი.

იცოდა რა მისი ფოლადის ხასიათის შესახებ, ბროვცევმა შეხვედრა გადაწყვიტა. იფიქრა ქალი მაინც ქალია და ტკბილი სიტყვებით გულს მოვუგებო. შეხვედრა წინა კვირაში შედგა. ბროვცევის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან რკინის ალას მოლბობა შეძლო. მაგრამ მხოლოდ რამდენიმე დღით.

ალა ჯიოევამ 28 იანვარს გააკეთა განცხადება, სადაც თავისი ინაუგურაციის თარიღი დაასახელა. როგორც ოსური მედია იუწყება ჯიოევას ინაუგურაცია 10 თებერვალს დღის 12 საათზე შედგება. თუმცა ჯერ-ჯერობით უცნობია სად დადებს ფიცს ალა ჯიოევა.

ჯიოევას ამ გადაწყვეტილებას ადგილობრივი მოსახლეობა დადებითად შეხვდა. მათი აღშფოთება ხელისუფლების მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა. რაც გაიგეს რომ მათი ძამბოლატ თედეევი თითქმის დააპატიმრეს.

„ახალი თაობა“ უკვე იუწყებოდა, რომ რამდენიმე დღის წინ მოსკოვში, თედეევის ბინაში სპეცრაზმი „ალფა“ შეიჭრა. თედეევს ბრალად სახელმწიფო გადატრიალების ბრალდება წაუყენეს და უშიშროების განყოფილებაში გადაიყვანეს. სადაც მას 5 საათვის განმავლობაში კითხავდნენ. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ რუსული უშიშროება კოკოითის მითითებას ასრულებდა. თედეევს კოკოითის ჩამოგდების მცდელობაში სდებენ ბრალს.

ცხინვალელებს თედეევი ძალიან უყვართ. ამიტომაც ისინი მრავლად მივიდნენ მიტინგზე. რომელიც 28 იანვარს გაიმართა ცხინვალში. სწორედ იქ გახდა ცნობილი, რომ ჯიოევა ინაუგურაციას გამართავდა.

რუსული მედიის ცნობით, ამ აქციაზე მივიდა ტარზან კოკოითიც. ამ კაცს კოკოითის ხელისუფლებაში მაღალი პოსტი ეკავა. ცოტა ხნის წინ დაიფრინა ის ბროვცე\ვმა. როგორც სჩანს უმუშევრობამ გონება გაუნათა და როგორც თავად ამბობს იქ დგას, სადაც მისი ხალხია.

რუსული მედიის ცნობით, იმ მიტინგზე ახალგაზრდები თედეევის მხარდამჭერ ხელმოწერებსაც აგროვებდნენ. ხელი ბევრმა ადამიანმა მოაწერა. მიტინგზე მისი მხარდამჭრი განცხადებებიც ბლომად გაკეთდა და მის გამო რამდენიმე გამომსვლელს ცრემლებიც გადმოუყრია.

აქციის ბოლოს სიტყვით ალა ჯიოევაც გამოვიდა. მან კიდევ ერთხელ აღიარა შეცდომა და ოს რადიკალებს ბოდიში მოუხადა.

– უხეშად რომ ვთქვა, ჩვენ გადაგვაგდეს. მე ძალიან სერიოზული პოლიტიკური სიბეცე გამოვიჩინე, როცა დათმობაზე წავედი. ამის გამო ბოდიშს ვიხდი რადიკალურად განწყობილ ძალებს. იმათ ვინც მთხოვდა, რომ ბოლომდე დავმდგარიყავით, – განაცხადა მიტინგზე გამოსვლისას ჯიოევამ.

ამ განცხადებით ალა ჯიოევამ ოსი რადიკალები ძალიან გაახარა. ახლა ისინი ერთად შეუდგნენ სამზადისს ინაუგურაციისთვის. რომელსაც ხელისუფლება ყველანაირად შეეწინააღმდეგება. ამის გამო ცხინვალი კიდევ ერთხელ შეიძლება აღმოჩნდეს სამოქალაქო ომის ზღვარზე.

# მინდია გულუა: „ეროვნული თანხმობა და სამართლიანობის აღდგენა ქვეყნის სულიერი ერთობისა და ტერიტორიული მთლიანობის საფუძველი უნდა გახდეს“

„ერთსულოვნების მიღწევა ქართველთა ერთობის „აქილევსის ქუსლი“ გახლდათ ისტორიულად. სამწუხაროდ, პოსტსაბჭოთა რეალობაში წიგნებში წაკითხული ისტორიული მოვლენების ხელახლა განმეორების მომსწრენი გავხდით, სადაც ჩვენი ბუნებისა და ხასიათის ყველა მანკიერება ვიხილეთ: შუღლი, მტრობა, გაუტანლობა, კონფრონტაცია. აფხაზეთი და სამაჩაბლო არა მარტო რუსეთმა, არამედ ქართველთა დაპირისპირებამ, წინდაუხედაობამ, უსიყვარულობამ და ფარისევლობამ დაგვაკარგვინა. ამ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ. სამწუხაროდ, ჩვენს შიდა პრობლემებს და სისუსტეებს ყოველთვის ძალიან ოსტატურად იყენებდა ხოლმე გარეშე ძალა თავის სასარგებლოდ. ახლაც ასეა. ჯერ კიდევ მოუშუშებელია ის ტკივილები, რაც ქართველებმა ერთმანეთს მივაყენეთ სამოქალაქო ომის დროს 90-იანი წლების დასაწყისში ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობით და სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობით, შემდეგ ვერ ავიცილეთ გართულება ჩვენს ძმებთან ოსებთან და აფხაზებთან და ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადავეკიდეთ, ყველას კარგად გვახსოვს სამეგრელო, ნაცვლად ურთიერთგაგებისა და თანხმობისა დავსაჯეთ ეს კუთხე სამხედრო-კრიმინალური ფორმირებების თარეშით.


მინდია გულუა

დღეს საქართველოში ყველას თავისი სიმართლე აქვს, თითქმის ყველა ისევ თავისკენ იწევს და საზოგადო სატკივარს გაურბის. არადა სიმართლე ერთია, ჩვენი ტკივილი- სულიერად და ხორციელად დაკნინებული საქართველო. წლების განმავლობაში გამეფებულმა დაუსჯელობის სინდრომმა თავისი გაიტანა და დღეს უკვე სიკეთისა და ბოროტების, ტყუილისა და სიმართლის გარჩევა ჭირს. წელს მძიმე წელი გველის ყველას. კიდევ ერთხელ მოგვიხდება პოლიტიკური სიმწიფის გამოცდა, ვართ თუ არა მზად ეროვნული თანხმობისთვის, რათა ხალხთან ერთად ავირჩიოთ საერთო ხელისუფლება, სადაც ყველა ძალის ინტერესი შესაბამისად იქნება წარმოდგენილი და არავის მიეცემა საშუალება სხვისი დაჩაგვრისა. ამ ტიპის მმართველობა საქართველოში უნდა დამთავრდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხდება ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ბალანსის და სიმშვიდის აღდგენა და არასოდეს დასრულდება გარე ძალებისაგან პროვოცირებული პოლიტიკური სუბიექტების თარეში, რასაც შეიძლება ქვეყანა გადაყვეს.

მოგმართავთ წინადადებით, დაუყოვნებლივ შეიქმნას ეროვნული თანხმობის საკოორდინაციო ცენტრი რომელიც ყველა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელს გააერთიანებს და დაიწყებს მუშაობას ქვეყანაში პოლიტიკური კონფრონტაციის აცილების მექანიზმზე, რათა ერთობლივი ძალისხმევით მოხდეს ნორმალური, მშვიდი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბება და ხალხს მიეცეს საშუალება დაუბრკოლებლივ გამოხატოს თავისი ნება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს კიდევ ერთი სამოქალაქო დაპირისპირება, რომლის დამანგრეველ შედეგებს უკვე ველარ ავიცილებთ თავიდან.

პირადად ვიღებ პასუხისმგებლობას ორგანიზება გავუწიო ამ ჯგუფის შეხვედრას საქართველოს ფარგლებს გარეთ ნებისმიერ ქვეყანაში, რადგან, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლების პოზიციის გამო არა მაქვს საშუალება ჩამოვიდე საქართველოში, ჩემს სამშობლოში, რომლის ტერიტორიულ მთლიანობას მე როგორც ჯარისკაცი 1992-93 წწ. აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს ვიცავდი.

**პირველი**

# ბოლნისში პოლიტიკური პარტია განახლებული საქართველოსთვის“ რეგიონული ორგანიზაცია გაიხსნა

პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ ლიდერმა ნანა გულუამ და გუნდის წევრებმა ქვემო ქართლში, ბოლნისის რაიონში რაიონული ორგანიზაცია დააფუძნეს, რომელსაც კონფერენციის დელეგატები და პარტიის მხარდამჭერები ესწრებოდნენ. ბოლნისი ერთ-ერთი მრავალეროვანი (70 % აზერბაიჯანელები, 22 % ქართველები, 5,6 % სომხები და ოსები) რაიონია, რომელთა მთავარ პრობლემას, როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, უმუშევრობა (82%) წარმოადგენს. გადაუჭრელ პრობლემად ექცა მოსახლეობას სახნავ-სათესი მიწების საკითხი, რომელთა მოგვარებას აფერხებს სამართლებრივი ბაზის არქონა და შესაბამისი დოკუმენტაციების იურიდიულად გაუმართაობა. გაუქმებული და გაჩერებულია გადამამუშავებელი და საკონსერვო ქარხნები. „მადნეულის“ წარმოების გამო დაბინძურებულია მდინარეები, ატმოსფერო, რაც სერიოზული ეკოლოგიური საფრთხეების წინაშე აყენებს მოსახლეობას (ონკოლოგიურ დაავადებათა რიცხვმა პიკს მიაღწია). ხელისუფლების მიერ აშენებული „ფერადი“ საავადმყოფოები წარმოუდგენლად ძვირი ტარიფების გამო ვერანაირ დახმარებას ვერ უწევს მოსახლეობას. გაუმართავია სადაზღვევო სისტემაც. მოსახლეობის საწუხარს წარმოადგენს წარმოებული პროდუქციის გასაღება-რეალიზაცია, როგორც უახლოეს მეზობელ ქვეყნებში, ისე რუსეთის ფედერაციაში.

მწვავედ დგას აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობის უმუშევრობისა და სოციალურად დაუცველობის საკითხიც. რაიონის ბიუჯეტი 11 მილიონ 400 ათას ლარს შეადგენს, რომლის მცირედი ნაწილი – 150 ათასი ლარი სოციალურ პროექტებზეა გამოყოფილი, დანაჩენი თანხის განკარგვაში მოსახლეობა აბსოლუტურად არ მონაწილეობს. ამ და სხვა მრავალ საჭირბოროტო საკითხებზე იმსჯელეს პარტიის ლიდერებმა და მისი გუნდის წევრებმა.


ნანა გულუა ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს

პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ ბოლნისის რაიონული ორგანიზაციის თავჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა იურისტი, ადვოკატი სამი შვილის დედა ქ-ნი მზია თომაშვილი. სხდომაზე ასევე აირჩიეს ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენლები.

პარტის ლიდერმა ქ-ნი ნანა გულუამ შეკრებილ საზოგადოებას გააცნო ძირითადი გეგმები და ამოცანები, რომელთაგან განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, სოციალური პრობლემების გადაჭრასა და დასაქმებას. რაც შეეხება წარმოებული პროდუქციის საზღვრებს გარეთ გატანას, ქ-ნი ნანამ მზადყოფნა გამოთქვა ამ კუთხით მუშაობასა და საკითხის დადებითად გადაჭრაზე. სამოსახლო და სახნავ–სათესი სავარგულების დაკანონება-დამტკიცებაში მოსახლეობას უსასყიდლოდ გაუწევენ დახმარებას პარტიის ოფისში მყოფი იურისტები.

გადამამუშავებელი და საკონსერვო, რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნების მოწყობის გეგმაზე, რომელიც გააჩნია რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენსა და პარტიის საერთაშორისო მრჩეველს ბ-ნ მინდია გულუას და სხვა საკითხებზე ისაუბრეს: ვალერი გაბელიამ, გოგა ოძელმა, ლევან გვარმიანმა, მზია თომაშვილმა და ლაშა გვასალიამ.

პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ აგრძელებს რაიონული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას ქვეყნის მასშტაბით.

**პირველი**

# მინდია გულუა: სოლიდარობა და ერთობა გათიშე და იბატონეს საპირისპიროდ“

„მეტად მნიშვნელოვანია მედიის, როგორც სამოქალაქო საზოგადოების უმთავრესი აქტორისა და სოციალური ინსტიტუტის მდგომარეობა წინასაარჩევნო პერიოდში დემოკრატიული საარჩევნო გარემოს ჩამოსაყალიბებლად. ქართველი საზოგადოება მუდმივად ხედავს, როგორ ებრძვის ნაციონალური ხელისუფლება თავისუფალ მედიასა და ჟურნალისტებს, როგორ ცდილობს, ჩამოაშოროს ეს ინსტიტუტი თავის უმთავრეს ფუნქციასსხვადასხვა მექანიზმით – თვალი ადევნოს მიმდინარე მოვლენებს და არ დაუშვას ხელისუფლების მხრიდან საზოგადოების მიერ ტანჯვით მოპოვებული სიტყვის თავისუფლების შებღალვა. საქართველოში დღეს დამოუკიდებელ მედიას მძიმე ჟამი უდგას. მის წინააღმდეგ დაწყებული „ათასი ჯიხურის“ პროექტს კიდევ არაერთი პიარტექნოლოგიური სვლა დაემატება, რომელიც მიმართული იქნება სიტყვის თავისუფლების აღსაკვეთად.

სოლიდარობა და ერთობა – სწორედ ეს მიმაჩნია ხელისუფლების მიერ აპრობირებულ „გათიშე და იბატონეს“ საპირწონედ. მივესალმები მედიასაშუალებების მიერ ახალი სოლიდარული გაერთიანების ჩამოყალიბებას. პირადად ჩემი და პოლიტიკური პარტიის „განახლებული საქართველოსთვის“ მეშვეობით, ყოველ მხრივ ვეცდები ამ პოზიციის დაცვასა და ჟურნალისტების თანადგომას. წინააღმდეგშემთხვევაში, ჩვენი ქვეყანა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ქაოსს ვერ ასცდება. ჩვენი გუნდი გამოვა ინიციატივით, ხელი შეუწყოს სამოქალაქო ინსტიტუტების წარმომადგენელთა შეხვედრას საქართველოში ან ევროპაში, სადაც საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით გაიმართება მსჯელობა საქართველოში სიტყვის თავისუფლების დაცვისა და მისი გადარჩენის პერსპექტივებზე“, - აცხადებს პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ მთავარი მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში მინდია გულუა.

**პირველი**

# ადა მარშანია: ხელისუფლებას სანდრო გირგვლიანის მკვლელობა არ შერჩება!“

გულიკო ბალაძე

**6 წლის წინ ქართველი საზოგადოება შეძრა ქართველი ახალგაზრდის სანდრო გირგვლიანის საშინელმა მკვლელობამ, რომელიც პოლიციის მაღალჩინოსნებმა ჩაიდინეს.**

**ამ საქმეს შეეწირა სანდრო გირგვლიანის დედა, რომელმაც სამართლიანობისთვის ბრძოლაში დალია სული. ის აფრთხილებდა საზოგადოებას, თუ არ აიმაღლებდა ხმას, მათაც მოუკლავდნენ შვილებს. ამან დიდი რეზონანსი გამოიწვია საზოგადოებაში.**

28 იანვარს სანდრო გირგვლიანის მკვლელობიდან 6 წელი შესრულდა და ამ დღეს ქართველი საზოგადოების ნაწილი კიდევ ერთხელ შეიკრიბა. რუსთაველის ძეგლთან აქცია სანდრო გირგვლიანის მკვლელობის დასჯის მოთხოვნით „წინააღმდეგობის მოძრაობამ“ მოაწყო, რომელსაც ადამიანის უფლებათა დამცველები და ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. სოსო მანჯავიძეს, დავით ლილუაშვილს, ლაშა ჩხარტიშვილს, სოსო შატბერაშვილს, კახა ძაგანიას, ადა მარშანიას და სხვებს ხელში ეჭირათ ძველი პლაკატი, სადაც სანდრო გირგვლიანის ფოტოს გვერდით წერია: „დაისაჯონ სანდრო გირგვლიანის მკვლელები“, ქვემოთ კი მერაბიშვილის, დონაძის, სანოძისა და ახალაიას სურათებია.

სოსო მანჯავიძემ განაცხადა, რომ „სამწუხაროდ, საზოგადოების აქტიურობამ ვერ გამოიღო ის შედეგი, რომ მკვლელები დასჯილიყვნენ. თუმცა, არავის არაფერი არ დაავიწყდა, არავის არაფერი არ ეპატიება“.


ადა მარშანია

## სამართალს ვერავინ გაექცევა

– მართალია სამართალი ნელა მოდის, მაგრამ მოდის. ქართველ ხალხს ვერავინ გადაამტვრევს ხერხემალში, როგორც გიგა ბოკერია გვიმეორებს ხოლმე და არც ლუსტრირებული არ არის, როგორც ლევან რამიშვილი ხშირად იმეორებს ხოლმე. საქრთველოში პროტესტმა მიიღო მზარდი ხასიათი, რათა შევაჩეროთ ამ მიზანტროპული, კაცთმოძულე რეჟიმის ბოგინი ამ ქვეყანაში. ამიტომ აუცილებელია მასობრივი, მშვიდობიანი აქციების გამართავა, – განაცხადა სოსო მანჯავიძემ.

სანდრო გირგვლიანის მეგობარს მიშა კაჭკაჭიშვილს მიაჩნია, რომ საზოგადოების ვალია, იდგეს იქ, სადაც სამართალია აღსასრულებელი. „სანამ ცოტა ვიქნებით, მანამ ისინი გააგრძელებენ ჩვენი ძმების, დების, ოჯახის წევრების ხოცვა-ჟლეტას და ამავე დროს დაცინვას“.

– ვერაფერი ვერ შეგვაჩერებს. თავს შევაკლავთ ამ ხელისუფლებას. მინდა ვუთხრა მერაბიშვილს, ადეიშვილს, სანოძეს, დონაძეს, ახალაიას, მელნიკოვს, თუ მინიმუმ არ გამოიძიებენ და დამნაშავეებს არ მისცემენ პასუხისგებაში, აქციებს შემოუერთდება ძალიან ბევრი, ის გახდება ძალიან რადიკალური და ამ ხელისუფლების დემონტაჟიც სწორედ აქედან დაიწყება, – თქვა მან.

კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლაშა ჩხარტიშვილმა გაშალა პლაკატი, სადაც გამოხატულია მოკლული და ამ საქმეში დადანაშაულებული პირები და განაცხადა:

– ეს არის სიმბოლო იმისა, რამდენად არაეფექტური იყო ბრძოლა სანდრო გირგვლიანის მკვლელების დასჯისთვის ისევე, როგორც ზურა ვაზაგაშვილის, ბუტა რობაქიძის, გელა ცინდელიანის, გიორგი გამცემლიძისა და სხვათა მკვლელების დასჯისთვის, ვინაიდან ამ პლაკატს აქვს იმდენი წლის ისტორია, რამდენიც ჰქონდა ამ ბრძოლას. ეს პლაკატი შეიქმნა იმისათვის, რომ დაგვესაჯა სანდრო გირგვლიანის მლვლელები. ქალბატონ ირინა ენდუქიძესთან, ბატონ იური ვაზაგაშვილთან, გამცემლიძეების, რობაქიძეების ოჯახებთან ერთად შევძელით, რომ ქუჩაში მკვლელობები პრაქტიკულად შეწყდა, მაგრამ მკვლელები დღემდე დაუსჯელები რჩებიან, ხოლო ციხეებში გაიზარდა მკვლელობათა რაოდენობა. უბრალოდ, ხელისუფლებამ გადაწყვიტა უფრო შეენიღბა საკუთარი დანაშაულებრივი ქმედებები. ამიტომ ეს არ არის საკმარისი. ასევე საკმარისი არ არის მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა. ჩვენ გვახსოვს შევარდნაძის შეცვლილი რეჟიმი, რომლის შემდეგ არ დასჯილა არც კახა თარგამაძე და არც ის მკვლელები, რომლებიც იყვნენ იმ ხელისუფლებაში, რომელთა სინდისზეა ბევრი ადამიანის სიკვდილი ისევე, როგორც რურუას. დღეს რურუა მინისტრია. არ უნდა დავუშვათ, რომ მომავალში მერაბიშვილი, ადეიშილი, სააკაშვილი და მათი გარემოცვის წევრები, მათ შორის, კუბლაშვილი და სხვები, აღმოჩნდნენ რომელიმე სავარძელში თუ არა ბრალდებულის სკამზე, რომელიც მზად უნდა ჰქონდეთ სამართლიან სასამართლოში. იმედი მაქვს, მოვლენათა ნებისმიერი განვითარების შემთხვევაში, ჩვენ შევძლებთ მთავარი ღირებულება დავიცვათ – ეს არის ადამიანის სიცოცხლე.

ლეიბორისტების ერთ-ერთმა ლიდერმა კახა ძაგანიას აქვს წინადადება (ისინი ამ კვირაში წინადადებით შევლენ მერიაში), რომ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას სანდრო გირგვლიანის დედის, ირინა ენუქიძის სახელი დაერქვას.

– რამდენი წელი გავიდა იმ ავბედითი ღამის შემდეგ, რამდენი წელია ვიკრიბებით, ვიხსენებთ და ფიცს ვაძლევთ ერთმანეთს, რომ არ დავივიწყებთ და აუცილებლად პასუხს ვაგებინებთ მკვლელებს, დამნაშავეებს. ცოტა ხალხის ქუჩაში გამოსვლა არ ნიშნავს იმას, რომ სანდრო გირგვლიანი საზოგადოებას არ ახსოვს. ირინა ენუქიძემ, ამ გმირმა ადამიანმა, გმირმა ქართველმა იმდენი გააკეთა, თითოეული ქართველის გულში აანთო კოცონი, მართლაცდა შურისძიებისა დესპოტებისა და ტირანების წინააღმდეგ, – განაცხადა კახა ძაგანიამ, – ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ყაჩაღებმა ხელისუფლებაში ყაჩაღები არ უნდა შეცვალონ. არ უნდა იყოს ისე, რომ სააკაშვილი წავიდეს და ვინც უნდა, ის მოვიდეს. ხელისუფლებაში აუცილებლად ისეთი ძალა უნდა მოვიდეს, რომელი ძალაც პასუხს აგებინებს დამნაშავეებს, რომელი ძალაც, პირველ რიგში,

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# აფხაზეთში ქართველი მღვდელმონაზვნის მოძებნას აფხაზი სასულიერო პირები ცდილობენ

ქართველი მღვდელმონაზვნის მოძებნას, რომელიც აფხაზეთში რამდენიმე დღის წინ გაემგზავრა, აფხაზი სასულიერო პირები ცდილობენ. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" აფხაზური ეკლესიის დე-ფაქტო ხელმძღვანელმა ბესარიონ აპლიამ განუცხადა.

„მისი დაკარგვის შესახებ ჩვენც შევიტყვეთ და აქტიურად ვცდილობთ, დავადგინოთ, თუ სად იმყოფება იგი ამჟამად. ერთ-ერთი ვერსიით, იგი დააპატიმრეს, ხოლო მეორე ვერსიით, გატაცებულია. ჯერჯერობით, ვერ დავადგინეთ სად იმყოფება მღვდელმონაზონი იონა. აქტიურად ვართ ჩართული მის მოძებნაში და იმედი მაქვს, რომ უახლოეს დღეებში გავარკვევთ, თუ რა მოხდა და სად იმყოფება მღვდელმონაზონი", – განაცხადა ბესარიონ აპლიამ.

ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტის სერაფიმე ჯოჯუას ცნობით, ქართველი მღვდელმონაზონი იონა, სავარაუდოდ, ე.წ. აფხაზ სამართალდამცველებს სოხუმში ჰყავთ დაკავებული.

მისივე თქმით, ქართველი მღვდელმონაზონი იონა ოთხი დღეა, რაც აფხაზეთში გადავიდა და აღარ გამოჩენილა. მღვდელმონაზონი სამების საკათედრო ტაძარში მეორე წელია, მსახურობს.

„სასულიერო პირები ვარაუდობენ, რომ იგი აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასვლის დროს დააკავეს. ამ დრომდე მასთან დაკავშირება ვერ ხერხდება", – აღნიშნა მეუფე სერაფიმემ.

**ინტერპრესნიუსი**

# ეკატერინა ხვედელიძე და ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტისთვის დაკისრებულ 100 ლარს ფონდ სამართლიანობაში" შეიტანენ

ეკატერინა ხვედელიძე და ბიძინა ივანიშვილი სასამართლოს მიერ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის დაკისრებულ 100 ლარს „სანდრო გირგვლიანისა და ირინა ენუქიძის სახელობის ფონდ სამართლიანობაში" შეიტანენ. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ბიძინა ივანიშვილის პრესსამსდივნოდან აცნობეს.


ეკატერინა ხვედელიძე და ბიძინა ივანიშვილი

პრესსამდივნოს ცნობით, ხვედელიძე აპირებს ქართული სასამართლოს მიერ მიხეილ სააკაშვილისთვის მის სასარგებლოდ დაკისრებული გადასახადი – 100 ლარი გამოიტანოს და „სანდრო გირგვლიანისა და ირინა ენუქიძის სახელობის ფონდ სამართლიანობაში" გადარიცხოს. აღნიშნული გადაწყვეტილება ეკატერინე ხვედელიძემ მას შემდეგ მიიღო, რაც სასამართლოს გადაწყვეტილება მისთვის მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით ძალაში შევიდა.

„შევიტყვე, რომ ბატონი გურამ გირგვლიანი ფონდის შექმნას აპირებს და აწესებს ყოველწლიურ პრემიას ნებისმიერი პროფესიის ადამიანისათვის, რომელმაც ადამიანის უფლებათა დაცვაში გამოიჩინა თავი. მინდა ამ ფონდში გადავრიცხო პირველი სიმბოლური შენატანი – მიხეილ სააკაშვილის დამარცხების საფასური – და გამოვთქვა იმედი, რომ ერთად შევძლებთ საქართველოში სამართლიანობის დამყარებას. სულ მალე დადგება დრო, როდესაც ყველა, მათ შორის პრეზიდენტიც, თანასწორი იქნება კანონის წინაშე", – აცხადებს ეკატერინა ხვედელიძე.

ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო აღნიშნავს, რომ 2011 წლის 27 დეკემბრის 3/7617-11 თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში სარჩელის ამ ნაწილთან დაკავშირებით წერია: „ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 11 ოქტომბრის №602 ბრძანებულება ეკატერინა ხვედელიძისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ნაწილში; მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტს დაეკისროს... მოსარჩელე ეკატერინა ხვედელიძის სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 (ასი) ლარის ანაზღაურება."

**ინტერპრესნიუსი**

# პატიმარ ქალთა ერთი ჯგუფი უვადო შიმშილობას იწყებს

თბილისში მდებარე ქალთა კოლონიის პატიმართა ერთი ჯგუფი (ჩვილი ბავშვების დედები) ხვალიდან უვადო შიმშილობას იწყებს.

როგორც „მედიანიუსს" არასამთავრობო ორგანიზაციის – „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ნანა კაკაბაძემ განუცხადა, ია ხვიჩიას, იზოლდა ქველიძეს, თამარ ბართაიას, ელენე თუშიშვილს და სედა ცოგომონიანს მცირეწლოვანი, 3 წლამდე შვილები ჰყავთ და ეს ბავშვები ადმინისტრაციას სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მიუსაფარ ბავშვთა სახლში გადაჰყავს.

„პატიმრები მოითხოვენ, კანონმდებლობის იმგვარად ფორმირებას, რომ მათ ბავშვები არ წაართვან. როგორც იცით, ამით ბავშვთა უფლებებიც ირღვევა, რადგან არსებობს მშობელთან ყოფნის შესაძლებლობა და ბავშვები მაინც უდედოდ უნდა გაიზარდონ. პატიმრებს ციხეში ყოფნა სასჯელებიდან გამომდინარე კიდევ დიდხანს მოუწევთ და შვილებს კიდევ როდის ნახავენ, არავინ იცის", – განაცხადა კაკაბაძემ და დასძინა, რომ პატიმრებს შიმშილობის აქციით ამ პრობლემისადმი საზოგადოებისა და მედიის დაინტერესების გაზრდის იმედი აქვთ.

კაკაბაძის თქმით, ზემოხსენებულმა პატიმრებმა დახმარების თხოვნით საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებსა და პრეზიდენტის მეუღლეს, სანდრა რულოვსსაც მიმართეს თუმცა უშედეგოდ. უფლებადამცველის თქმით, პატიმრების თხოვნა უპასუხოდ დარჩა.

**მედიანიუსი**

# ადამიანის უფლებათა დამცველები ოპოზიციის აქტივისტების დაკავებას გმობენ

სამოქალაქო მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს", „პატიმართა უფლებების დაცვის საქველმოქმედო ფონდი" და „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვის ასოციაცია" შაბათს რუსთაველის გამზირზე ოპოზიციის აქტივისტების დაკავებას გმობს.

– პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან მშვიდობიანი მომიტინგეების დაკავება და მათ მიმართ აკრძალული წესით ძალის გამოყენება ხელუსფლების მხრიდან თავისუფალი აზრის წინააღმდეგ და განსხვავებულად მოზაროვნე ადამიანების მიმართ მორიგი ძალადობრივი ქმედების განხორცილებაა. ეს ავტორიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელი ქცევაა და ამის მომსწრე ჩვენ უკვე მერამდენედ გავხდით. უკანონოდ დაკავებულ ადამიანთა გათავისუფლება – ესაა ჩვენი მოთხოვნა. ამავე დროს, დაკავებულ პირთა მიმართ მინიმალური უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფა – ეს არის ვალდებულება, რომელიც ხელისუფლებას აკისრია და უნდა შეასრულოს. ჩვენი მოძრაობის ადვოკატს ვლადიმერ მაჭარაშვილს, რომელიც სასამართლოში დაკავებულ პირთა დასაცავდ მივიდა, არ მიეცა საშუალება, დაცვა განეხორციელებინა, მანდატურმა მას გზა გადაუღობა და განაცხადა, რომ „ზემოდან თუ დართავდნენ ნებას, ამის შემდეგ შეუშვებდნენ შენობაში". ეს მაგალითი გახლავთ კლასიკური დარღვევა დაცვის უფლებისა, რაც სისხლის სამართლის წესით ისჯება. მივმართავთ ხელისუფლებას, უკანონოდ დაკავებული პირები გაათავისუფლოს და ადვოკატებს დაცვის განხორციელების შესაძლებლობა მიეცეთ, – ნათქვამია განცხადებაში.

**პირველი**

# ამომრჩევლებს 3-3 წლით დაპატიმრება ელით!

შალვა ჯოხაძე




**არასამთავრობო ორგანიზაციები: „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება", „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" კანონში ჩადებული საფრთხეების შესახებ საუბრობენ.**

მათი განცხადებით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში და სისხლის სამართლის კოდექსში შარშან დეკემბერში განხორციელებული ცვლილებები საფრთხეს უქმნის გამოხატვისა და საკუთრების უფლებებს და აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური აქტივობების შემზღუდველი ეფექტი, ასევე ქმნის არათანასწორ საარჩევნო გარემოს. კანონით დაწესებული შეზღუდვები, ხშირ შემთხვევაში, არაგონივრულია, ხოლო სანქციები – არაპროპორციული. კერძოდ, ახალი კანონით შემოღებულია ე.წ. პარტიასთან კავშირში მყოფი ფიზიკური და იურიდიული პირების ცნება, რომლებზეც შეზღუდვებისა და რეგულაციების იგივე რეჟიმი გავრცელდება, რაც თავად პარტიებზე. მაგალითად, ასეთად მიჩნეულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს უფლება არ აქვთ, შემოსავალი მიიღონ სამეწარმეო საქმიანობიდან, ხოლო სხვა სახის საქმიანობით მიღებული შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს წელიწადში; პარტიასთან დაკავშირებულ პირებს არ აქვთ ფიზიკური და იურიდიული პირებისგან კრედიტის აღების უფლება; მათი ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის მონიტორინგს განახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა და სხვა.

– კანონის თანახმად, პარტიასთან კავშირში მყოფი პირის დეფინიცია იმდენად ყოვლისმომცველია, რომ შესაძლებლობას იძლევა პარტიასა და მოქალაქეს/იურიდიულ პირს შორის კავშირი თითქმის ნებისმიერ შემთხვევაში დადგინდეს. გარდა ამისა, ნორმების ბუნდოვანება და ყოვლისმომცველობა გარდაუვალს ხდის კანონის შერჩევით და სუბიექტურ აღსრულებას. კანონით, ასევე, არ არის დარეგულირებული პარტიასთან კავშირში მყოფ პირად მიჩნევის გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, ან მისი გასაჩივრების წესი.

კანონი მნიშვნელოვან შეზღუდვებს უწესებს ფიზიკურ პირების საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებების გამოთქმისათვის, მაშინ როდესაც, საჯარო მოხელეებსა და თანამდებობის პირებზე მხოლოდ მინიმალური შეზღუდვები ვრცელდება აგიტაციის განხორციელებისას.

კანონი დაუდევრად არეგულირებს პირის საკუთრების დაყადაღება-ჩამორთმევის საკითხებს, რითიც რეალურ საფრთხეს უქმნის საკუთრების უფლებას. მაგალითად, კანონით შესაძლებელია სახელმწიფოს საკუთრებაში მოექცეს ისეთი თანხები, რომელთა უკანონობის თაობაზე თანხის მიმღებს შესაძლებელია თავად არ ჰქონდეს ინფორმაცია.

აღნიშნული ნორმები, სისხლის სამართლის კოდექსის ახალ ცვლილებებთან ერთად, რომელიც „ამომრჩევლის მოსყიდვისთვის" სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქალაქეებსაც უწესებს, არაგონივრულად შემზღუდველ რეგულირებებს აწესებს, რომლებიც შესაძლებელია შეეხოს თითოეულ მოქალაქეს. კანონის ბუნდოვანებიდან გამომდინარე, დიდია საშიშროება მათი არათანამიმდევრული და შერჩევითი იმპლემენტაციისა. ამავე დროს, არანაირი პასუხისმგებლობა არ დგება იმ შემთხვევაში, თუკი ამომრჩევლის მოსყიდვის ეფექტის მქონე საქმიანობა ფინანსდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს რელევანტური საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და აღმოფხვრას ზემოთ აღნიშნული ხარვეზები, რომლებიც აწესებს უსამართლო საარჩევნო გარემოს, ნებისმიერი ორგანიზაციისა და ფიზიკური პირისათვის გაუმართლებელი შეზღუდვების დაწესების პოტენციალს მოიცავს და გარდაუვალს ხდის სუბიექტურ და შერჩევით დამოკიდებულებას აღნიშნული შეზღუდვების დაწესების დროს, – აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ორგანიზაციების – სამართლიანი არჩევნების, საერთაშორისო გამჭვირვალობისა და საია-ს წარმომადგენლები აპირებენ, კანონმდებლებთან მუშაობა განაგრძონ და სცადონ, საკანონმდებლო ცვლილებების გზით, აღმოფხვრან კანონში არსებული ხარვეზები. ინფორმირების მიზნით, ისინი ასევე გამართავენ შეხვედრებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ამის პარალელურად, რამდენიმე დღეში სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან და მედიასთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ფართომასშტაბიან საინფორმაციო კამპანიაში.

შარშან მიღებული აღნიშნული კანონები რომ მრავალი დარღვევისა და საფრთხის შემცველი იყო, ამის შესახებ საუბარი კი მიმდინარეობდა, თუმცა ხელისუფლებამ ყურად არაფერი იღო და თავისი გაიტანა. საინტერესოა, კონკრეტულად რა საფრთხეებზეა საუბარი? ჩვენ ვეცდებით, ზემოხსენებული არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნებზე დაყრდნობით, მოგაწოდოთ ინფორმაცია, თუ რა შეზღუდვები შემოიღო ხელისუფლებამ.

თავდაპირველად, გავარკვიოთ, თუ ვის ეხება კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები. არასამთავრობოები ირწმუნებიან, რომ გაუმართლებლად ფართოა იმ პირთა წრე, რომელიც ე.წ. „პარტიებთან კავშირში მყოფ პირებს" ეხება და მათ მნიშვნელოვან შეზღუდვებს უწესებს.

ამ კატეგორიაში ხვდება იურიდიული პირი, თუ ის პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული პარტიასთან, რაც გულისხმობს, რომ იურიდიული პირის ხარჯები პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება პარტიის საქმიანობასა და მიზნებს; სხვაგვარად იმყოფება პარტიის კონტროლის ქვეშ; აქვს განცხადებული პოლიტიკური მიზნები და ამოცანები;? წარმომადგენლის მეშვეობით მოუწოდებს ამომრჩეველს რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერისკენ, ან მხარდაჭერისაგან თავის შეკავებისკენ; სხვა პირის მეშვეობით მოუწოდებს ამომრჩეველს რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერისკენ ან მხარდაჭერისაგან თავის შეკავებისკენ;

იურიდიულ პირთან ერთად რეგულაციები გავრცელდება ფიზიკურ პირზეც, თუ მას: აქვს განცხადებული პოლიტიკური და საარჩევნო მიზნები და ამოცანები; დაკავშირებულია განცხადებული პოლიტიკური და საარჩევნო მიზნების და ამოცანების მქონე პირთან; საქმიან ურთიერთობაშია განცხადებული პოლიტიკური და საარჩევნო მიზნების და ამოცანების მქონე პირთან და აქვს პოლიტიკური და საარჩევნო მიზნები; საქმიან ურთიერთობაშია გაცხადებული პოლიტიკური და საარჩევნო მიზნების და ამოცანების მქონე პირთან, რომელიც ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც გავლენას ახდენს არჩევნებში, პლებისციტსა და რეფერენდუმში საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების გამოვლენაზე და ეს ქმედებები ხორციელდება ამ კანონის რეგულაციებისთვის გვერდის ავლის მიზნით.

ასეთი ფართო ჩამონათვალის პირობებში, საქართველოს მოქალაქეების და არსებული იურიდიული პირების უმრავლესობას, კონტროლის პალატის სურვილის შემთხვევაში, მარტივად დაუწესდება ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდვები. აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, რომელსაც ეფუძნება აღნიშნული რეგულაციები, პარტიებთან დაკავშირებული პირებისათვის შეზღუდვების დაწესების შესახებ, მხოლოდ იურიდიულ პირებს ეხება და არ გულისხმობს ფიზიკური პირების მოქცევას ამ რეჟიმში.

საინტერესოა, რა შეზღუდვები დაუწესდებათ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს. სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვას რაც შეეხება, პარტიებთან დაკავშირებულად მიჩნეულ ორგანიზაციებს აეკრძალებათ სამეწარმეო საქმიანობა, გარდა დამხმარე სამეწარმეო საქმიანობისა, მაქსიმუმ 60 000 ლარის ფარგლებში წლის განმავლობაში;

ლიმიტი სხვა წლიურ შემოსავლებზე – პარტიასთან დაკავშირებულმა პირმა კანონით ნებადართული სხვადასხვა ღონისძიებების შედეგად წლის განმავლობაში შეიძლება მიიღოს მაქსიმუმ 60 000 ლარის შემოსავალი წლის განმავლობაში. მათ შორის იგულისხმება გრანტის მიღების შესაძლებლობაც. კანონის ჩანაწერებიდან გამომდინარე, გრანტის მიღების უფლება ცალსახა არ არის. კანონის საუკეთესო განმარტებითაც კი, თუ ვიტყვით, რომ გრანტის მიღების უფლება არსებობს, მისი ოდენობა ვერ იქნება ზემოთ აღნიშნულ 60 000 ლარზე მეტი წლის განმავლობაში.

დადგინდა ლიმიტი პარტიებისა და მასთან დაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული პირების შემოსავლებზე მთლიანი შიდა პროდუქტის 0,2%-ის ოდენობით. ვფიქრობთ, რომ ასეთი რეგულაცია გაუმართლებელია, რადგანაც გაუგებარია, რა მექანიზმებით არის შესაძლებელი პოლიტიკური პარტიებისთვის მასთან პირდაპირ და არაპირდაპირ კავშირში მყოფი ყველა პირის (ფიზიკური თუ იურიდიული) საერთო წლიური შემოსავლის გაგება, რაც აუცილებელია, რადგანაც კანონის მიხედვით ლიმიტის ზევით მიღებული თანხა იძულებით გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

სესხი/კრედიტის აღების უფლება – პარტიასთან დაკავშირებულ პირებს არ აქვთ ფიზიკური და იურიდიული პირებისგან კრედიტის აღების უფლება.

განისაზღვრა შეზღუდვები შემომწირველებზე – თუ შემომწირველი ფიზიკური პირები შემოსავალს ერთი წყაროდან იღებენ, მაშინ მათ მიერ ერთი საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ განხორციელებულ შემოწირულებათა საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500 000 ლარს წელიწადში. ამ მოთხოვნის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს, როგორც შემომწირველს, ასევე პარტიას ან მასთან დაკავშირებულ პირს, რაც არალოგიკურია, რადგან შემოწირულების მიმღებისათვის შეუძლებელია წინასწარ იმის ცოდნა: ა) შემომწირველი ფიზიკური პირები შემოსავალს მთლიანად ან ნაწილობრივ იღებენ ერთი წყაროდან თუ არა, რადგან შემოწირულების გაკეთებისას ამ ინფორმაციის მითითება არ ხდება; ბ) კონკრეტულმა შემომწირველმა გადააჭარბა მისთვის დადგენილ შემოწირულების განხორციელების წლიურ ლიმიტს 60 000 ლარს, თუ არა.

მნიშვნელოვანია ისეთი საკითხიც, როგორიცაა კონტროლის პალატა. კონტროლის პალატას პარტიების დაფინანსების კონტროლისა და მათთან კავშირში მყოფ პირთა დადგენის თვალსაზრისით ულიმიტო უფლებამოსილებები მიენიჭა. კანონის მიხედვით, საქართველოს კონტროლის პალატა უფლებამოსილია, პირებისაგან მოითხოვოს ინფორმაცია მათ მიერ პარტიებთან დაკავშირებული პირებისთვის გადაცემული ან დაკავშირებული პირებისაგან მიღებული ქონების წარმომავლობის შესახებ. კონტროლის პალატა უფლებამოსილია, მოახდინოს რეაგირება პარტიის დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევაზე და გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული სანქცი-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# გაუზრდიან თუ არა ვეტერანებს პენსიას?

## პარლამენტში ახალი კანონპროექტი შევა

შალვა ჯოხაძე

**ვეტერანების უფლებები საქართველოში კვლავ უხეშად ირღვევა, რასაც მათი მხრიდან გახშირებული აქციებიც მოწმობს. თუმცა, სამწუხაროდ, აქციები მათ ვერ შველის. ამის დასტურად თუნდაც იმ ფაქტის გახსენებაც კმარა, თუ როგორ უმოწყალოდ დაარბიეს ზუსტად ერთი წლის წინ, იანვარში, ვეტერანების აქცია გმირთა მოედანზე. შიმშილობის აქცია მიმდინარეობს დღესაც, ამჯერად ვეტერანი ავიატორები პრეზიდენტის რეზიდენციასთან ელიან, რომ სახელმწიფო მათ პრობლემებს მოაგვარებს.**

აქციის მონაწილეები ქვეყნის პირველ პირს ორი მოთხოვნით მიმართავენ: ყოფილი ავიატორების შესახებ სახელმწიფომ საპენსიო კანონი მიიღოს და ხელისუფლებამ დაფაროს წლების განმავლობაში დაგროვილი გაუცემელი კომპენსაციები, რომელთა გადახდაც უზენაესმა სასამართლომ სწორედ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას დააკისრა.

ვეტერანი ავიატორების პრობლემებთან დაკავშირებით ინფორმირებულია ვეტერანთა ომბუდსმენი, ადამიანის უფლებათა დამცველი გიორგი თევზაძეც. მისი განცხადებით, ის სრულად იზიარებს ვეტერანი ავიატორების კანონიერ მოთხოვნებს და შესაბამისი უწყებებისა თუ ორგანიზაციების წინაშე, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ამ საკითხს აუცილებლად დააყენებს.

აღსანიშნავია, რომ ვეტერანთა ომბუდსმენი ქართულ რეალობაში სიახლეს წარმოადგენს. „საქართველოს ვეტრენთა ფედერაციამ" გიორგი თევზაძე სულ ახლახან აირჩია ვეტერანთა ომბუდსმენად. საქართველოს სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშსა და ვეტერანთა ომბუდსმენ გიორგი თევზაძეს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიც გაფორმდა.

**გიორგი თევზაძე:**

– „საქართველოს ვეტერანთა ფედერაციაში" 35-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია გაერთიანდა. ამ ფერდერაციის წარმომადგენლებმა ვეტერანთა ომბუდსმენად მე ამირჩიეს. აღსანიშნავია, რომ ვეტერანთა ფედერაცია საკმაოდ ქმედითი ორგანიზაციაა და ჩვენ ვეტერანთა მსოფლიო ფედერაციასთან თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს.

მოგეხსენებათ, სახალხო დამცველსა და ჩვენს ორგანიზაციას შორის რამდენიმე დღის წინ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ვეტერანთა მრავალათასიან არმიას უკვე, ჩემი სახით, ვეტერანთა ომბუდსმენი ჰყავს. მართალია, სახალხო დამცველი განურჩევლად, ყველას ინტერესებს იცავს, მაგრამ ვეტერანებისთვის ვეტერანთა ომბუდსმენის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თანაც, საერთაშორისო ორგანი-



გიორგი თევზაძე

ზაციების მოთხოვნაც იყო, რომ ამ კუთხით მომუშავე ომბუდსმენი გვყოლოდა ქვეყანაში.

***– თქვენ, როგორც ვეტერანთა ომბუდსმენს, რა დარღვევებზე, რა საკითხებზე შეიძლება მოგმართონ ვეტერანებმა?***

– ნებისმიერ საკითხზე, რომლითაც, მათი აზრით, მათივე უფლებები ირღვევა. ჩვენ ვეტერანების მხრიდან შემოსულ განცხადებებს განვიხილავთ და მოვახდენთ რეაგირებას, გადავაგზავნით სახალხო დამცველის ოფისში, საქმის კურსში ჩავაყენებთ სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე მიმდინარეობს.

***– ზუსტად ერთი წლის წინ ვეტერანების აქცია უმოწყალოდ დაარბიეს. აქციები ეწყობა ახლაც. ამ ერთი წლის განმავლობაში, ვეტერანების მოთხოვნები ოდნავ მაინც თუ დაკმაყოფილდა?***

– არაფერი შეცვლილა. ამ საკითხების მოსაწერსიგებლად კომპლექსური მუშაობაა საჭირო. ვეტერანები არის ის კატეგორია, რომელსაც ყველაზე მატად უნდა მშვიდობა. მათ საკუთარ თავზე აქვთ გამოცდილი ყველა ის უბედურება, რაც საომარ ვითარებას ახლავს თან. ამ ადამიანებს ერმა პატივი უნდა სცეს. ყველა დემოკრატიული ქვეყანა პატივს სცემს თავის ვეტერანებს. ჩვენმა ხელისუფლებამ, რომელსაც უცხოეთის მაგალითები გადმოაქვს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, ესეც უნდა გადმოიტანოს. ვეტერანების პენსია სიმბოლურია და ხშირად, დაგვიანებით გაიცემა. ეს სერიოზული პრობლემაა, თუმცა ამას სხვა პრობლემატური საკითხებიც ერთვის.

ამიტომაც, ჩვენ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ კანონპროექტი მოვამზადეთ, რომელშიც ყველა იმ პრობლემის გადაჭრის გზა შევიტანეთ, რაც დღეს ვეტერანების წინაშე დგას. სახელმწიფომ კანონის დონეზე უნდა უზრუნველყოს ვეტერანებისთვის აუცილებელი უფლებები. კანონპროექტი ძირეულად ცვლის სიტუაციას, ახალ ხედვას წაროადგენს საპენსიო უზრუნველყოფის, საშეღავათო სისტემისა და ვეტერანთა ჯანდაცვის მიმართულეით. ჩვენ ამ კანონპროექტს სახალხო დამცველს გადავუგავზვნით, პარლამენტშიც შევიტანთ და ვეცდებით, ახალი კანონი იყოს მიღებული.

ცალკე გამოვყოფ ვეტერანი პატიმრების საკითხს. სახალხო დამცველსა და ჩვენ შორის დადებულ მემორანდუმში საუბარია, რომ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შეთანხმების საფუძველზე, ერთობლივად განვახორციელოთ სხვადასხვა ღონისძიებები საქართველოში ვეტერანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით. ზემოაღნიშნული მიმართულებით ურთიერთთანამშრომლობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, გავმართოთ შეხვედრები, კონსულტაციები, რათა დავგეგმოთ ურთიერთთანამშრომლობის გზები, კონკრეტული საქმიანობები და გავცვალოთ ჩვენ ხელთ არსებული საჯარო ინფორმაცია. ეს ყველაფერი დაგვეხმარება, ვეტერან პატიმრებზე განსაკუთრებულად ვიზრუნოთ. ცხადია, მათი დამნაშავეობა-უდანაშაულობის საკითხებში ვერ შევალთ, თუმცა მათ უფლებებზე ვიზრუნებთ. ამაში დახმარებას გაგვიწევს ის, რომ ომბუდსმენს ციხეების მონიტორინგის უფლება აქვს. ბატონ გიორგი ტუღუშთან იყო საუბარი, რომ შეიქმნას პრევენციული ჯგუფი, რომელიც სწორედ ვეტერანი პატიმრების მიმართულებით იმუშავებს და რომელშიც ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას, უშუალოდ განვახორციელებთ საპატიმროების მონიტორინგს. ასევე, გვაქვს მოსაზრება, შეიქმნას გარკვეული ჯგუფი, რომელიც ასეთი პატიმრების საქმეების გადახედვას მოახდენს. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, რასაკვირველია, შესაბამისი რეაგირება მოხდება.

დასაწყისი მე-4 გვერდზე

# ადა მარშანია: ხელისუფლებას სანდრო გირგვლიანის მკვლელობა არ შერჩება!"

პირველივე სხდომაზე, კაბინეტის პირველი გაღების შემდეგ, დაიწყებს სანდრო გირგვლიანის მკვლელების დასჯას, ამ მკვლელობის გამოძიებას. ლეიბორისტებს გვაქვს ინიციატივა მერიის წინაშე, რომ დედაქალაქის რომელიმე მყუდრო ლამაზ ქუჩას დაერქვას გმირი ქართველი დედის, დედის ეტალონის ირინა ენუქიძის სახელი, რომ არ დაგვავიწყდეს მისი სახელი, რათა შვილების აღზრდის პროცესში სწორება ირინა ენუქიძესა და სანდროზე გავაკეთოთ. იმის მაგივრად, რომ ბუშის ქუჩა და რეიგანის ძეგლი იხსნებოდეს, ასეთი ადამიანების ძეგლი უნდა იხსნებოდეს, ასეთი ადამიანის სახელი უნდა ერქმეოდეს ქუჩებს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ხელისუფლებაში ისეთი ადამიანები მოვიდნენ, რომლებიც ხალხის ნებას აღასრულებენ.

ადამიანის უფლებათა დამცველმა დავით ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ „ყველას ახსოვს, როგორ მოგვიკლეს თითოეულ ჩვენგანს სანდრო გირგვლიანი და როგორ შეეწირა მის სიკვდილს და სამართლიანობისთვის ბრძოლას ირინა ენუქიძე. არ გავჩერდებით მანამ, სანამ არ დაისჯებიან ისინი, ვინც იყვნენ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ორგანიზატორები. ესენი არიან დონაძე, მელნიკოვი, ახალაია, სანოძე და სხვები. ისინი აუცილებლად უნდა დაისაჯონ. ვფიქრობ, ამ ბრძოლაში შედეგს მივაღწევთ. ოღონდ, უფრო მეტნი უნდა ვიყოთ და შეგვტკიოდეს გული იმის გამო, რომ ქუჩაში ასობით ახალგაზრდა იღუპება. იმედი მაქვს, სამოქალაქო საზოგადოება სააკაშვილის რეჟიმს დაამარცხებს.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი ადა მარშანია ძალიან ამაღელვებელი სიტყვით გამოვიდა და ადამიანებს თვალზე ცრემლიც მოჰგვარა

ადა მარშანია ვერ პატიობს მიხეილ სააკაშვილს კოდორის ჩაბარებას, გორში მიწაზე ფორთხიალს და სხვა ფაქტებს.

– მაგონდება კურდღელის თვისება, ტყეში რომ დაინახავს, მგლები მისდევენ, შეშდება ხოლმე. ჰგონია, მგლები მას ვერ დაინახავენ და მგელი ვერ შეჭამს. ეს სჭირს ჩვენს საზოგადოებასაც. რამ გაგვაშეშა, ხალხო? შიშმა? მგლების ხროვის გამოჩენამ? თუ გვეშინია, აჰა, ასეც მიდის ცხოვრება, ჩვენი ყოფა, რა ყოფაშიც არის დღეს ჩვენი საზოგადოება. როგორ ცხოვრობს ჩვენი საზოგადოება დღეს, ჩვენ ეს ყველაფერი თავად დავიმსახურეთ ჩვენი ლაჩრობით, ჩვენი შიშით. ჩვენი ცხოვრებით. გავშეშდეთ, ვიყოთ სახლში. დაიღუპება ჩვენი ქვეყანა, დაიღუპება ჩვენი მომავალი და არაფერი ჩვენ არ ვიქნებით. ჩვენ არ ვიქნებით იმ მეომარი, ამაყი, გულადი წინაპრების შთამომავალი და მათი ღირსნი.

ჩვენ ვიქნებით მხოლოდ ფიზიკური რაოდენობა, ბიოლოგიორი რაოდენობა ხალხისა, რომელსაც ჰქვია ქართველობა, რომელიც იბრძვის, რომ ჭამოს. საღამოს შეჭამს და შემდეგ წვება, რომ გამოიძინოს. აქამდე დავიდა ჩვენი ცხოვრება. აქამდე დავიდა ჩვენი თვითშეგნება. რა დაგვემართა, ხალხნო? როგორ უნდა გვეშინოდეს რურუასი? როგორ უნდა გვეშინოდეს არარაობის... არ გიცნობდე მაინც, ვანო, არაფერი არ ხარ შენ! ოთხი წელი პარლამენტის დარბაზში ერთად ვისხედით, სამწუხაროდ, და გამარჯობის თქმისაც კი ეშინოდა ჩვენთვის ამ ადამიანს. რა იყო ეს, ვერავინ გავიგეთ. ასეთივე არარაობა ხარ შენ, მკვლელო, ფაშისტო, გარშემორტყმული ვაით და უით, პრეზიდენტო საქართველოსი.

მოდით, ჩვენი წინაპრების წინაშე არ შევრცხვეთ. ჩვენი გმირი, ამაყი და კეთილშობილი წინაპრების პატივისცემა გვქონდეს. ნუთუ ჩვენ ამ უბადრუკ, მკვლელ და ფაშისტ ხელისუფლებას ვერ მოვერევით?

ამისთვის ძალიან მარტივი მეთოდია. ერთმანეთს ვეკითხებით, რა ეშველება, როგორ? ყველას ეშინია ტყვიის მიღება გულში, ყველას სიცოცხლე და ცხოვრება გვინდა. გასაგებია. რატომ უნდა მომკლას ვანოს ტვინგადაბრუნებულმა სპეცნაზმა? რასაკვირველია, ყველას ცხოვრება გვინდა, მაგრამ მარტივი, ძლიერი, კარგი გამოსავალი არსებობს – თუ ბევრნი ვიქნებით ერთად ქუჩაში გამოსულები, ვერაფერსაც ვერ გაგვიკეთებენ. 300 ათასი, 400 ათასი, 500 ათასი უნდა ვიყოთ. არ დავიზაროთ, არ მოგვშივდეს, არ მოგვწყურდეს, არ შეგვცივდეს, გავძლოთ ერთი კვირა და ამათი ბუნდღა აღარ იქნება.

არ გავახსენოთ ერთმანეთს, რომ გამოვედით, რა გავაკეთეთ? არ გვინდა ასეთი ლაპარაკი, ხალხნო! ერთხელ არ გამოვიდა, მეორედ გამოვა. კარგად თქვა მინდია უგრეხელიძემ, იმის გამო, რომ თოფმა ერთხელ არ გაისროლა, თოფი იარალი აღარ არის, მერე არ გაისვრის თუ რა? ამიტომ ძველი თოფები, ლულები, ანუ ჩვენი სულები კარგად მოვამზადოთ ისე, როგორც თოფს ამზადებენ, გავწმინდოთ სულები და კარგად მოვიმარაგოთ ტყვიები. ტყვიებში ვგულისხმობ გაბრაზებას. ერთი გაბრაზება სანდრო, მეორე გაბრაზება ბუტა, მესამე – ვაზაგაშვილი, მეოთხე გაბრაზება სააკაშვილის ფორთხიალი გორში, უზარმაზარი ზარბაზანი და გაბრაზება კოდორის ჩაბარება, ჩემი წინაპრების მიწა-წყლის ჩაბარება დღე-ნახევარში, ხალხნო! მიშა, მე შენ ამას არასოდეს გაპატიებ! შენ კოდორზე პასუხს აგებ. მიშა! როგორ ჩააბარე ჩემი წინაპრების მიწა-წყალი რუსეთის იმპერიის ჯარისკაცებს, სადაც მათ ფეხი არასოდეს დაუდგამთ? ჩვენ მათ იქ არასოდეს ვუშვებდით. ვინ ხარ შენ? კიდევ ერთი ტყვია და გაბრაზება არის 26 მაისი. ეს არის ჩვენი თოფი და ზარბაზნები და ტყვიები. ყოველი ფაქტი ზარბაზანია, ყოველი ერთი ადამიანის სიკვდილი ტყვიაა. ეს არის გამოსავალი. მოდით, გავაკეთოთ ორგანიზება, დავუდგეთ ერთმანეთს გვერდში და გავაგდოთ ეს უვარგისი და გადაგვარებული ხალხი საქართველოს გულიდან და სხეულიდან, – ასეთია ადა მარშანიას აზრი.

# ქდმ-ს ლიდერები ვაშინგტონში შეხვედრებს მართავენ

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერები ვაშინგტონში შეხვედრებს განაგრძობენ. პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, გიორგი თარგამაძე და პარტიის საერთაშორისო მდივანი გიორგი რუხაძე როკვილის ქართულ ეკლესიაში მივიდნენ და წირვას დაესწრნენ.

მოგვიანებით, გაიმართა შეხვედრა ვაშინგტონში მცხოვრებ ქართველებთან. გიორგი თარგამაძემ ქვეყანაში და რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე, წინასაარჩევნო ვითარებაზე, ქვეყანაში დემოკრატიის დონეზე, მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობაზე და სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობაზე ისაუბრა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. პარტიის საერთაშორისო მდივანმა გიორგი რუხაძემ „ქრისტიან-დემოკრატების" ოთხწლიანი საქმიანობა შეაჯამა და ვაშინგტონში მცხოვრებ ქართველებს გიორგი თარგამაძის გუნდის პოლიტიკური ხედვა და სამომავალო გეგმები გააცნო.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერების ვიზიტი ვაშინგტონში 26 თებერვალს დაიწყო და 3 თებერვლამდე გაგრძელდება. შეხვედრები უკვე შედგა სახელმწიფო დეპარტამენტში, სენატსა და წარმომადგენლობით პალატაში. ასევე, ამერიკის რესპუბლიკურ და ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტებში.

შეხვედრები დაგეგმილია სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებში, მათ შორის, სოფლის მეურნოების სამინისტროში. გიორგი თარგამაძე 2 თებერვალს მიწვეულია საუზმეზე პრეზიდენტ ობამასთან.

ინტერპრესნიუსი

დასაწყისი მე-5 გვერდზე

# ამომრჩევლებს 3-3 წლით დაპატიმრება ელით!

ები. საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობია, როგორ აპირებს კონტროლის პალატა მასზე დაკისრებულ უფლებამოსილებათა შესრულებას მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება იურიდიული პირის პოლიტიკურ პარტიასთან არაპირდაპირ კავშირში ან/და იურიდიული პირის ხარჯების პოლიტიკურ პარტიასთან არაპირდაპირ დაკავშირებაში, რა შემთხვევაშია იურიდიული პირი პოლიტიკური პარტიის კონტროლის ქვეშ, რა გარემოებების არსებობისას შესაძლოა პოლიტიკური მიზნები და ამოცანები დაკვალიფიცირდეს გაცხადებულად, რა შემთხვევაში ჩაითვლება ფიზიკური პირი დაკავშირებულად, რა შემთხვევაში აქვს იურიდიულ პირს პოლიტიკურ სუბიექტთან საქმიანი ურთიერთობები, მაშინ, როდესაც იურიდიულ პირს ისედაც ეკრძალება პარტიისთვის შემოწირულების განხორციელება და ა.შ.

ფიზიკურ პირები კონტროლის პალატის მიმართ ანგარიშვალდებულები იქნებიან. ახალი კანონმდებლობით, კონტროლის პალატა უფლებამოსილია, პოლიტიკურ პარტიასთან კავშირში მყოფ ფიზიკურ პირს მოსთხოვოს პარტიის დაფინანსებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ამასთან, კანონით არ არის განსაზღვრული როგორ იღებს კონტროლის პალატა გადაწყვეტილებას პირის ან ორგანიზაციის პარტიასთან კავშირთან თაობაზე და არ იკვეთება აქვს თუ არა პირს ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. ვფიქრობთ, რომ ასეთ პირობებში საქართველოს მოქალაქეებისა და არსებული იურიდიული პირების უმრავლესობა, კონტროლის პალატის სურვილის შემთხვევაში, მარტივად მოექცევა აღნიშნული ცნებების ფარგლებში და შესაბამისად, დაუწესდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები. გარდა ამისა, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, პარტიებთან დაკავშირებული პირებისათვის შეზღუდვების დაწესება მხოლოდ იურიდიულ პირებს შეეხება.

კონტროლის პალატას ყადაღის დადების უფლება ეძლევა – კანონი კონტროლის პალატას ანიჭებს უფლებას, ყადაღა დაადოს პარტიის ან მასთან დაკავშირებული ფიზიკური ან/და იურიდიული პირის ქონებას (მათ შორის, საბანკო ანგარიშებს), თუმცა დაურეგულირებელი რჩება მრავალი ისეთი საკითხი, რომელსაც სხვა შემთხვევებში კანონმდებლობა ცხადად აწესრიგებს, მაგალითად: ა) არ არის შემოთავაზებული ყადაღის დადების თაობაზე სასამართლოს მიერ დავის განხილვის საგამონაკლისო, მცირე ვადები. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო დავები შეიძლება თვეებისა და ზოგჯერ წლების განმავლობაშიც გაგრძელდეს, ყადაღის მოქმედება მთელი ამ პერიოდის მანძილზე მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს, როგორც ფიზიკურ პირებს, ისე კერძო კომპანიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს; ბ) კანონის თანახმად, ყადაღის გამოყენება შესაძლოა, პარტიისა და მასთან დაკავშირებული პირების მთლიან ქონებაზე და არა სადავო თანხის შესაბამის ქონებაზე, რაც არასწორად მიგვაჩნია; გ) არ არსებობს კრიტერიუმების ჩამონათვალი, რომლის გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს ყადაღის გამოყენება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ამომრჩეველთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, წესდება ამომრჩევლის პასუხისმგებლობა და გარკვეულ შემთხვევებში დგება მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. კერძოდ, 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით დაისჯება ის ამომრჩეველი, რომელიც პოლიტიკური პარტიის ან მასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული პირისგან ფულად ან სხვა საჩუქარს მიიღებს ან მოითხოვს. აღნიშნული რეგულაცია გაუმართლებლად მკაცრია განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ნორმა საკმაოდ ბუნდოვანია. ამომრჩეველს პასუხისმგებლობა დაეკისრება, მიუხედავად იმისა, თუ რა ღირებულების ქონებას მოითხოვს ან მიიღებს.

# კახა კუკავა: ივანიშვილს მთელი ოპოზიცია უნდა გაეერთიანებინა

ნათია ხურცილავა

კახა კუკავა, ლევან გაჩეჩილაძე, ნინო ბურჯანაძე, კოკა გუნცაძე და გუბაზ სანიკიძე, გავრცელებული ინფორმაციით, მესამე პოლიტიკურ ცენტრს ქმნიან, რომელიც ამომრჩეველთა იმ სეგმენტზე იმუშავებს, რომელიც რადიკალია და მზად არის, ქუჩის აქციებით შეცვალოს ხელისუფლება.

ინტერვიუ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან:

***— ბატონო კახა, რამდენად რეალურია, შეიქმნას მესამე პოლიტიკური ძალა, რომელიც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ცენტრისგან განსხვავებით იმუშავებს?***

— ჩვენი პარტია, „თავისუფალი საქართველო“, არაერთხელ გამოსულა ინიციატივით, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ ერთიანი ოპოზიციური ფრონტი უნდა შედგეს. სასურველი იქნებოდა, ბიძინა ივანიშვილს აელო ეს ინიციატივა თავის თავზე. თუმცა, ჯერჯერობით მან სხვა გადაწყვეტილება მიიღო და ორ ლიბერალურ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს. ჩვენ მესამე ცენტრის შექმნის ამოცანა კი არ გვაქვს, არამედ ჩვენი ამოცანაა, რომ რაც შეიძლება ფართო ოპოზიციური გაერთიანება შეიქმნას, მაგრამ ცალკეული პოლიტიკური ძალები თავად არ მოისურვებენ ერთიანი ფრონტის შექმნას, ავტომატურად გამოვა, რომ ის არ იქნება ერთადერთი ოპოზიციური ძალა. მერე ეს ძალა უკვე მესამე იქნება, მეოთხე თუ მეორე, ამას საარჩევნო კამპანია გამოაჩენს.

***— ივანიშვილის პოლიტიკურ ცენტრში უკვე მიმდინარეობს მუშაობა და არ ვფიქრობ, რომ სხვა მიმართულებით დაიწყონ მოლაპარაკებები. როგორ წარმოგიდგენიათ, რომ შეიქმნას ერთიანი ოპოზიციური ერთობა?***

— ჩვენ კონსულტაციები გვაქვს ცალკეულ პოლიტიკურ ძალებთან.

***— ვისთან მიმდინარეობს კონსულტაციები?***

— მე არ მინდა ახლა დავასახელო, ჩვენ ამის შესახებ განცხადება გვექნება, მაგრამ არა დღეს და არა ხვალ. ჯერ იანვარია და არჩევნებამდე 10 თვით ადრე საარჩევნო ბლოკებს არავინ არ ქმნის. ვისთან ვთანამშრომლობთ, დიდი საიდუმლო არ არის. ვფიქრობ, საბოლოო ჯამში ეს ბლოკი აუცილებლად შედგება. ივანიშვილის კოალიციაში ორი პარტია რომ არის და არა ხუთი პარტია, ეს არ არის იმის გამო, რომ ვინმეს ჩვენ გავემიჯნეთ. ეს მათი არჩევანია, რომელსაც ჩვენ პატივს ვცემთ. ყველა პარტიას აქვს უფლება, თავად აირჩიოს თავისი პარტნიორი. ჩვენ, ჩვენს პარტნიორებთან ერთად, შევქმნით საარჩევნო ბლოკს. დიდი იმედი მაქვს, ქართველ საზოგადოებას ყველაზე უფრო სწორ პროგრამას შევთავაზებთ.

***— როგორც ვიცი, ამ ბლოკში იქნებიან ლევან გაჩეჩილაძე, ნინო ბურჯანაძე, გუბაზ სანიკიძე, კოკა გუნცაძე, რამდენად რეალურია ეს გვარები?***

— ჩვენ ბევრად უფრო მეტ ადამიანთან და ორგანიზაციასთან გვაქვს ურთიერთობა, მაგრამ პოლიტიკურ კონსულტაციებში არსებობს წესი, რომ სანამ ეს კონსულტაციები არ დასრულდება, ერთმა მხარემ არ უნდა გაამჟღავნოს მისი შედეგები. როდესაც შევთანხმდებით და კონსულტაციები დასრულებულ, შეთანხმებულ სახეს მიიღებს, ჩვენ ამას ერთად გავახმოვანებთ. ახლა მოლაპარაკების დეტალებზე რომ ვისაუბრო, ჩემი მხრიდან კორექტული საქციელი არ იქნება.

***— თუმცა, ეს გვარები სახელდება...***

— ამას თავისი საფუძველი აქვს ჩვენი უახლესი პოლიტიკური ბიოგრაფიიდან გამომდინარე. კონსულტაციები ბლოკის შექმნის შესახებ ძალიან ბევრ ფაქტორზე არის დამოკიდებული. წინასწარ მეც არ ვიცი, ეს კონსულტაციები რა ფორმას მიიღებს. არიან ადამიანები, რომლებიც უფრო მოტივირებულები არიან, არიან ადამიანები, რომლებიც შედარებით ნაკლებად — მერყეობენ. ეიფორიამ გაიარა და საზოგადოებამ სწორედ ახლა, თებერვალ-მარტში უნდა გააკეთოს რაციონალური არჩევანი, არჩევანი პროგრამებს შორის. ჩვენ ძალიან განსხვავებული პროგრამა გვექნება ხელისუფლებისგანაც და ოპოზიციის იმ ნაწილისაგან. დღეს, „თავისუფალი საქართველოსა“ და ერთი–ორი პარტიის გარდა, დანარჩენი პარტიების პროგრამას რომ ჩახედოთ, ნახავთ, რომ მათ და ხელისუფლებას ერთი და იგივე პროგრამა აქვთ. საგარეო პოლიტიკაში — ნატო. საშინაო პოლიტიკაში — საპრეზიდენტო სისტემა. ჩვენ გვინდა, საზოგადოებას არა მხოლოდ პერსონების ცვლილებები შევთავაზოთ, არამედ სისტემური ცვლილებები.

***— რაში გამოიხატება?***

— არ ვიცი, რამდენი პროცენტი იქნება, მაგრამ ჩვენი საზოგადოების ძალიან სოლიდური ნაწილი საკმარისად მომწიფდა იმისათვის, რომ ხმა მისცეს ცვლილებებს და არა მხოლოდ ხავსს ჩაეჭიდოს.

***— ეს პოლიტიკური ცენტრი ქუჩისკენ იქნება უფრო ორიენტირებული?***

— დიახ, ქუჩისკენ იქნება ორიენტირებული.

***— რა სეგმენტზე აკეთებთ გათვლას?***

— ეს არის სეგმენტი, რომელიც რამდენიმე ნიშნით შეიძლება დახასიათდეს. პირველი, ის ადამიანები, რომლებიც ეროვნულ ფასეულობებზე არიან ორიენტირებული და არა ამერიკულ ფასეულობებზე. ტრადიციული მენტალიტეტის მქონე ადამიანებზეა გათვლა. მეორე, ადამიანები, რომლებიც არც შევარდნაძის დროს და არც სააკაშვილის დროს არ იყვნენ არანაირ კორუფციაში ჩართული, ძირითადად ქუჩაში მიტინგებზე დგომით იყვნენ დაკავებული. ცნობილი გამონათქვამის არ იყოს, რევოლუციას ახორციელებენ მამაცები და სარგებლობენ ნაძირლები. ჩვენ გამოვხატავთ იმ მამაცი ხალხის ინტერესებს, რომელიც დღეს იგნორირებულია. არა მხოლოდ ხელისუფლებამ, არამედ რამდენიმე ოპოზიციონერი ლიდერისაგან ლამის ზიზღნარევი შეფასებები მოვისმინე საპროტესტო აქციების მონაწილეებთან დაკავშირებით.

***— ისინი ამბობენ, რომ აქციებმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა...***

— ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. ჩვენ ორიენტირებული ვართ არჩევნებზე, მაგრამ ჩვენ არ გამოვრიცხავთ საპროტესტო აქციებს, როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას. მით უფრო მე არ მიმაჩნია, რომ სამარცხვინოა, თუ ვინმე 7 ნოემბერს, 9 აპრილს ან 26 მაისს რუსთაველის გამზირზე იდგა და პოლიციელის დუბინკას თავს უშვერდა. პირიქით, მე ვფიქრობ, ეს საამაყოა, როდესაც ქვეყანაში გირგვლიანს კლავენ ან მსგავსი რამ ხდებოდა, სწორედ რუსთველის გამზირზე უნდა იდგეს ადამიანი და არა მინისტრის კაბინეტში.

***— რა შემთხვევაში შეიძლება ქუჩაში გახვიდეთ? ამბობენ, რომ საპარლამენტო არჩევნებს ვერ გააყალბებს სააკაშვილი...***

— მე ასეთი ნდობით ვერ ვეკიდები სააკაშვილს. რა თქმა უნდა, არ მჯერა, რომ არ გააყალბებს. სწორედ საპროტესტო აქციები არის ერთადერთი ბერკეტი, რაზეც სააკაშვილი რეაგირებს.



კახა კუკავა

არაფერს სხვაზე ეს ადამიანი არ რეაგირებს. ჩვენ წინასწარ ვიცით, თუკი საპროტესტო აქციები, ქუჩიდან ზეწოლა არ იქნა, ზუსტად ისე გააყალბებს ამ არჩევნებს, როგორც ყველა წინა არჩევნები გააყალბა.

***— თუმცა, არგუმენტი არის, რომ ყველა ქუჩის ბრძოლა სააკაშვილმა მოიგო...***

— ჩვენ გასული წლების განმავლობაში ოპოზიციას გვქონდა ქუჩის სტრატეგიაც და ხელისუფლებასთან კონსტრუქციული მოლაპარაკებებიც. დღესაცით ნათელია, რომ სწორედ ქუჩის აქციების შედეგად გადადგა სააკაშვილი და სამი ვადამდელი არჩევნები დაინიშნა. შეგახსენებთ, ბოლო კონსტრუქციული მოლაპარაკებები, რომელიც 2011 წელს საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ჩატარდა, ნულოვანი შედეგით დასრულდა. შეფასებებში ობიექტური უნდა ვიყოთ. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ მოვახერხეთ საბოლოო გამარჯვების მოპოვება და ბრძოლა ამიტომაც გრძელდება, მაგრამ თუ შედარებაზეა საუბარი, კონსტრუქციული მოლაპარაკებები სრულიად სამარცხვინო პროცესი იყო, რომლითაც ხელისუფლების ფასადი იქნა შელამაზებული. ხოლი საპროტესტო აქციებს არა მხოლოდ სააკაშვილის გადადგომა და ვადამდელი არჩევნები მოჰყვა, არამედ ყველა ის სოციალური შეღავათი, რომელიც ხელისუფლებამ დევნილებისთვის, პენსიონერებისთვის, მცირე მეწარმეებისთვის, ადმინისტარციულად დაჯარიმებული პირებისთვის, ეს ყველაფერი 7 ნოემბრის ან 9 აპრილის აქციების წინ მოხდა. ზოგიერთი ჩვენი კოლეგა მოლაპარაკებების აპოლოგეტია, ყველა მოლაპარაკება საპროტესტო აქციების შემდეგ იწყებოდა. როგორც კი თბილისის ქუჩებში შეწყდა საპროტესტო აქციები, ხელისუფლებამ მოლაპარაკებებიც შეწყვიტა. ამას რომ ვერ ხვდება, იმ პოლიტიკოსების პოლიტიკოსობაში ეჭვი მეპარება. საპროტესტო აქციები ოპოზიციის იარაღია, მოლაპარაკებები — ხელისუფლების.

***— მოვისმინე შეფასება, რომ მესამე ძალა სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს. რას იტყვით?***

— ცოტა უცნაურია ეს.

***— ოპოზიციის მეორე ნაწილი ამბობს, რომ ნაციონალური მაუწყებლებიც კი გაიხსნება თქვენთვის, რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს?***

— ჯერჯერობით პირიქით არის. ყველა ტელევიზიაში თუ ვინმეს ლანძღავენ, ეს მე ვარ, ან ნინო ბურჯანაძე, ან ლევან გაჩეჩილაძეა. იმ ადამიანებისგან ამის თქმა ჩემზე, რომლებიც ბოლო მომენტამდე სააკაშვილთან იყვნენ ჩახუტებული, ცოტა არასერიოზულია. მე სააკაშვილის მმართველობის პირველი დღიდან ოპოზიციაში ვარ. რამდენჯერ დაკავებული, მიტინგზე ნაცემი და თავგატეხილი, ახლა ჩემზე რომ თქვან სააკაშვილის ჩინოვნიკებმა, რომლებიც გუშინ და გუშინწინ გადაიქცნენ ოპოზიციონერებად, რომ თურმე ისინი არიან ნამდვილი ოპოზიცია და ჩვენ მთლად არა, სასაცილოა და კომენტარი ზედმეტია. საქართველოში პოლიტიკა დღეს არ დაწყებულა. არჩევნების შემდეგ გეტყვით, რა მოხდება პარლამენტში თუ სატელიტური ოარტუები გადალახავენ ბარიერს.

***— რა მოხდება?***

— როგორც საკრებულოში, პარლამენტშიც პარლამენტის თავმჯდომარის პოსტებს დაიკავებენ და კაბინეტებში დაიწყებენ მუშაობას. მე და ჩემს მეგობრებს ეს არასდროს არ გაგვიკეთებია და არც მომავალში არ გავაკეთებთ.

***— რამდენად აქვთ ამ არჩევნებზე შანსი ოპოზიციურ პარტიებს?***

— მე ნაკლები ეუფორიით ვუყურებ შექმნილ ვითარებას. შანსი ყველა პარტიას აქვს. არჩევნებამდე 10 თვე არის დარჩენილი. ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებრივი აზრი ძალიან ბევრჯერ შეიცვლება. დღეს ვილაცა ფავორშია, მაგრამ წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან. თავისთავად, როდესაც ხმამაღალი განცხადებების გაკეთების საჭიროებაა, ე.ი. იქ კარგად არ არის საქმე. საპროტესტო აქციების გარეშე არც სააკაშვილი წავა, არც შევარდნაძე წასულა, არც მუბარაქი, არც კადაფი. არც ერთი დიქტატორი აქციების გარეშე არ მიდის. იქნებ მითხრათ რომელიმე დიქტატორი, რომელმაც უცებ დემოკრატიული რეფორმების გატარება გადაწყვიტა, სამართლიანი არჩევნები ჩაატარა და გადადგა. ასეთი რაღაც ბუნებაში არ ხდება. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი დასრულდება იმით, რომ ბარიერს გადალახავენ და ვიცე-სპიკერების პოსტებს დაიკავებენ.

***— როდის შეიძლება კონსულტაციების შედეგი დავინახოთ?***

— ალბათ, გაზაფხულის ბოლოსთვის. დასრულებული ბლოკი არ არსებობს ჯერჯერობით. მე და ლევან გაჩეჩილაძე ერთმანეთს რომ ვნახულობთ და ვსაუბრობთ, ეს არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ბლოკს ვკრავთ.

***— თუ ივანიშვილმა გააცნობიერა, რომ ეს ბლოკი მას ხელს შეუშლის და შემოთავაზება იქნა, იმ შემთხვევაში?***

— პოლიტიკური თანმაშრომლობისთვის ჩვენ მზად ვართ ივანიშვილთანაც და ნებისმიერ ოპოზიციურ ძალასთან, რომ ერთიანი ბლოკი შევქმნათ, მაგრამ არა იმ ფორმატში, რომ იქ, პიროვნულად დავსაქმდეთ საარჩევნო სტრუქტურაში. მე არ ვეძებ სამსახურს, ჩემი შრომითი მოწყობა არ არის „თავისუფალი საქართველოს“ ამოცანა. საუბარია საარჩევნო ბლოკზე, სადაც ძირითადი ოპოზიციური ძალები იქნებიან წარმოდგენილნი.

# ეროვნულმა არქივმა გაბრიელ ქიქოძის ფონდი გამოაქვეყნა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი ტრადიციას არც ამჯერად არღვევს და ცნობილი ადამიანების და საზოგადო მოღვაწეების პირად ფონდებს აქვეყნებს. ამჯერად იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა საარქივო ფონდში დაცული მასალების მიმოხილვის პროგრამის ფარგლებში სასულიერო მოღვაწის, მეცნიერის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებლის, წმინდა მღვდელმთავარ გაბრიელ ქიქოძის პირადი ფონდი გამოამზეურა.



— გაბრიელ ქიქოძე ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში დაიბადა. მან განათლება თბილისის სასულიერო სემინარიაში, პეტერბურგის სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში მიიღო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის სასულიერო სემინარიაში რექტორის თანაშემწედ. ოჯახური ტრაგედიის გამო, როცა გარდაეცვალა მეუღლე და ხუთი შვილი, 32 წლის ასაკში მღვდელ-მონაზვნად ეკურთხა და დავით-გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტი გახდა. გაბრიელ ქიქოძე იყო გორის ეპისკოპოსი, ხოლო გარდაცვალებამდე — იმერეთის ეპისკოპოსი. გაბრიელ ქიქოძე თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად ეწეოდა სამეცნიერო და საზოგადოებრივ მუშაობასაც. იგი ავტორია ნაშრომისა „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“. ის ითვლებოდა საუკეთესო მოქადაგედ. მისი ქადაგებების დიდი ნაწილი გამოიცა რუსულ და ინგლისურ ენაზეც. იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, — აღნიშნა თეა ქიმერიძემ.

მეუფე გაბრიელის სახელთანაა დაკავშირებული დასავლეთ საქართველოში ასზე მეტი სამრევლო სკოლის, ბიბლიოთეკის, ქუთაისში — ქალთა სასწავლებლისა და სასულიერო სემინარიის გახსნა. იგი მფარველობდა ნიჭიერ ახალგაზრდობას, მატერიალურად ეხმარებოდა მათ, რომელნიც სწავლობდნენ საზღვარგარეთის სასულიერო თუ საერო სასწავლებლებში. ეპისკოპოს გაბრიელის ზრუნვის შედეგად იმერეთის ეპარქიაში რესტავრაცია ჩაუტარდა ნიკორწმინდის, ბიჭვინთის, მოქვის, კაცხის, ილორის ტაძრებს, აიგო 200-ზე მეტი ახალი ტაძარი. შეიქმნა „ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი“, რომელიც შედგებოდა საუკეთესო მგალობლებისგან. მათ უნდა შეეკრიბათ და ნოტებზე გადაეტანათ ეს ფასდაუდებელი განძი. მრევლის განათლების მიზნით მეუფე გაბრიელი ხშირად მოგზაურობდა ეპარქიის ფარგლებში, ხალხთან პირად შეხვედრასა და საუბარს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, სოფლიდან სოფელში გადადიოდა და დღეში სამ-ოთხ ადგილას მოძღვრავდა სამწყსოს. განსაკუთრებული დამსახურებისათვის იგი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საპატიო წევრად აირჩიეს.

— მეუფე გაბრიელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი და განმანათლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. იგი ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას, წინ აღუდგა იანოვსკი-ლევიცკის მუნჯური მეთოდით სწავლებას, რომლის მიზანი სკოლებიდან ქართული ენის სრულად განდევნა გახლდათ. მან გაილაშქრა გიორგი მუხრანბატონ-მუხრანელის წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებდა დიდი ერების მიერ პატარა ერების ასიმილაციისა და მცირე ერების გაქრობის გარდაუვლობას. ის გახლდათ გულისხმიერი მწყემსი თავისი სამწყსოსი, უყვარდა წესრიგი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იყო სამღვდელოების მიმართ და — პირდაპირი, როცა საქმე ეროვნული და ეკლესიური ინტერესების დაცვას ეხებოდა. მას დიდ პატივს სცემდა მორწმუნე მრევლი, XIX საუკუნის II ნახევრის ქართველი ინტელიგენცია. მოშურნე და ცილისმწამებელიც ბევრი ჰყავდა რუსი ეგზარქოსებისა და მათი აგენტების სახით, მაგრამ ვერას აკლებდნენ. მისი ქადაგებები გამოირჩეოდა სისადავითა და უბრალოებით, — განმარტა თეა ქიმერიძემ.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საეკლესიო კრებამ, რომელიც 1995 წლის 19 სექტემბერს გაიმართა სვეტიცხოველში, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ეპისკოპოსი გაბრიელი წმინდანად შერაცხა. ეპისკოპოს გაბრიელის ხსენების დღედ 7 თებერვალი დადგინდა (ძველი წესით — 25 იანვარი). წმინდა მამა გაბრილ ქიქოძის პირადი არქივი, ეროვნული არქივის გარდა, დაცულია ხელ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ეროვნულ მუზეუმში ახალი სიცოცხლე იწყება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი თავის ფონდში დაცული უნიკალური კოლექციებისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭებას გეგმავს. ამ სიახლესთან დაკავშირებით ხელოვნების მუზეუმში საგანგებო შეხვედრა გაიმართა, რომელზეც სამომავლო გეგმებსა და კონკრეტულ სიახლეებზე ისაუბრეს.

2012 წელს იგეგმება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ისლამური ხელოვნების კოლექციების ფართო საზოგადოებისათვის წარდგენა ახალ საგამოფენო სივრცეებში. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ისლამური ხელოვნების კოლექციების ისტორიული და მხატვრული ფასეულობა ძალზე მაღალია, ხოლო ქრონოლოგიური და გეოგრაფიული სპექტრი — ფართო.

— პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდგომ და მუზეუმის რეორგანიზაციის გამო უმრავლესი კოლექციები სამუზეუმო ფონდებში არასათანადო პირობებში იყო დაცული და მათი მხოლოდ მცირე ნაწილი იყო წარმოდგენილი საექსპოზიციო დარბაზებში. საქართველოს ეროვნული მუზეუმის სპეციალისტები დაუღალავად მუშაობენ კოლექციებისათვის უკეთესი პირობების შესაქმნელად და მათი ახლებური კონცეფციით წარსადგენად. წლების მანძილზე ექსპონატებისათვის შეუფერებელმა გარემომ მრავალი სახის ბიობაქტერიული დაზიანება გამოიწვია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრატორთა ჯგუფის მიერ ეტაპობრივად ხორციელდება დაზიანებული ნივთების დამუშავება, გაწმენდა, სრული აღწერა და ციფრულ ფორმატში გადატანა, — განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

2012 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით შეძენილ იქნა ანოქსიის აპარატი. ანოქსიის პროცესი გულის-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# იშხანსა და ოშკს რესტავრაცია ჩაუტარდებათ

ეკა ირემაშვილი

მაშინ, როცა თურქეთში არსებული ქართული ეკლესიების რესტავრაციაზე შეთანხმება მიღწეულია, ოკუპირებულ აფხაზეთში ქართული ეკლესიები ნადგურდება. საქართველოსა და თურქეთის მხარეებს შორის დაწყებული ხანგრძლივი მოლაპარაკებები დასრულდა. თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს იშხანსა და ოშკს რესტავრაცია ჩაუტარდება, რომელშიც ქართველი სპეციალისტები მიიღებენ მონაწილეობას. ამ შეთანხმების პირობების თანახმად კი ქართული მხარე თურქულს გამოუყოფს ტერიტორიას, რომელზეც აზიზეის ტაძარი აშენდება.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ ნიკოლოზ რურუას ანკარაში ოფიციალური ვიზიტის დროს თურქეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრ ერთურულ გუნაისთან შეხვედრისას მიიღეს. შეთანხმების შედეგად უახლოეს მომავალში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თურქული კულტურის ძეგლების რესტავრაციაც დაიწყება.

თურქეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრ ერთურულ გუნაის თქმით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა შეთანხმება ორივე ქვეყანაში არსებული კულტურული ძეგლების რესტავრაციაზე და დღეს უკვე კონკრეტულ შედეგებია მიღებული.

— ჩვენს ქვეყანასა და საქართველოს შორის მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა არსებობს და გვინდა, ეს თანამშრომლობა გავაღრმავოთ კულტურისა და ტურიზმის სფეროში. ორივე ქვეყანაში არსებობს კულტურული ძეგლები, რომელთა რესტავრაციაზე შეთანხმება წლების განმავლობაში მიმდინარეობდა და უკვე კონკრეტულ შედეგებამდე მივედით. საქართველოს მხარე თანახმაა, აზიზეის მეჩეთის ასაშენებლად გამოგვიყოს ადგილი, სადაც ჩვენ ახალ მეჩეთს ავაშენებთ. ახალციხეში კი რესტავრაცია ჩაუტარდება აჰმედიეს კომპლექსს და ამაში ქართულ მხარესთან ერთად თურქი სპეციალისტები მიიღებენ მონაწილეობას, თურქული მხარე კი ვალდებულებას იღებს ოშკისა და იშხნის აღდგენაზე ქართველი სპეციალისტების მეთვალყურეობითა და დახმარებით, — განაცხადა ერთურულ გუნაიმ.

აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები საქართველოსა და თურქეთს შორის თითქმის მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ქართული მხარე თურქეთისგან მოითხოვდა 4 ქართული ძეგლის — ოშკის, იშხნის, ხანძთისა და ოთხთა ეკლესიის აღდგენას. ამის სანაცვლოდ თურქეთი ითხოვდა, რესტავრაცია ჩასტარებოდა სამცხეში მხარჯავისა და ახალციხის (აზი ახმედ ფაშას, იგივე ჯაყელის მიერ აშენებულ) მეჩეთებს, ქობულეთის რაიონში სოფელ კვირიკეს ქართული ორნამენტებით გაფორმებულ მე-19 საუკუნის ჯამეს, ხოლო ბათუმში უნდა აშენდეს მე-20 საუკუნის შუახანს განადგურებული შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა — აზიზიეს მეჩეთი. თავის დროზე ამ მოლაპარაკებებში საქართველოს საპატრიარქოს ჩაურთველობა საპატრიარქომ გააპროტესტა და საგანგებო წერილიც გაავრცელა, რომელშიც საუბარი იყო იმაზე, რომ ასეთ მოლაპარაკებებში საქართველოს ეკლესიის განზე დატოვება დანაშაულია. ამ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით ქართველი საზოგადოების აზრი ორად გაიყო — ნაწილი ამტკიცებდა, რომ ამ შეთანხმებაზე დათანხმება სარისკო იყო, მეორე ნაწილს კი მიაჩნდა, რომ უნიკალური ქართული ძეგლების გადასარჩენად ქართული მხარე ყველაფერზე უნდა წასულიყო. ისტორიკოს მარიკა ლორთქიფანიძის განცხადებით, ქართული მხარე თურქული მხარის წინადადებას აუცილებლად უნდა დათანხმდეს, რადგან ტაო კლარჯეთში არსებული ქართული ძეგლები უნიკალურია და მათი გადარჩენა თითოეული ქართველის ვალია.

როგორც თურქული და ქართული მხარეების შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი, იშხნისა და ოშკის რეაბილიტაცია უახლოეს მომავალში დაიწყება, უახლოეს მომავალშივე დაიწყება საქართველოში მეჩეთების მშენებლობა-რესტავრაციაც.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო თურქეთში წარმოებული მოლაპარაკებების შედეგების გამოქვეყნების პარალელურად, ავრცელებს ოფიციალურ განცხადებას ილორის წმინდა გიორგის ეკლესიასთან დაკავშირებით, რომელშიც ნათქვამია:

— 2010 წლის 2 დეკემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ საგანგებო ბრიფინგი გამართა აფხაზეთის, საქართველოს ტერიტორიაზე ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაზე განხორციელებული ვანდალური აქტის გამო. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ოფიციალური წერილით მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს, საერთაშორისო საზოგადოებას, იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ცენტრს, საერთაშორისო სარესტავრაციო ცენტრს, ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების საერთაშორისო ცენტრს, მუზეუმის საერთაშორისო ორგანიზაციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობას, ევროკავშირის მონიტორინგის მისიას, გეტისა და კრესის ფონდებს, ბრიტანეთის საკონსულოს, სრულიად დიპლომატიურ კორპუსსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული საშუალებები, რათა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მიზანმიმართული განადგურება შეაჩერონ.

## აფხაზეთში კი ძეგლები ნადგურდება

აღნიშნული მიმართვის გარდა, 2011 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაზე განხორციელებული ვანდალური ქმედების გამო, პირადად შეხვდა იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ცენტრის დირექტორ ფრანჩესკო ბანდარინის და უშუალოდ გააცნო არსებული ვითარება. 2011 წლის ოქტომბერში იუნესკოს 36-ე გენერალურ ასამბლეაზე კულტურის მინისტრმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ძეგლების საკითხი დააყენა. კულტურის სამინისტროს გარდა, 2010 წლიდან აღნიშნულ საკითხზე სისტემატურად მუშაობენ საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს საელჩო საფრანგეთში. 2010 წლის 22 ნოემბერს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადების შემდეგ გრიგოლ ვაშაძის სახელით პირადი წერილი გაეგზავნა იუნესკოს გენერალურ დირექტორ ირინა ბოკოვას. კიდევ ერთი წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისგან იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა



სულ ცოტა ხნის წინ, 2012 წლის 12 იანვარსაც მიიღო. აფხაზეთში (საქართველო) განლაგებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლის, მე-11 საუკუნის ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ე.წ. სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად სრულიად დაირღვა ძეგლის ავთენტურობა. ჩატარებულმა სამუშაოებმა გამოიწვია ქართული ტრადიციული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი თავისებურებების მოშლა. ტაძარს დააშენეს რუსული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი ე.წ. ხახვისთავიანი გუმბათი. გარე ფასადი, მათ შორის აღმოსავლეთ კედელი, რომელზეც განთავსებულია ქართული დამწერლობით შესრულებული ხუთი ლაპიდარული წარწერა, თეთრადაა გადაღებილი, თალები კი წითლადაა შეღებილი. ტაძარს დამატებული აქვს ქართული არქიტექტურისთვის სრულიად უცხო სხვადასხვა რელიეფური ელემენტი. მიიღწევა თუ არა შეთანხმება აფხაზეთში არსებული ქართული ძეგლების განადგურების შეჩერებასთან დაკავშირებით, ამას მომავალი გვიჩვენებს.

აფხაზეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობის განადგურება მხოლოდ ილორის ეკლესიის გადაღებვითა და „რესტავრაციით" არ დასრულებულა. ბედიის მონასტერში ბაგრატ III-ის ფრესკა, ქართული ორნამენტები და წარწერები წაშალეს. ტაძართან დაკავშირებით დასკვნა ორგანიზაცია „იკონმა" გამოაქვეყნა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ბედიის მონასტერი განადგურების პირასაა. ქართველი კანონმდებლების განცხადებით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ქართული ტაძრების მდგომარეობით „იუნესკო" უნდა დაინტერესდეს. ქართველმა დეპუტატებმა ეს საკითხი სტრასბურგში დააყენეს და კონკრეტული ფაქტებიც წარადგინეს.

ბედიის მონასტერი X საუკუნისაა და ოჩამჩირის მახლობლად მდებარეობს. ბედიის კომპლექსი X საუკუნის მიწურულს, დაახლოებით 999 წელს, გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III ბაგრატიონმა ააგო სოფელ ბედიის ცენტრში. სამონასტრო კომპლექსის მთავარ ნაგებობას წარმოადგენს ეზოს ცენტრში აგებული ბედიის ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარი. მისგან დასავლეთით შერჩენილია ბედიელ მიტროპოლიტთა ორსართულიანი სასახლე. ბედიის მონასტერში დაკრძალული არიან გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III და მისი დედა, დედოფალი გურანდუხტი. დავით აღმაშენებელმა საქართველოსა და ქართული ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოდ ბედიელ მთავარეპისკოპოს სვიმეონს ბედიელ-ალავერდელის საპატიო წოდება მიანიჭა, რითაც აღმოსავლეთ-ქართული და დასავლეთ-ქართული უძლიერესი სალოცავების ერთიანობას გაუსვა ხაზი. მთავარეპისკოპოსმა ანტონ ჟუანისძემ ბედიის სამონასტრო კომპლექსში შექმნა წიგნთსაცავი, რომელშიც მიმდინარეობდა ძველ ხელნაწერთა განახლება-რესტავრაცია, სღვთისმეტყველო წიგნების თარგმნა და წიგნსაცავის შევსება ახალი ხელნაწერებით.

აფხაზეთის ტელევიზიით გადაცემული ვიდეოკადრებიდან ჩანს, რომ გადაღებილია მონასტრის კედლები და ისტორიული ფრესკები — ბაგრატ III-ის გამოსახულება, რაც სეპარატისტების მხრიდან ბედიაში ქართული კვალის წაშლას ემსახურება. გავრცელებული კადრებიდან ისიც ჩანს, თუ როგორ აკურთხებს ტაძარში სეპარატისტების ცეცხლსასროლ იარაღს უკანონო „აფხაზეთის ეკლესიის" თვითგამოცხადებული მეთაური ბესარიონ აპლია დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრ სერგეი შამბას თანდასწრებით. 2011 წლის ოქტომბერში გავრცელებული ინფორმაციით, ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის შემდეგ რუსული „რესტავრაცია" ბედიის მონასტერსაც ემუქრება. რომელი ქართული ტაძარი აღმოჩნდება სეპარატისტების მორიგი სამიზნე, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, ქართული მხარე კი იმედს გამოთქვამს, რომ ეს ვანდალური აქცები ოკუპირებულ აფხაზეთში საერთაშორისო ძალების ჩარევით შეჩერდება.

# ეროვნულ მუზეუმში ახალი სიცოცხლე იწყება

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ხმობს უჟანგბადო სივრცის შექმნას. დაზიანებული ექსპონატები თავსდება საგანგებოდ მომზადებულ „კარავში", რომელშიც ანოქსიის ხელსაწყოების მეშვეობით ხდება ჟანგბადის ჩანაცვლება არგონით. არგონით გამდიდრებულ სივრცეში იღუპება ექსპონატებისათვის სახიფათო ყველა ცოცხალი ორგანიზმი.

— აღნიშნული მეთოდი სრულიად უვნებელია როგორც ადამიანებისათვის, ასევე ექსპონატებისათვის. ჩატარებული სამუშაოების შემდგომ ექსპონირებამდე კოლექციები განთავსდება ეროვნული მუზეუმის ახალ საცავებში. ანოქსიის მეთოდი არგონით სმიტსონის ინსტიტუციის მუზეუმების კონსერვაციის დირექტორმა რობერტ კოსტლერმა დანერგა. სწორედ სმიტსონის ინსტიტუციისა და ეროვნული მუზეუმის ხანგრძლივი თანამშრომლობის შედეგია დღევანდელ დღეს წარმოდგენილი ანოქსიის პროცესი, რომელიც ფართოდაა დანერგილი ამერიკისა და ევროპის წამყვან სარესტავრაციო ცენტრებში. ეს მეთოდი ეფექტიანად გამოიყენება ორგანული წარმოშობის მასალის დასამუშავებლად. დღეიდან აღნიშნული მეთოდით შესაძლებელი გახდება არა მხოლოდ ეროვნული მუზეუმის, არამედ საქართველოს სხვა მუზეუმებისა და ინსტიტუციების კოლექციებისა და საარქივო მასალის დამუშავება-განკურნება, — განაცხადა ანა ვერულაშვილმა.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8
[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



**უფყნ[ფლტ,ტ,ბ**

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტის, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, 1000კვ.მ და 2000კვ. მ. შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 8790-90-32-96; 2-53-15-87. 568 657486.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ელენე გედევანიშვილის მეორე ბრინჯაო



ინგლისის ქალაქ შეფილდში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე ფიგურულ სრიალში ქართველმა ელენე გედევანიშვილმა საუკეთესო პირადი შედეგი – 165.93 ქულა აჩვენა და კარიერაში მეორედ გახდა ბრინჯაოს მედლის მფლობელი.

მოკლე პროგრამის შემდეგ ჩვენებური მე-4 პოზიციაზე იმყოფებოდა და იტალიელ კაროლინა კოსტნერს, ფინელ კიირა კორპისა და რუს კსენია მაკაროვას ჩამორჩებოდა. თუ ამ მოციგურავეების პირად შედეგებს გავითვალისწინებდით, იტალიელისა და ფინელის გადასწრება ჩვენებურს ძალიან გაუჭირდებოდა, რადგან მათ თავისუფალ პროგრამაში ჩვენებურზე უკეთესი შედეგები გააჩნდათ, ხოლო მაკაროვასთან ჭიდილში უნდა გაეხერხებინა ელენეს ბრინჯაოს მედალი და ასეც მოხდა.

ელენეს თავისუფალ პროგრამაში საუკეთესო შედეგი (104.63) გასული წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰქონდა ნაჩვენები. ამჯერად კი მან ერთბაშად 108.79 ქულა (51.18 ტექნიკური ელემენტებისთვის, 57.61 პროგრამული კომპონენტებისთვის) მოაგროვა, რის შედეგადაც პირადი ჯამური მაჩვენებელიც საუკეთესო გამოდგა და სრულიად საკმარისი იმისთვის, რომ ბრინჯაოს მედალი მოეპოვებინა.

შეგახსენებთ, რომ 22 წლის გედევანიშვილმა კვარცხლბეკზე პირველად შარშანწინ შეაბიჯა, როდესაც 164.54 ქულა მოაგროვა. მაშინაც ელენე იტალიელ კაროლინა კოსტნერსა და კიდევ ერთ ფინელ ლაურა ლეპისტოს ჩამორჩა. კოსტნერი ბრწყინვალე შედეგით (183.55) ამჯერადაც ევროპის ჩემპიონი გახდა, მეორეზე კი ისევ ფინელი გავიდა, კოორპი (166.94), რომელმაც გედევანიშვილს მხოლოდ 1.01 ქულით აჯობა.

**მოკლე პროგრამა**

1.კაროლინა კოსტნერი (იტალია) – 63.22; 2.კიირა კორპი (ფინეთი) – 61.80. 3.კსენია მაკაროვა (რუსეთი) – 57.55; 4.ელენე გედევანიშვილი (საქართველო) – 57.14; 5.ვიკტორია ჰელგესონი (შვედეთი) – 55.68

**თავისუფალი პროგრამა**

1.კოსტნერი – 120.33; 2.კორობეინიკოვა (რუსეთი) – 114.72; 3.გედევანიშვილი – 108.79; 4.კორპი – 105.14; 5.ჰელგესონი – 105.14

**ჯამური შედეგი**

1.კოსტნერი – 183.55; 2.კორპი – 166.94; 3.გედევანიშვილი – 165.93; 4.კორობეინიკოვა – 164.13; 5.ჰელგესონი – 160.82

# ბორჯღალოსნები სეზონს ერთი კვირის დაგვიანებით დაიწყებენ

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ერთა თასის ახალი სეზონი 4 თებერვალს უკრაინასთან მატჩით უნდა დაეწყო, მაგრამ რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო გადაიდო. უკრაინელებთან მატჩი მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში შედგება.

დნეპროპეტროვსკის სტადიონ „მეტეორს“ ხელოვნური გათბობა კი გააჩნია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

– სამწუხაროდ, ჩვენთან ძალიან მძიმე ზამთარია. მიუხედავად ამისა, იმედი გვქონდა, რომ სტადიონი „მეტეორი“ თამაშისთვის მზად იქნებოდა. თუმცა, ფიზიკის კანონი არავის გაუუქმებია – მატჩის დაწყებიდან 15-20 წუთში მინდორი საციგურაო მოედნად იქცეოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, უკრაინის რაგბის ფედერაციასთან კონსულტაცია გავიარეთ, შემდეგ ფირა-აერ-ის ჩინოვნიკებსა და ქართულ მხარესაც შევეხმიანეთ და შეხვედრის უფრო გვიანდელი თარილისთვის გადატანა გადავწყვიტეთ. ამით მორაგბეები მძიმე ტრავმების მიღების ალბათობას მოვარიდეთ, – განაცხადა დნეპროპეტროვსკის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა დენის დავიდოვმა.

აქედან გამომდინარე, ბორჯღალოსნები ტურნირს 11 თებერვალს ესპანეთთან მატჩით გახსნიან. ეს შეხვედრა მადრიდის უნივერსიტეტის სტადიონზე თბილისის დროით 19:00 საათზე დაიწყება.

დასასრულ, იმ გაფართოებულ შემადგენლობასაც შეგახსენებთ, რომელიც საქართველოს ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა „ერთა თასის“ საწყისი ორი მატჩისთვის გამოიძახა, ახლა კი კონკრეტულად ესპანეთთან ჯახისთვის მოემზადება.

ახალმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა გუნდი მნიშვნელოვნად გადაახალისა და გაფართოებულ სიაში ერთბაშად 9 დებიუტანტი მოხვდა.

შერკინების პირველ ხაზში დებიუტანტები არიან მიხეილ ნარიაშვილი, ლევან ჩილაჩავა და ბექა მეკოკიშვილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ მათ მხარდამხარ ითამაშებენ კარლენ ასეიშვილი და ბექა შეყლაშვილი, რომელთა ანგარიშზეც სულ 4-4 სანაკრებო შეხვედრაა და შალვა მამუკაშვილი, რომელმაც ნაკრების კვართი მხოლოდ ორ შეხვედრაში მოირგო, მაშინ სრულიად ახალ შერკინების ხაზს ვიხილავთ.

მეორე ხაზში მხოლოდ გამოცდილი მორაგბეები არიან, ხოლო მესამე ხაზში მათ გიორგი კალმახელიძე და ბექა ბიწაძე შეუერთდებათ. რაც შეეხება გივი ბერიშვილს, ნაკრები არც მისთვის არის დიდი ხნის ღია, თუმცა, საკმარისად მოასწრო ბურთაობა.

მე-9-10 ნომრებში ახალბედაა გიორგი ბეგაძე, რომელიც დიქსონს ახალ ზელანდიაში წამსვლელთა სიაში ჰყავდა, მაგრამ მაშინ მისი სანაკრებო დებიუტი ტრავმის გამო გადაიდო.

რამდენიმე სიახლეა უკანა ხაზში. ყველაზე საინტერესო პოლონეთის „არკად გდინიას“ 22 წლის ფულბეკის ბექა წიკლაურის გამოჩენა უნდა იყოს. სანაკრებო დებიუტი ელის გარემარბ ალექსანდრე ტუჩაშვილსაც. ნაკრებში მხოლოდ ერთი შეხვედრა აქვს ჩატარებული და ახლა კვლავ უხმეს გიორგი ჯიმშელაძეს. ბორჯღალოსნებს დაუბრუნდა გიორგი შკინინიც.

შეკრებაზე ქართული კლუბებიდან 11 მორაგბე გამოძახებული და მათგან ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჩემპიონ „არმიას“ ჰყავს. 18 მორაგბე ფრანგულ კლუბებს წარმოადგენს, ერთი კი პოლონეთიდან ჩამოდის. საქართველოს ნაკრები შეკრებას დღეს „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე იწყებს.

სრული გაფართოებული შემადგენლობა:

კარლენ ასეიშვილი (ორიაკი, საფრანგეთი, 4 კეპი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე, საფრანგეთი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი, საფრანგეთი,), ბექა შეყლაშვილი (აჟენი, საფრანგეთი, 4), შალვა მამუკაშვილი (ყოჩები, 2), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი, საფრანგეთი, 46), გიორგი ნემსაძე (ვალანს დაჟენი, საფრანგეთი, 23), კოტე მიქაუტაძე (ტულონი, საფრანგეთი, 3) გიორგი ჩხაიძე (სენ-ჟულიენი, საფრანგეთი, 52), გიორგი კალმახელიძე (არმია), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი, 3), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი, საფრანგეთი, 12), მამუკა გორგოძე (მონპელიე, საფრანგეთი, 41), დიმიტრი ბასილაია (ვალანს დაჟენი, საფრანგეთი, 19), ირაკლი აბუსერიძე (ოსერი, საფრანგეთი, 76), ბიძინა სამხარაძე (არმია, 59), გიორგი ბეგაძე (ყოჩები, 1), მერაბ კვირიკაშვილი (სენ-ჟულიენი, საფრანგეთი, 56), ლაშა მალაღურაძე (ვალანს დაჟენი, საფრანგეთი, 32), დავით კაჭარავა (ნიცა, საფრანგეთი, 47), გიორგი ჯიმშელაძე (კლერმონი, საფრანგეთი, 1), რევაზ გიგაური (ბულონი, საფრანგეთი, 34), ირაკლი მაჩხანელი (სენტ-ეტიენი, საფრანგეთი, 50), გიორგი შკინინი (არმია, 32), ალექსანდრე თოდუა (ლელო, 28), ალექსანდრე ტუჩაშვილი (არმია).

შეგახსენებთ, რომ გასული წლიდან ერთა თასზე ქულათა დარიცხვის სისტემა შეიცვალა. მოგებული გუნდი 4 ქულას იღებს, ფრეზე 2 ქულა იწერება, 7 და ნაკლები ქულით მარცხის, ან ოთხი და მეტი ლელოს გატანისთვის კი გუნდი ერთ პრემიალურ ქულას იღებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 5 | 5 | 0 | 0 | 168:35 | 22 |
| 2.რუმინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 166:69 | 16 |
| 3.პორტუგალია | 5 | 3 | 0 | 2 | 113:98 | 14 |
| 4.რუსეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 100:98 | 11 |
| 5.ესპანეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 92:175 | 10 |
| 6.უკრაინა | 5 | 0 | 0 | 5 | 61:225 | 0 |

# ფაჩულიამ დეტროიტში სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა

ზაზა ფაჩულიამ მიმდინარე სეზონში საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. აქამდე მისი საუკეთესო ქულობრივი მონაგარი 13 იყო, დღეს, გამთენიისას კი ქართველმა ცენტრმა დეტროიტში 16 ქულა მოაგროვა, მისმა „ატლანტამ“ კი „პისტონსი“ დამატებით დროში – 107:101 დამაარცხა. ფაჩულია ხუთეულში იყო და მოედანზე მიმდინარე სეზონში პირადსარეკორდო 35 წუთი გაატარა. ქართველი ცენტრი საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა დეტროიტელთა საჯარიმოში და 12 ცდიდან 8 ორქულიანი ჩააგდო, 2 საჯარიმო კი ააცილა. ზაზას ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა, ანუ მან 9 მოხსნა მოაგროვა, რასაც თითო პასი და დაფარება მოაყოლა, ბურთი კი ორჯერ დაკარგა. მატჩის გმირი ჯო ჯონსონი გახდა, რომელმაც 30 ქულა მოაგროვა, თუმცა, ყველაზე საჭირო ამბები ძირითადი დროის ბოლო წამებში დაატრიალა. 3 ქულით მოლიდერე დეტროიტელებს ჯონსონმა სირენამდე 13 წამით ადრე ბურთი ჩაუჭრა, ხოლო ძირითადი დროის ამოწურვამდე 1,8 წამით ადრე კი სამქულიანით მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. იქ კი ფსიქოლოგიურად მომაგრებულმა ატლანტელებმა, რომლებიც მთელი შეხვედრის მანძილზე აგებდნენ და შეხვედრა სასწაულებრივად შემოატრიალეს, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. მიმდინარე სეზონში ეს ატლანტელთა მე-13 გამარჯვებაა, პასივში კი „ქორებს“ 6 მარცხი აქვთ. ფაჩულიას გუნდი აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-4 ადგილზეა და მომდევნო შეხვედრას ნიუ ორლეანში დღეს გამთენიისას „ჰორნეთსთან“ გამართავდნენ.

# ვიქტორია აზარენკას ორმაგი გამარჯვება

ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ვიქტორია აზარენკამ 6:3, 6:0 დაამარცხა მარია შარაპოვა და წლის პირველი სუპერ-ტურნირის მთავარ პრიზთან ერთად მსოფლიო რეიტინგში პირველობაც მოიპოვა. 22 წლის ბელარუსმა შანსი არ დაუტოვა ორი წლით უფროს და ბევრად უფრო ტიტულოვან რუსს, რომელსაც მანამდე სამი სლემ-ტურნირი მოეგო, მათ შორის აუს ოუფენის 2008 წლის ჩემპიონიც გახლდათ, აზარენკას კი ასეთი მაღალი კატეგორიის შეჯიბრებაში აქამდე ფინალშიც არ ეთამაშა. მატჩის დასაწყისში ბელარუსი აშკარად ღელავდა და ამართლებდა კრიტიკოსთა პროგნოზს, რომლებიც ერთსულოვნად ფავორიტად შარაპოვას ასახელებდნენ. აზარენკამ პირველივე გეიმში თავისი მოწოდება დათმო და 0:2 ჩამორჩა, მაგრამ ნერვების მოთოკვა დროულად შეძლო. მან შარაპოვას საპირისპირო ბრეიკი გაუკეთა და ჯერ 2:2 გაუთანაბრა, 3:3 ანგარიშიდან კი მხოლოდ ის იგებდა გეიმებს, შარაპოვა წინააღმდეგობას ველარ უწევდა. აზარენკამ ზედიზედ 9 გეიმი მოუგო მეტოქეს, პირველ სეტში 6:3 აჯობა, მეორეში კი 6:0 და თავისი ხანმოკლე კარიერის უმნიშვნელოვანესი მატჩის მოგებას მხოლოდ 1 საათი და 22 წუთი მოანდომა. აღსანიშნავია, რომ აზარენკამ მელბურნში ჩასვლამდე სიდნეიში შედარებით ნაკლებად პრესტიჟული ტურნირიც მოიგო, აუს ოუფენზე კი მესამე ნომრად განთესილი გახლდათ. მელბურნში გამართული 7 თამაშიდან პირველ ოთხში დაბალრეიტინგიანი ჩოგბურთელები შეხვდნენ და მეოთხედფინალამდე სეტის წაუგებლად მივიდა. მეოთხედფინალში ბელარუსს მერვე ნომრად განთესილი აგნეშკა რადვანსკასთან მოუხდა პირველი მეტ-ნაკლებად დაძაბული თამაში. მასთან პირველი სეტი დათმო, შემდეგი ორი კი მოუგო. ასევე ძნელი მატჩი ჰქონდა ნახევარფინალში კიმ კლაისტერსთან, რომელიც მელბურნში მოქმედი ჩემპიონის სტატუსით თამაშობდა და აზარენკამ ისიც 2:1 დაამარცხა.

ვიქტორია აზარენკა:

– ბედნიერი ვარ და ჩემს უზომო სიხარულს სამწვრთნელო შტაბი, მშობლები, ბებია, ბოიფრენდი და მეგობრებიც იზიარებენ. მათი გულწრფელი მხარდაჭერის გარეშე ჩოგბურთში ამდენს ნამდვილად ვერ მივაღწევდი. შარაპოვას კი ტურნირზე კარგ გამოსვლას მივულოცავ და სამომავლო წარმატებას ვუსურვებ.

# შედეგები

## ფეხბურთი

### აფრიკის ერთა თასი

ბოსტვანა-გვინეა ...... 1:6
განა-მალი ...... 2:0

### ინგლისი. ასოციაციის თასი

ქპრ-ჩელსი ...... 0:1
ლივერპული-მანჩესტერი ...... 2:1
ბლექპული-უენსდი ...... 1:1
ბოლტონი-სუონსი ...... 2:1
ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი ...... 1:2
დერბი-სტოკი ...... 0:2
ლესტერი-სვინდონი ...... 2:0
მილუოლი-საუთჰემპტონი ...... 1:1
სტივენეიჯი-ნოთსი ...... 1:0
ჰალი-ქროული ...... 0:1
შეფილდი-ბირმინგემი ...... 0:4
ბრაიტონი-ნიუკასლი ...... 1:0

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

პიტერბრო-პორთსმუთი ...... 0:3
რედინგი-ბრისტოლი ...... 1:0

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

რაიო-ბილბაო ...... 2:3
ესპანიოლი-მალიორკა ...... 1:0
რეალი-სარაგოსა ...... 3:1
ვილიარეალი-ბარსელონა ...... 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 20 | 17 | 1 | 2 | 70:19 | 52 |
| 2.ბარსელონა | 20 | 13 | 6 | 1 | 59:12 | 45 |
| 3.ვალენსია | 19 | 10 | 5 | 4 | 29:20 | 35 |
| 4.ლევანტე | 19 | 9 | 4 | 6 | 25:22 | 31 |
| 5.ესპანიოლი | 20 | 9 | 4 | 7 | 22:21 | 31 |
| 6.ბილბაო | 20 | 7 | 8 | 5 | 30:25 | 29 |
| 7.ოსასუნა | 19 | 6 | 9 | 4 | 22:31 | 27 |
| 8.ატლეტიკო | 19 | 7 | 5 | 7 | 30:27 | 26 |
| 9.სევილია | 19 | 6 | 8 | 5 | 20:20 | 26 |
| 10.მალაგა | 19 | 7 | 4 | 8 | 22:28 | 25 |
| 11.ხეტაფე | 19 | 6 | 6 | 7 | 20:25 | 24 |
| 12.ბეტისი | 19 | 7 | 2 | 10 | 22:28 | 23 |
| 13.რაიო | 20 | 6 | 4 | 10 | 23:31 | 22 |
| 14.მალიორკა | 20 | 5 | 7 | 8 | 17:25 | 22 |
| 15.სოსიედადი | 19 | 5 | 6 | 8 | 17:27 | 21 |
| 16.რასინგი | 19 | 4 | 8 | 7 | 15:23 | 20 |
| 17.ვილიარეალი | 20 | 4 | 8 | 8 | 18:28 | 20 |
| 18.გრანადა | 19 | 5 | 4 | 10 | 12:26 | 19 |
| 19.ხიხონი | 19 | 5 | 3 | 11 | 18:33 | 18 |
| 20.სარაგოსა | 20 | 2 | 6 | 12 | 15:36 | 12 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალკოიანო-ვალიადოლიდი ...... 0:1
ალკორკონი-ლას პალმასი ...... 3:1
ბარსელონა-უესკა ...... 4:2
ხირონა-სელტა ...... 0:1
გვადალახარა-ნუმანსია ...... 1:0
მურსია-უელვა ...... 0:3
ერკულესი-ვილიარეალი ბ ...... 0:2

### იტალია. სერია ა

კატანია-პარმა ...... 1:1
იუვენტუსი-უდინეზე ...... 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 20 | 12 | 8 | 0 | 33:13 | 44 |
| 2.მილანი | 19 | 12 | 4 | 3 | 40:17 | 40 |
| 3.უდინეზე | 20 | 11 | 5 | 4 | 29:16 | 38 |
| 4.ინტერი | 19 | 11 | 2 | 6 | 30:20 | 35 |
| 5.ლაციო | 19 | 9 | 6 | 4 | 27:19 | 33 |
| 6.რომა | 18 | 9 | 3 | 6 | 28:20 | 30 |
| 7.ნაპოლი | 19 | 7 | 8 | 4 | 34:21 | 29 |
| 8.ატალანტა | 19 | 6 | 8 | 5 | 23:25 | 26 |
| 9.პალერმო | 19 | 7 | 3 | 9 | 24:27 | 24 |
| 10.პარმა | 20 | 6 | 6 | 8 | 25:33 | 24 |
| 11.ჯენოა | 19 | 7 | 3 | 9 | 25:34 | 24 |
| 12.კიევო | 19 | 6 | 6 | 7 | 16:22 | 24 |
| 13.კალიარი | 19 | 5 | 8 | 6 | 16:18 | 23 |
| 14.კატანია | 20 | 5 | 8 | 6 | 22:28 | 23 |
| 15.ფიორენტინა | 19 | 5 | 7 | 7 | 18:16 | 22 |
| 16.ბოლონია | 19 | 5 | 5 | 9 | 17:25 | 20 |
| 17.სიენა | 19 | 4 | 7 | 8 | 20:20 | 19 |
| 18.ჩეზენა | 19 | 4 | 3 | 12 | 13:30 | 15 |
| 19.ლეჩე | 19 | 3 | 4 | 12 | 20:36 | 13 |
| 20.ნოვარა | 19 | 2 | 6 | 11 | 18:38 | 12 |

### იტალია. სერია ბ

ალბინოლეფე-ბარი ...... 0:2
ვარეზე-ტორინო ...... 0:0
ვიჩენცა-ასკოლი ...... 1:1
გროსეტო-რეჯინა ...... 0:0
გუბიო-სამპდორია ...... 0:0
ნოჩერინა-ლივორნო ...... 2:2
პადოვა-ჩიტადელა ...... 1:0
სასუოლო-ვერონა ...... 2:0
ემპოლი-ბრეშა ...... 0:2

### გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-კაიზერი ...... 2:2
ბაიერნი-ვოლფსბურგი ...... 2:0
დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი ...... 3:1
ვერდერი-ლევერკუზენი ...... 1:1
ჰერტა-ჰამბურგი ...... 1:2
კიოლნი-შალკე ...... 1:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 19 | 13 | 1 | 5 | 46:13 | 40 |
| 2.დორტმუნდი | 19 | 12 | 4 | 3 | 43:14 | 40 |
| 3.შალკე | 19 | 13 | 1 | 5 | 45:24 | 40 |
| 4.გლადბახი | 18 | 11 | 3 | 4 | 28:12 | 36 |
| 5.ვერდერი | 19 | 9 | 4 | 6 | 31:32 | 31 |
| 6.ლევერკუზენი | 19 | 8 | 6 | 5 | 26:25 | 30 |
| 7.ჰანოვერი | 19 | 6 | 9 | 4 | 21:24 | 27 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 19 | 6 | 5 | 8 | 20:22 | 23 |
| 9.ვოლფსბურგი | 19 | 7 | 2 | 10 | 24:36 | 23 |
| 10.შტუტგარტი | 18 | 6 | 4 | 8 | 24:23 | 22 |
| 11.ჰამბურგი | 19 | 5 | 7 | 7 | 24:33 | 22 |
| 12.კიოლნი | 19 | 6 | 3 | 10 | 28:40 | 21 |
| 13.ნიურნბერგი | 19 | 6 | 3 | 10 | 19:29 | 21 |
| 14.ჰერტა | 19 | 4 | 8 | 7 | 25:30 | 20 |
| 15.მაინცი | 18 | 4 | 6 | 8 | 24:32 | 18 |
| 16.კაიზერი | 19 | 3 | 9 | 7 | 15:23 | 18 |
| 17.აუგსბურგი | 19 | 3 | 7 | 9 | 17:31 | 16 |
| 18.ფრაიბურგი | 18 | 4 | 4 | 10 | 22:39 | 16 |

### საფრანგეთი. 1 ლიგა

ბრესტი-პსჟ ...... 0:1
ლიონი-დიჟონი ...... 3:1
ლორიენი-სოშო ...... 1:1
ნიცა-მონპელიე ...... 0:1
ოსერი-ნანსი ...... 1:3
ტულუზა-კანი ...... 1:0
ლილი-სენტ ეტიენი ...... 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 21 | 14 | 4 | 3 | 35:18 | 46 |
| 2.მონპელიე | 21 | 13 | 4 | 4 | 41:23 | 43 |
| 3.ლილი | 21 | 10 | 9 | 2 | 36:21 | 39 |
| 4.ლიონი | 21 | 12 | 2 | 7 | 34:23 | 38 |
| 5.რენი | 20 | 10 | 5 | 5 | 31:23 | 35 |
| 6.მარსელი | 20 | 9 | 7 | 4 | 29:18 | 34 |
| 7.ტულუზა | 21 | 9 | 7 | 5 | 22:20 | 34 |
| 8.სენტ ეტიენი | 21 | 9 | 6 | 6 | 24:24 | 33 |
| 9.ბორდო | 20 | 6 | 8 | 6 | 22:23 | 26 |
| 10.ლორიანი | 21 | 6 | 8 | 7 | 21:24 | 26 |
| 11.ბრესტი | 21 | 4 | 12 | 5 | 20:20 | 24 |
| 12.ევიანი | 20 | 5 | 7 | 8 | 28:32 | 22 |
| 13.ნანსი | 21 | 5 | 7 | 9 | 22:29 | 22 |
| 14.დიჟონი | 21 | 6 | 4 | 11 | 24:39 | 22 |
| 15.ვალანსიენი | 20 | 5 | 5 | 10 | 19:23 | 20 |
| 16.კაენი | 21 | 5 | 5 | 11 | 24:32 | 20 |
| 17.ოსერი | 21 | 4 | 7 | 10 | 28:35 | 19 |
| 18.სოშო | 21 | 4 | 7 | 10 | 22:36 | 19 |
| 19.ნიცა | 21 | 4 | 6 | 11 | 21:25 | 18 |
| 20.აიაჩო | 20 | 4 | 6 | 10 | 22:37 | 18 |

### საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ბულონი-ამიენი ...... 0:1
ლე ავრი-არლე ...... 1:1
ისტრი-გენგამი ...... 2:1
ლე მანი-შატორუ ...... 0:1
ნანტი-ტური ...... 1:0
რეიმსი-ანჟე ...... 3:0
ტრუა-ლავალი ...... 3:0
კლერმონი-ბასტია ...... 2:1

### ჰოლანდია. ერედივიზიონი

ჰერენვენი-უტრეხტი ...... 2:0
ბრედა-გრააფსხაპი ...... 1:1
ერაკლესი-ექსელსიორი ...... 3:0
როდა-ალკმაარი ...... 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 19 | 12 | 5 | 2 | 52:21 | 41 |
| 2.ალკმაარი | 19 | 12 | 3 | 4 | 37:18 | 39 |
| 3.ტვენტე | 18 | 10 | 6 | 2 | 48:18 | 36 |
| 4.აიაქსი | 18 | 9 | 7 | 2 | 47:24 | 34 |
| 5.ჰერენვენი | 19 | 9 | 7 | 3 | 43:28 | 34 |
| 6.ფეიენოორდი | 18 | 9 | 4 | 5 | 35:24 | 31 |
| 7.ვიტესი | 19 | 8 | 5 | 6 | 24:20 | 29 |
| 8.გრონინგენი | 18 | 8 | 5 | 5 | 31:29 | 29 |
| 9.როდა | 19 | 9 | 1 | 9 | 34:41 | 28 |
| 10.ერაკლესი | 19 | 6 | 5 | 8 | 30:27 | 23 |
| 11.დენ ჰააგი | 18 | 6 | 4 | 8 | 25:34 | 22 |
| 12.ბრედა | 19 | 6 | 4 | 9 | 25:32 | 22 |
| 13.ნაიმეგენი | 18 | 6 | 2 | 10 | 18:27 | 20 |
| 14.ვალვაიკი | 18 | 5 | 3 | 10 | 17:33 | 18 |
| 15.უტრეხტი | 19 | 4 | 6 | 9 | 29:38 | 18 |
| 16.ვენლო | 18 | 3 | 4 | 11 | 18:43 | 13 |
| 17.გრააფსხაპი | 19 | 3 | 4 | 12 | 17:42 | 13 |
| 18.ექსელსიორი | 19 | 2 | 5 | 12 | 12:44 | 11 |

### ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი

ეინდჰოვენი-ვეენდამი ...... 2:0

### პორტუგალია. ა ლიგა

გიმარაეში-ნასიონალი ...... 1:0
რიუ ავე-აკადემიკა ...... 0:0
ფეირენსე-ბენფიკა ...... 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბენფიკა | 17 | 14 | 3 | 0 | 43:14 | 45 |
| 2.პორტუ | 16 | 12 | 4 | 0 | 37:9 | 40 |
| 3.ბრაგა | 16 | 10 | 4 | 2 | 30:15 | 34 |
| 4.სპორტინგი | 16 | 8 | 5 | 3 | 27:14 | 29 |
| 5.მარიტიმუ | 16 | 8 | 5 | 3 | 23:19 | 29 |
| 6.გიმარაეში | 17 | 7 | 2 | 8 | 23:19 | 23 |
| 7.აკადემიკა | 17 | 5 | 5 | 7 | 18:20 | 20 |
| 8.ნასიონალი | 17 | 5 | 4 | 8 | 16:27 | 19 |
| 9.ოლჰანენსე | 16 | 4 | 6 | 6 | 17:20 | 18 |
| 10.ბეირა მარი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:14 | 16 |
| 11.ჟილ ვისენტე | 16 | 3 | 7 | 6 | 14:26 | 16 |
| 12.რიუ ავე | 17 | 4 | 3 | 10 | 14:23 | 15 |
| 13.ფეირენსე | 17 | 3 | 6 | 8 | 12:24 | 15 |
| 14.სეტუბალი | 16 | 3 | 5 | 8 | 12:26 | 14 |
| 15.ლეირია | 16 | 4 | 2 | 10 | 16:29 | 14 |
| 16.ფერეირა | 16 | 3 | 3 | 10 | 16:33 | 12 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-დანფერმლაინი ...... 1:0
ინვერნესი-სტ.მირენი ...... 0:0
მოზერველი-სტ.ჯონსონი ...... 3:2
რეინჯერსი-ჰიბერნიანი ...... 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 24 | 19 | 2 | 3 | 48:16 | 59 |
| 2.რეინჯერსი | 25 | 18 | 4 | 3 | 47:14 | 58 |
| 3.მოზერველი | 24 | 12 | 5 | 7 | 31:29 | 41 |
| 4.ჰართსი | 24 | 10 | 5 | 9 | 30:18 | 35 |
| 5.სტ.ჯონსონი | 24 | 10 | 5 | 9 | 32:27 | 35 |
| 6.აბერდინი | 25 | 7 | 8 | 10 | 27:30 | 29 |
| 7.დანდი | 24 | 6 | 9 | 9 | 33:38 | 27 |
| 8.კილმანროკი | 23 | 6 | 9 | 8 | 27:34 | 27 |
| 9.სტ.მირენი | 25 | 6 | 9 | 10 | 25:36 | 27 |
| 10.ინვერნესი | 24 | 7 | 5 | 12 | 30:40 | 26 |
| 11.ჰიბერნიანი | 24 | 4 | 6 | 14 | 24:45 | 18 |
| 12.დანფერმლაინი | 24 | 4 | 5 | 15 | 26:53 | 17 |

### ბელგია. პროლიგა

ბეერსხოტი-ანდერლეხტი ...... 0:0
ვეტერლო-ლიერსი ...... 0:2
გენკი-ევერლე ...... 5:0
გენტი-სტ.ტრუიდენი ...... 6:0
კორტრაიკი-ვარეგემი ...... 0:0
ლოკერენი-მეხელენი ...... 3:2

### საბერძნეთი. სუპერლიგა

ოფი-ქსანთი ...... 1:0
პანიონიოსი-კერკირა ...... 2:0
ოლიმპიაკოსი-ერგოტელისი ...... 3:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ანთალია-გენჩლერი ...... 2:2
ბურსა-გალათასარაი ...... 1:0

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული სეზონი

ფილადელფია-დეტროიტი ...... 96:74
შარლოტი-ვაშინგტონი ...... 99:102
ჰიუსტონი-ნიუ იორკი ...... 97:84
მილუოკი-ლეიკერსი ...... 100:89
ფინიქსი-მემფისი ...... 86:84
იუტა-საკრამენტო ...... 96:94

## წყალბურთი

### ევროპის ჩემპიონატი

**ქალები – ფინალი**

საბერძნეთი-იტალია ...... 10:13

**მე-3 ადგილისთვის**

უნგრეთი-რუსეთი ...... 9:8

## ჩოგბურთი

### ავსტრალიის ღია პირველობა

**ქალები – ფინალი**

აზარენკო-შარაპოვა ...... 6:3;6:0

შედეგები

# აშშ თალიბებთან მოლაპარაკებებს მართავს



ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენლები ყატარში მოძრაობა „თალიბანთან“ მოლაპარკებებს მართავენ.

ამის შესახებ ინფორმაციას „ნიუ-ორკ თაიმსი“ ავრცელებს.

გამოცემის ინფორმაციით, მოლაპარაკებების მთავარ მიზანს ავღანეთში ომის დასამთავრებლად ზომების გატარება და ნდობის აღდგენა წარმოადგენს.

„ნიუ-ორკ თაიმსის“ ინფორმაციით, შეხვედრებზე მოლაპარაკებების ერთ-ერთი მთავრი თემა ტყვეების გაცვლის საკითხიც იქნება, თუმცა გამოცემა აქვე აღნიშნავს, რომ ოფიციალური ვაშინგტონი მოლაპარაკებების არსებობის შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებს.

თავის მხრივ, მოძრაობა „თალიბანმა“ ამ დღეებში გამოაცხადა, რომ ავღანეთის შიდაკონფლიქტის მშვიდობიანად მოსაწესრიგებლად დიალოგისთვის მზად არის, მაგრამ მათ სურთ, საქმე იქონიონ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და არა ქვეყნის ამჟამინდელ მეთაურ ჰამიდ ყარზაისთან.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სავსებით შესაძლებელია, ზომიერი თალიბები ვაშინგტონისთვის პარტნიორებად იქცნენ.

„თალიბანის“ წარმომადგენლის, ზაბიულა მუდჯაჰიდის თქმით, ისინი უკვე 15 წელია იბრძვიან ავღანეთში ისლამური სახელმწიფოს შესაქმნელად, ქვეყანაში მშვიდობის დასამყარებლად. მათ მიიღეს დამატებითი პოლიტიკური ზომები და სურთ, საერთაშორისო საზოგადოებრიობა გაგებით მოეკიდოს მათ ძალისხმევას ავღანეთში შექმნილი ვითარების მოსაწესრიგებლად.

ზაბიულა მუდჯაჰიდის არ დაუზუსტებია, „რა დამატებით პოლიტიკურ ზომებს“ გულისხმობდა, მაგრამ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმა აღიარა, რომ ბოლო ხანს ვაშინგტონმა გააძლიერა ძალისხმევა თალიბებთან მშვიდობიანი დიალოგის ორგანიზებისათვის.

აშშ ისლამისტ რადიკალებთან დიალოგის დაწყებას მათი მხრიდან მრავალი პირობის შესრულებას უკავშირებს. კერძოდ, „თალიბანმა“ უნდა აღიაროს ავღანეთში 2004 წლიდან მოქმედი კონსტიტუცია, რაც თავისთავად ნიშნავს ჰამიდ ყარზაის რეჟიმის აღიარებას.

შეგახსენებთ, რომ ავღანეთში ანტიამერიკული განწყობა გააძლიერა ვიდეოჩანაწერმა, რომელზეც ასახულია, როგორ შეურაცხყოფს ოთხი ამერიკელი ჯარისკაცი თალიბი მეომრების გვამებს - როგორ აშარდავს მათ... აშშ-ის საზღვაო კორპუსი აცხადებს, რომ დაწყებულია გამოძიება და ჯერ არ არის დადასტურებული ვიდეოჩანაწერის წარმომავლობა, ან მისი ავთენთურობა.

– ვინც უნდა იყოს და რა გარემოებებშიც უნდა ხდებოდეს - რასაც ვიცით, რომ ამჟამად იძიებენ - საქმე ეხება ალმაშფოთებელ საქციელს, რომელიც მიუღებელია სამხედრო ძალების წევრისათვის, - ამ განცხადებით გამოეხმაურა პენტაგონის პრესმდივანი, ჯონ კირბი სკანდალურ ვიდეოჩანაწერს.

მასზე ასახულია აშშ-ის საზღვაო ქვეითების ფორმით შემოსილი ოთხი მამაკაცი იარაღითა და ჩაფხუტებით. ისინი ინგლისურად ლაპარაკობენ, ამერიკული აქცენტით, და იცინიან, როცა აშარდავენ სამი წვერიანი მამაკაცის გვამებს.

ჯერ უცნობია, ვინ გააკეთა ეს ჩანაწერი და ვინ გაავრცელა ინტერნეტში, მაგალითად, პოპულარულ ვებსაიტ „იუტიუბზე“. მაგრამ ისმის ჩანაწერის გამკეთებლის ხმა - ისიც ამერიკული ინგლისურით ლაპარაკობს - და ჩანს მისი ხელთათმანი, რომელიც, სავარაუდოდ, სამხედრო ფორმის ნაწილია.

ვიდეოჩანაწერის გავრცელების შედეგად კიდევ უფრო გართულდა ვაშინგტონის ისედაც რთული ამოცანა ავღანეთში, ხელი შეუწყოს თალიბანთან შერიგების პროცესს, როცა ქვეყანას ეტაპობრივად ტოვებენ უცხოელი, მათ შორის ამერიკელი სამხედროები.

თალიბანი მიმდინარე თვეში დაყაბულდა კატარში პოლიტიკური ცენტრის გახსნას, საერთაშორისო თანამეგობრობასთან მოსალაპარკებლად, თუმცა, თან მოითხოვა თავისი თანამებრძოლების გათავისუფლება გუანტანამოს ამერიკული სამხედრო ბაზიდან.

ავღანელი თალიბების პრესმდივანმა, ზაბიჰულა მუჯაჰიდმა „ბარბაროსობა“ უწოდა დაღუპულების შეურაცხყოფას, თუმცა, საინფორმაციო სააგენტო „როიტერის“ ცნობით, აღნიშნა, რომ „ვიდეოჩანაწერი არ მიაყენებს ზარალს მოლაპარაკებებსა და ტყვეების გაცვლას“, რადგან პოლიტიკური პროცესი საწყის ეტაპზეა. ამჟამად კი თალიბები კვლავინდებურად აგრძელებენ შეიარაღებულ ბრძოლას.

ვიდეოჩანაწერმა ბევრი ავღანელი აღაშფოთა, მათ შორის თალიბანის მიმართ კრიტიკულად განწყობილებიც. რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტები რამდენიმე ადამიანს გამოელაპარაკნენ.

მაგალითად, ყანდაარელ ამანულას სჯერა, რომ გაუარესდა სამშვიდობო პროცესის პერსპექტივა:

– ჩვენ ვგმობთ ამერიკელი ჯარისკაცების ამ ქმედებას - თალიბანის მებრძოლების გვამებზე მოშარდვას. ეს დააზარალებს სამშვიდობო მოლაპარაკებებს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ შეერთებულ შტატებს არ სურს, დაუშვას სამშვიდობო მოლაპარაკება ავღანეთში და ამ საქციელის გამო კიდევ უფრო მეტი ტანჯვა მოგველის ამ ქვეყანაში.

ყანდაარშივე ცხოვრობს თავაბ ხანი, რომელიც მოითხოვს ვიდეოჩანაწერზე ასახული ჯარისკაცების ვინაობის დადგენას და მათს გასამართლებას:

– ჩვენ, ყველა მუსულმანი ვგმობთ უცხოელი ჯარისკაცების ამ საქციელს - თალიბების გვამებზე მოშარდვას. ეს ეწინააღმდეგება ისლამსა და საერთაშორისო თანამეგობრობის როლს. გვსურს, ადამიანის უფლებათა კომისიამ მიმართოს ზომებს ამ სასტიკი ქმედების წინააღმდეგ და დააპატიმროს ამ ინციდენტის დროს დანაშაულის ჩამდენი პირები.

ქაბულელი ფედა მოჰამადი კონკრეტული პირების სამართლებრივი დევნის მოთხოვნაზე უფრო შორს მიდის და მოითხოვს, ავღანეთიდან გაიყვანონ ყველა უცხოელი ჯარისკაცი:

– ამერიკელმა ჯარისკაცებმა, რომლებმაც მუსულმანთა გვამებზე მოშარდეს, დანაშაული ჩაიდინეს. და რახან ასეთი დანაშაული აქვთ ჩადენილი, აღარ გვინდა, რომ ისინი ჩვენ მიწაზე დარჩნენ. არ გვინდა უცხოელი ჯარისკაცები ჩვენს მიწაზე! ისინი უნდა წავიდნენ...

ავღანეთში ანტიამერიკული განწყობა აქამდეც ბევრჯერ გამოუხატავთ. ის ძალადობაშიც გადაზრდილა - მაგალითად, ორჯერ მოჰყვა არეულობა ყურანის შეურაცხყოფად აღქმულ ქმედებას.

ავღანეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც გამოხატავს მთავრობის „ღრმა შეშფოთებას“ ჩანაწერთან დაკავშირებით.

**გ. ჰ.**

# საქართველომ ფინალი უკრაინას დაუთმო

**უკრაინა – საქართველო 2:0**

1:0 ტკაჩუკი (48), 2:0 ზავიცკი (78)

**უკრაინა:** სარნავსკი, კაჩარაბა, ბურდა, ხარატინი, ტკაჩუკი, ტანკოვსკი, ტიშჩენკო (ზავისკი), ვეტროვი (მირანიანი), სობოლი, ბილონოგი, ლაზაროვიჩი

**საქართველო:** ადამია, გაბაძე, ჭანტურია, გოროზია, სამხარაძე, ჭეჭელაშვილი, ცინცაძე, ახვლედიანი, წილოსანი (დარციმელია 65), მესხი (პაპუნაშვილი 41), ჯიქია

ფინალური მატჩი ძალიან მძიმე და დაძაბული გამოდგა. პირველივე წუთებიდან ჩვენი მეტოქე მცირე ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, თუმცა, ჩვენი ნაკრების კარამდე მისვლას ვერ ახერხებდნენ.

პირველი შანსი ვასილ მაისურაძის შეგირდებს ჰქონდათ – ახვლედიანის შესანიშნავი პასის შემდეგ უკრაინელთა მეკარესთან პირისპირ დარჩა დავით ჯიქია, რომელმაც ძლიერად დაარტყა და გოლკიპერმა ბურთის მოგერიება ფეხით მოახერხა. ასეთი ასპროცენტიანი მომენტი, სამწუხაროდ, მეტი აღარ გვქონია, არადა, ეს ბურთი რომ გასულიყო, შესაძლოა, მატჩი სულ სხვა სცენარით განვითარებულიყო.

მეტოქემ ანგარიში 48-ე წუთზე გახსნა. საჯარიმო დარტყმის შემდეგ ტკაჩუკმა თავით გადაგზავნა ბურთი ადამიას კარში.

მოედანზე პაპუნაშვილისა და დარციმელიას გამოსვლის შემდეგ თითქოს უფრო მწვავე გახდა ჩვენი გუნდის თამაში, თუმცა, გადამწყვეტ მომენტებში ან სიზუსტე აკლდა ქართველი ფეხბურთელების დარტყმულს, ან კიდევ უკრაინელთა მეკარის ნადავლი ხდებოდა.

მატჩის მიწურულს კი მთელი გუნდით შეტევაში წასულ ქართველებს კონტრშეტევა გაეპარათ. ბელონოგის დარტყმული ბურთი ადამიამ კი მოიგერია, თუმცა, დამატებაზე ტარას ზავისკიმ ყველას დაასწრო და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 2:0 უკრაინელთა სასარგებლოდ და მინსკის ახალგაზრდული ტურნირის თასიც მათ დარჩათ.

მატჩის შემდეგ ტურნირის დახურვისა და დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. გუნდების დაჯილდოებამდე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული ფეხბურთელები გამოავლინეს. ტურნირის საუკეთესო მეკარე გახდა ბელგიელი ლუკა პირარი, საუკეთესო მცველი — სტეპან რებენკო (რუსეთი); საუკეთესო ნახევარმცველად საქართველოს ნაკრების 8 ნომერი გიორგი პაპუნაშვილი აღიარეს; საუკეთესო თავდამსხმელად – ბელორუსი გლებ რასადკინი. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად უკრაინელი ვიაჩესლავ ტანკოვსკი დაასახელეს, საუკეთესო ბომბარდირები კი დმიტრო ბელონოგი და დავით ჯიქია გახდნენ 4-4 გატანილი ბურთით.

**მ. ჟ.**

# ცხიფყღჯჰლბ



1. ვივიენ ...; 2. ჭრილობა; 3 ქრისტეს გამყიდველი; 4. ... ბოლდუინი; 5. ნატვრის გამომხატველი შორისდებული; 6. კედლის ჭალი; 7. „დაისის“ პერსონაჟი; 8. შტატი აშშ-ში; 9. სისხლის შენადედი; 10. ძველებური ეტლი; 11. ისტორიისა და პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 12. სოფელი რაჭაში; 13. ქალიშვილს გატანებული ქონება მისი გათხოვებისას; 14. ... კრუზი; 15. იუპიტერის თანამგზავრი; 16. ფსიქიკური დაავადება; 17. ძველფრანგული ვერცხლის და ოქროს ფული; 18. ...ხაიამი; 19. ტყის მსხალი; 20. ტაბლეტი; 21. მუხის ნაყოფი; 22. ამონი; 23. ნაქსოვი ბურთულაკი ბავშვის ქუდზე; 24. პარტიის ნაწილი ჩოგბურთში; 25. ალპინისტის ფეხსაცმელი; 26. მოჩვენებითი ბრწყინვალება; 27. კუნთზე მიმანიშნებელი წინსართი; 28. „ეზოში ავი ძაღლია“-ს პერსონაჟი; 29. ფიზიკის ნაწილი; 30. ფულის მისაღები თამასუქი; 31. ერთ-ერთი სისხლძარღვი; 32. ... ვაიკულე; 33. პროსპერ ...; 34. ინგლისური ლუდი; 35. ანტილოპა; 36. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში.

**ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯმღტ.ყტ,ეჯბ hჰჯცღჯჰლტ,ბც გფცეſტ,ბ5**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კვერნა; 2. ალიევი; 3. ოჩოკოჩი; 4. ჯიბგირი; 5. კაროჟნა; 7. ჰამლეტი; 11. ტოლჩა; 12. მიქსტი; 13. დასლერი; 14. პარკუჭი; 15. ჰამერი; 17. ნაზუქი; 19. რაჭა.

**თარაზულად:** 5. კრაველი; 6. ყანჩელი; 8. ბუმი; 9. ლოიდი; 10. ჟავალი; 11. ტიკი; 13. დიამბეგი; 14. პოლკა; 16. ანისი; 18. ლალია; 20. ჭანჭური; 21. რეაქცია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თაკვერი; 2. ჯანელიძე; 3. კლიმატი; 5. აპოსტოლი; 7. ათაბაგი; 9. შინჰოფერი; 13. მოურავი; 15. ყადაღა; 16. დიდუბე; 18. ულისე.

**თარაზულად:** 4. საქსაული; 6. კვარტალი; 8. ღვინობისთვე; 10. დუბლინი; 11. ნოტი; 12. აგრეჟე; 14. წყალი; 17. სფერო; 19. ოდიში; 20. ზურმუხტი; 21. იუტა; 22. საწნახელი; 23. მერკური.

# თეონა ქუმსიაშვილის ცრემლიანი დაბადების დღე

დასაწყისი მე-12 გვერდზე

საღამოზევე გაიმართა თეონას ლექსების კრებულის „მთის ბულბულის“ პრეზენტაცია. კრებულის გამოცემა მამა პეტრემ დააფინანსა.

თეონას სიმღერებს დათო კენჭიაშვილი, „ჩელა“, „მეგობრები“, თსუ „გორდელა“, „ფიც-ვერცხლი“, „გენი“, დები ზვიადაურები ასრულებდნენ.

ამ საღამოზე დასასწრებად პანკისიდან ჩამოვიდა ქისტი მომღერალი, თეონას ოჯახის მეგობარი სულთან ბორჩაშვილი.

თეონა გაიხსენეს პოეტებმა მარიამ (სანათა) ხუცურაულმა, თემურ ჩალაბაშვილმა, ერეკლე საღლიანმა, გიო არაბულმა. ეს უკანასკნელი თეონას უმცროსი ვაჟის ჯარჯის ნათლიაა.

სიტყვა წარმოთქვა მამა თომამაც. მამა თომამ დასწერა ჯვარი თეონას. მან მოუნათლა ორივე შვილი და მანვე აუგო წესი.

საღამო უაღრესად თბილი, ლამაზი, მაგრამ ძალიან ტკივილიანი იყო. დარბაზში მყოფებმა ვიდეოზე აღბეჭდილი კადრებიც იხილეს. აჩვენეს ტრაგედიის დღეს გადაღებული ვიდეოც.

ტრაგედია 2010 წლის 22 ივლისს ხევსურეთში მოხდა. ავტოავარიის დროს თეონა თავის მცირეწლოვან შვილებთან ერთად დაიღუპა.

ეს ტრაგედია საზოგადოებას დღემდე მტკივნეულად ახსოვს. მან 7 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

იმ დღის შემდეგ ხალხმა კიდევ უფრო შეიყვარა თეონას შემოქმედება, რომელსაც დრომ ვერაფერი დააკლო და, ალბათ, ვერც მომავალში დააკლებს. მის სიმღერებს კიდევ ბევრჯერ იმღერებენ. მის ლექსებსაც ბევრჯერ წაიკითხავენ.

თეონას კიდევ ბევრი რამე ჰქონდა სათქმელი, მაგრამ არ დასცალდა. ის 26 წლის ასაკში წავიდა ამქვეყნიდან, აქ კი თავისი ლამაზი ლექსები, სიმღერები და დიდი სევდა დატოვა.

# ეროვნულმა არქივმა გაბრიელ ქიქოძის ფონდი გამოაქვეყნა

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ნაწერთა ეროვნულ ცენტრშიც. მას ეკუთვნის არაერთი ნაშრომი საქართველოში ქრისტიანობის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

– გაბრიელ ქიქოძე 71 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი გარდაცვალებამდე შეუძლოდ შეიქნა, ექიმებმა ვერ შეუმსუბუქეს მდგომარეობა. სიცოცხლის ბოლოს მეუფე გაბრიელს მძიმე სულიერი ბრძოლები დაეწყო, ხშირად ტანჯავდნენ საშინელი მოჩვენებანი. ერთი კვირა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იყო. ავადმყოფს არ ტოვებდნენ მორწმუნენი, ნათესავები. გარდაცვალების წუთებში მან მეუღლის სახელი ახსენა....უჩვეულოდ დიდი ზამთარი ყოფილა იმ წელს ქუთაისში. გზები თოვლისაგან იყო შეკრული. გადაწყვიტეს, დაეცადათ გაზაფხულამდე, ვიდრე თოვლი არ გადნებოდა და გზები არ გაიხსნებოდა. მანამდე კი გაბრიელის ცხედარი ქუთაისის საკრებულო ტაძარში დაასვენეს. 46 დღე ეთხოვებოდა გაბრიელ ეპისკოპოსს სრულიად საქართველო და მთელი ამ დროის მანძილზე მისი გვამი არ გახრწნილა. გარდაცვლილის პირადი ქონება საკუთარი სურვილით მთლიანად ქვრივ-ობლებსა და ღარიბებს დაურიგდა. ის დასაფლავებულია ქუთაისში, გელათის ღმრთისმშობლის ეკლესიაში. მისი გარდაცვალების შემდეგ საზოგადო მოღვაწე მელიტონ კელენჯერიძემ გადაწყვიტა, გაბრიელ ქიქოძესთან დაკავშირებით შეეგროვებინა მისი მოღვაწეობის ამსახველი ცნობები. ამისათვის საგანგებოდ შეიმუშავა კითხვარი, რომლის მიხედვითაც გაბრიელ ეპისკოპოსზე შემოგვინახა მისი თანამედროვე სასულიერო და საერო მოღვაწეთა მოგონებები. სწორედ ეს მასალები შევიდა გაბრიელ ქიქოძის პირად ფონდში, რომელიც ეროვნულ საარქივო ფონდს 1963 წელს მიხეილ ქიქოძემ გადასცა. პირად ფონდში ასევე დაცულია გაბრიელ ქიქოძის ქადაგებანი და რელიგიურ დღესასწაულებზე წარმოთქმული სიტყვები, მიწერ-მოწერა იაკობ გოგებაშვილთან, ბარონ ნიკოლაისთან, ათონის ქართველთა მონასტრის ბერებთან, დიმიტრი ფურცელაძესთან და სხვა პირებთან. პირად ფონდში დაცული მასალები 1849-1917 წლებს მოიცავს, – განაცხადა თეა ქიმერიძემ.

# ისრაელი ირანზე თავდასხმის ვარიანტებს განიხილავს

ირანის სანავთობო კომპანიის ხელმძღვანელი აჰმად კალეჰბანი აცხადებს, რომ ნავთობის ფასმა ბარელზე შესაძლოა 150 აშშ დოლარი შეადგინოს, - ამის შესახებ ირანული საინფორმაციო სააგენტო „ირნა“ იუწყება.

კალეჰბანს არ დაუკონკრეტებია, რა პერიოდში მოხდება ნავთობზე ფასის მატება. მისი განცხადება უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ირანის ხელისუფლება ევროკავშირისთვის ირანული ნავთობის ექსპორტის შეწყვეტის საკითხს განიხილავს. ამის მიზეზი კი ევროკავშირის მიერ ირანულ ნავთობზე დაწესებული ემბარგო გახდა, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულიდან ამოქმედდება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 26 იანვარს წარმოადგინა პროგნოზი, რომლის თანახმადაც, თუ ნავთობის ალტერნატიული მომწოდებლების მოძიება არ მოხდება, ნავთობზე ფასი 30 %-ით მოიმატებს და ბარელზე 140 აშშ დოლარს შეადგენს.

ამ ფონზე, ატომური ენერგეტიკის სააგენტოს წარმომადგენელთა ჯგუფი გაემგზავრა ირანში. ამ ქვეყნის ხელისუფლებთან შეხვედრებში, სამი დღის განმავლობაში, ისინი იმსჯელებენ საერთაშორისო თანამეგობრობის შეშფოთების გამო ირანის ბირთვულ პროგრამათან დაკავშირებით.

ინსპექტორების ჯგუფის ხელმძღვანელმა, ჰერმან ნეკერტსმა თეირანში გაფრენამდე განაცხადა, რომ ირანთან დიალოგის დაწყება უფრო ადრე იყო საჭირო.

ირანის ხელისუფლება მზად არის ითანამშრომლოს სააგენტოსთან, მაგრამ აცხადებს, რომ არ აპირებს შეწყვიტოს ურანის გამდიდრება.

ამის გამო ეჭვობენ აშშ და სხვა ქვეყნები, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნას ესწრაფვის. ორივე მხარე, დაძაბულობის და ბოლო ხანს ირანისთვის დაწესებული სანქციების მიუხედავად, აცხადებს მზადყოფნას, განახლდეს მოლაპარაკება ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით.

თავის მხრივ, თურქეთი ირანის წინააღმდეგ ევროკავშირის ახალი სანქციების გაზიარებას არ აპირებს.

უცხოური მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ახმედ დავითოღლუმ განაცხადა.

– თურქეთი არ ეთანხმება ირანის წინააღმდეგ ევროკავშირის ახალ სანქციებს, რომელიც ირანულ ნავთობზე ემბარგოს აწესებს. ჩვენი ქვეყანა სანქციების გატარებაში მონაწილეობას არ მიიღებს. აქედან გამომდინარე, თურქეთი ენერგეტიკის სფეროში თეირანთან თანამშრომლობას გააგრძელებს, - აღნიშნა დავითოღლუმ.

თურქეთის ბაზრის 30 %-ი სწორედ ირანული ნავთობითაა წარმოდგენილი, ისე, როგორც ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი რაოდენობა სწორედ თეირანიდანაა იმპორტირებული.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები ირანული ნავთობის ემბარგოზე 23 იანვარს შეთანხმდნენ. გადაწყვეტილება ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიიღეს.

შეთანხმების მიხედვით, ირანიდან ნავთობპროდუქტების იმპორტზე ახალი კონტრაქტების გაფორმება იკრძალება, ხოლო უკვე არსებული შეთანხმებების მოქმედების ვადა 1-ელ ივლისამდე განისაზღვრა.




ევროკავშირი აღნიშნულის მიზეზად ირანის მიერ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობას ასახელებს.

თეირანის გარშემო შექმნილი ვითარება საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ცენტრში რჩება. მას შემდეგ რაც ევროკავშირმა ირანული ნავთობის გაყიდვებზე ემბარგო დააწესა, თეირანის მიერ საზღვაო მიმოსვლის გადაკეტვის შესაძლებლობა კვლავ შემაშფოთებელ გარემოებად რჩება, ამ თემის შესახებ დეტალებს „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტი მილ არსეგა არკვევდა.

მსოფლიოს წარმოებული ნავთობის დაახლოებით მეხუთედი დანარჩენ ქვეყნებს ორმუზის სრუტის გავლით მიეწოდება. ლუჩიან პუგლიარესი ენერგოპოლიტიკის კვლევის ფონდის ანალიტიკოსია. მისი თქმით, საზღვაო მიმოსვლის დაბლოკვა მსოფლიო ნავთობის ბაზარს დიდ პრობლემას შეუქმნის.

ჩინეთსა და სხვა მზარდი ეკონომიკის ქვეყნებში ნავთობზე მოთხოვნა საგრძნობლად იზრდება. ორმუზის სრუტის ჩაკეტვა კი ნავთობის ფასების რეკორდულ ზრდას გამოიწვევს.

– მთავარი საკითხი არის ის, რომ ჩვენ ძლიერად ინტეგრირებული მსოფლიო ნავთობის ბაზრის ნაწილი ვართ და ნებისმიერ ადგილზე შეფერხება მთლიანად მსოფლიში იწვევს შეფერხებას, - ამბობს პუგლიარესი.

ევროპული სანქციების ბოლო რაუნდი, ევროპაში ირანულ ანგარიშებს ყინავს და ირანული ნავთობის ექსპორტს კრძალავს.

ევროკავშირის საპასუხოდ ირანელმა პოლიტიკოსებმა კვლავ განაახლეს მუქარა ორმუზის სრუტის ჩაკეტვის შესახებ.

თუმცა, ბევრი დასავლელი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ირანი ბლეფზე მიდის. ამ მოსაზრებას კი პუგლიარესი საეჭვოდ მიიჩნევს. ირანის საგარეო შემოსავლების 80 პროცენტს სწორედ ნავთობი წარმოადგენს. თეირანი დღეეში ორ მილიონზე მეტ ბარელ ნავთობს აწარმოებს.

– როდესაც სრუტეს ჩაკეტავთ და შემდეგ მის გახსნას შეეცდებით, ვერავინ გეტყვით თუ რა ნაბიჯს გადადგამს ირანი. მათ შესაძლოა რამდენიმე ასიმეტრიული ზომა მიიღონ, რაც ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებას კიდევ უფრო გაართულებს, - ამბობს პუგლიარესი.

შეერთებულმა შტატებმა ირანი უკვე გააფრთხილა ირანი ორმუზის სრუტის ჩაკეტვას არ მოითმენს. თუმცა ბლოკადის მუქარამ შეერთებულ შტატებში ნავთობის გაძვირება უკვე გამოიწვია.

ამასობაში, ისრაელი ირანზე თავდასხმის ვარიანტებს დეტალურად განიხილავს.

ისრაელის დაზვერვის სამსახურების შეფასება, რომლებიც აკადემიურ კვლევებს ეყრდნობა, ეჭვქვეშ აყენებენ იმ ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ირანის ბირთვულ საწარმოებზე სამხედრო თავდასხმა ისეთ კატასტროფულ მოვლენებს გამოიწვევს, როგორებიც არის რეგიონული დაპირისპირება, ტერორისტული აქტების საგრძნობლად ზრდა და ნავთობზე ფასების მნიშვნელოვნად მომატება.

შეფასებაში, რომელსაც ისრაელის მაღალჩინოსნების დიდი ნაწილი იზიარებს, აღნიშნულია, რომ ირანის მიერ სამაგიეროს გადახდა სიმართლეს ნაწილობრივ არ შეეფერება.

ისრაელის გათვლებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ალტერნატივა - უნდა მოხდეს ირანზე თავდასხმა დამოუკიდებლად, თუ საჭიროა მოხერხდეს ამერიკის ხელმძღვანელობის დარწმუნება, რომ ეს მათ გააკეთონ.

– ომი პიკნიკზე წასვლას არ ნიშნავს. თუმცა, თუ ისრაელი ამ ნაბიჯს გადადგამს, მაშინ საპასუხო იერიშსაც მოიგერიებს. ამას 100 000, 10 000 ან თუნდაც 1000 კაცის მსხვერპლი არ მოჰყვება. ისრაელის სახელმწიფო არ განადგურდება, - აღნიშნა ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ეჰუდ ბარაქმა.

ირანი, რომელიც აღნიშნავს, რომ მისი ბირთვული პროგრამა მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის არის განკუთვნილი, ცოტა ხნის წინ ორმუზის სრუტის გადაკეტვით დაიმუქრა. ამ სრუტის გავლით კი სპარსეთის ყურის ნავთობის 90 პროცენტი გადის. ხოლო თუ მასზე თავდასხმა მოხდებოდა, მაშინ ქვეყანა საპასუხო ზომებს განახორციელებდა.

ზოგიერთი ანალიტიკოსი აღნიშნავს, რომ ირანზე სამხედრო თავდასხმა შედეგს ვერ გამოიღებს და ეს ქვეყანა ბირთვულ პროგრამაზე მუშაობას უფრო გააძლიერებს.

ისრაელის მხარის განცხადებით, მართალია, ირანის წინააღმდეგ სანქციები კი წესდება, მაგრამ ეს დროში გაწელილი პროცესია და სამხედრო თავდასხმა უფრო რეალურ მიდგომას წარმოდგენს.

– აუცილებელია ყველა სცენარის გათვალისწინება და რეალურ ქმედებაზე გადასვლამდე იმის კითხვაც: რა მოხდება, თუ ირანს უკვე აქვს ბირთვული იარაღი? - აღნიშნავს ისრაელის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი.

## იულია ტიმოშენკოს ქალიშვილი პოლიტიკურ კარიერას იწყებს

უკრაინის ექს-პრემიერ იულია ტიმოშნკოს ქალიშვილი ევგენია 1 თებერვალს აშშ-ის სენატში უკრაინის საკითხებთან დაკავშირებით მოსმენაში მიიღებს მონაწილეობას. სენატის საგარეო ურთიერთობათა ქვეკომიტეტი, რომელიც ევროპის საკითხებზე მუშაობს, მოსმენას გამართავს თემაზე - „უკრაინა გზაჯვარედინზე“.



– დისკუსიას სენატორი ჯინ შაჰინი უხელმძღვანელებს. მოსმენაში უკრაინაში აშშ-ის ყოფილი ელჩი სტივენ პაიფერიც მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ამჟამად ვაშინგტონის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ პოლიტოლოგიის ცენტრში - „ბრუკინგს ინსტიტუტის“ ანალიტიკოსად მუშაობს, - ნათქვამია ტიმოშენკოს საიტზე გამოქვეყნებულ შეტყობინებაში.

იულია ტიმოშენკოს ქალიშვილი თებერვალში ასევე აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას შეხვდება. შეხვედრა იულია ტიმოშენკოს დაცვის საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში გაიმართება, რომელსაც ევგენია ახორციელებს.

ამის შესახებ ექს-პრემიერის ქალიშვილმა პარიზში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მიწვევით, უახლოეს დღეებში კოპენჰაგენში ჩასვლას ვაპირებ, თებერვალში კი აშშ-ის პრეზიდენტს შევხვდები, მოგვიანებით ლონდონში გავემგზავრები და, სავარაუდოდ, პოლონეთშიც, - განაცხადა პოლიტიკოსის ქალიშვილმა.

26 იანვარს ევგენია ტიმოშენკო ევროპარლამენტში სიტყვით გამოვიდა.

ევგენიას კიევში საკუთარი რესტორანი ჰქონდა. ის გლამურული ქრონიკის გმირი მას შემდეგ გახდა, რაც უცხოელ მუსიკოსს ცოლად გაჰყვა.

დედის მხარდასაჭერად ის ხშირად დადიოდა სასამართლო პროცესებზე, მას პარტია „ბატკივშინაში“ იულია ტიმოშენკოს ოფიციალურ წარმომადგენლად აღიქვამენ.

შარშან შემოდგომაზე უფლებამოსილების გადაჭარბებისთვის იულია ტიმოშენკოს სასამართლომ შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

შეგახსენებთ, რომ იულია ტიმოშენკოს ქალიშვილი ცოტა ხნის წინ დედის გვარზე გადავიდა. ევგენია კარრმა გვარის შეცვლის მოთხოვნით დნეპროპეტროვსკში, ბაბუშკინის სარეგისტრაციო ორგანოს მიმართა და ევგენია ტიმოშენკოს სახელზე ახალი პასპორტი მიიღო.

როგორც სააგენტო „ინტერფაქსს“ ექს-პრემიერის გარემოცვიდან სანდო წყარომ აცნობა, ევგენიას გვარის შეცვლა, შესაძლოა, მის პოლიტიკურ გეგმებს უკავშირდებოდეს.

ევგენია რამდენიმე თვის წინ საქართველოშიც იმყოფებოდა. როკერ მეუღლესთან ერთად ის თბილისში ოჯახის მეგობრის ქორწილზე დასასწრებად ჩამოვიდა.

## ვიქტორ იანუკოვიჩმა 17-მილიონიანი თვითმფრინავი შეიძინა

– ევროპაში არ არსებობს არც ერთი პრეზიდენტი, რომელსაც საკუთარი თვითმფრინავი და რეზიდენცია არ გააჩნდეს, ამის შესახებ უკრაინის ვიცე-პრემიერმინისტრმა სერგეი ტიგიპკომ ტელეკომპანია „ინტერის“ ეთერით გამოსვლისას განაცხადა.

– იმისათვის, რომ სახელმწიფოს მეთაურმა საკუთარი უფლება-მოვალეობები კარგად განახორციელოს, გვინდა ეს ჩვენ თუ არ გვინდა, ამისათვის საჭიროა გარკვეული ნივთები, რისთვისაც ჩვენ უნდა გადავიხადოთ, - განაცხადა სერგეი ტიგიპკომ უკრაინის პრეზიდენტის მიერ საკუთარი თვითმფრინავის ყიდვასთან დაკავშირებით.

– ევროპაში თქვენ ვერ იპოვით ვერც ერთ პრეზიდენტს, რომელსაც საკუთარი თვითმფრინავი და რეზიდენცია არ გააჩნდეს, - განაცხადა ტიგიპკომ.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა იტალიურ-ამერიკული კომპანიისგან თვითმფრინავი უკვე შეიძინა, რომლითაც, უკრაინული მედიის ინფორმაციით, ძირითადად „ცეერუსა“ და „ეფბიაის“ აგენტები სარგებლობენ. თვითმფრინავის სავარაუდო ღირებულება კი 17 მლნ დოლარია.



უკრაინული მედიის ინფორმაციითვე, აშშ-ს პრეზიდენტის თვითმფრინავის ღირებულება, რომელიც „ვიაიპი“ ვერსიით სარგებლობს, 6 მლნ. დოლარს შეადგენს. ხოლო რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის თვითმფრინავი, რომელიც საჰაერო სივრცეში „მი-8“-თი გადაადგილდება, 5-8 მლნ. დოლარადაა შეფასებული.

ვიქტორ იანუკოვიჩმა სამსახურში ვერტმფრენით სიარულის სურვილი დიდი ხნის უკან დააფიქსირა. პრეზიდენტმა უარი განაცხადა ავტომობილზე და მეჟიგორიადან კიევში ვერტმფრენით 6 წუთში ჩადის.

უკრაინული მედია წერს, რომ იანუკოვიჩი, უკრაინის ბიუჯეტს, ყოველდღიურად 170 ათასი დოლარი უჯდება. პრესა ასევე აღნიშნავს, რომ პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის შენახვა, უკრაინას, მომდევნო ორი წლის განმავლობაში იმდენი დაუჯდება, რაც 700 ათას უკრაინელი ერთად.

როგორც გამოცემა „კორესპონდენტი“ იუწყება, ვიქტორ იანუკოვიჩის ყოველდღიური ხარჯები, დაახლოებით 170 ათასი დოლარია. ამ თანხაში შედის, სამოთახიანი ბინა ფეშენებელურ სახლში, კიევში.

აღნიშნული თანხის ნახევარზე მეტი, 91.5 ათასი დოლარი, სახელმწიფოს მეთაურისათვის კომფორტის შექმნაზე მიდის, რომელსაც საკუთარი სურვილით, მოკლებული იყო ქვეყნის წინა პრეზიდენტი, ვიქტორ იუშჩენკო.

ვერტმფრენის იჯარა და უმაღლესი კლასის თვითმფრინავი, სახელმწიფო რეზიდენციის რემონტი, სპეციალური გზის მშენებლობა, რომელიც მხოლოდ მის სახლამდე მისასვლელად იქნება განკუთვნილი და ა.შ. მხოლოდ ამ მიზნებისათვის, გამოცემის ანგარიშით, ნახევარი წლის განმავლობაში 50 მილიონია დახარჯული.

გარდა ამ დამატებითი ხარჯებისა, სახელმწიფო ყოველწლიურად გამოყოფს მნიშვნელოვნად დიდ თანხას პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციისათვის. დამატებითი ხარჯების გარეშე, მხოლოდ ოფიციალური ხარჯებისათვის 2010 წელს, პრეზიდენტისათვის ბიუჯეტიდან 30.5 მილიონი დოლარი გამოიყო, ხოლო მომდევნო, 2011 წელს, თითქმის მესამედით მეტი – 44 მილიონი დოლარი.

თუ წინა ორი წლის ანგარიშებს გავითვალისწინებთ, იანუკოვიჩის პრეზიდენტობა, მომდევნო ორი წელი, ძირითადი და დამატებითი ხარჯების გათვალისწინებით, მინიმუმ 124.5 მილიონი დოლარი დაჯდება. ეს ხმელნიცკის ოლქის წლიური ბიუჯეტის ნახევარია, სადაც 1.3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

„კორესპონდენტი“ ყურადღებას ამახვილებს, რომ იანუკოვიჩის მიერ პრესისთვის ნაჩვენები სახლი ერთადერთი არ არის, რომელსაც ის ფლობს. უფრო მდიდრულად გამოიყურება ამავე სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე ოთხსართულიანი სასახლე, რომელიც გამოცემის ინფორმატორის ცნობით, სწორედ იანუკოვიჩს ეკუთვნის.

აღნიშნული სახლის შეფასება, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება, რადგან ობიექტი დახურული და თანაც საკამოდ მასშტაბურია. მშენებლობა 130 ჰექტარზე მიმდინარეობს. ჟურნალისტებს, ამ ტერიტორიას, უკვე ორი წელია, დაცვა არ აკარებს. პრესაში გაჟონილი ფრაგმენტული ინფორმაცია კი, იმაზე მეტყველებს რომ, სახლის მფლობელი საკმაოდ ხელგაშლილია.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 30 იანვარი**

**07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ქართ. ფილმი **"ზოდიში, თქვენ გელით სიკვდილი"** **14.00** ჩვენი ფერმა **14.30** ჩვენი სამართალი **15.00** სერ. **"ზღვარს მიღმა"** **17.00** **კალათბურთი**. საქ. თასის ფინალური მატჩი **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი"** **21.00** სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.00** აუდიტორია **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **00.00** ღამის საუბრები **00.45** საფარი **01.15** მოამბე **01.35** მხ. ფილმი **"ამერიკული მთები"** (12) **03.40** მხ. ფ. **"მთვლემარე სიცარიელე"** (15) (ჯ. დეპი)

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფ. **"მოგზაურობა ადამიანის სხეულში"** **10.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.30, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"ტუტანჰამონის წყევლა"** **21.30** დოკ. ფილმი **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"შენნაირი ღიმილი"** (18)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** იღბლიანი ბორბალი **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.50** სერ. **"სახლი მეზობლად"** **22.00** ქართ. ფილმი **"დარჩი ჩემთან"** **23.30** შერეკილები (ახალი) **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** მხ. და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **19.05** სერ. **"ბედისწერის ძალა"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.50** ინტუიცია (გან.) **00.50** მხ. ფილმი **"საიდუმლო სია"** (15) (ჰ. ჯეკმანი) **03.10** მხ. ფილმი **"კრისტი"** (ლ. ლი სმიტი) **04.40** მხ. ფილმი **"წყალქვეშა საპყრობილე"** (12) (ს. სიგალი) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** პულსი **16.00** დოკ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ. **"ჯაშუში ქალი"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"ექიმი ქმორი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00** "დრო" **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50, 19.35** სერ. **"ოსტატი და მარგარიტა"** **13.50** 1000 წვრილმანი **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **16.30** დროის ვექტორი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 განთიადი **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე"** **13.40** კონცერტი – ნუნუ დუღაშვილი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი **"ნეაპოლი – მილიონერთა ქალაქი"** **17.15** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.40** ეთნოგრაფია წარსული **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი **"ქალაქი ანარა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **22.20** დოკ. ფილმი "ვაჟას ესკიზები" **22.35** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დრო და ტრადიციები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

**ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**30 იანვარი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,669

ევრო —2,1296

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5759

რუსული რუბლი — 0,0526

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 0—4, ღამით — -4 -1

**დასავლეთ საქართველო:** თოვლი, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2–5, ღამით — -3–0

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0–3, ღამით — -5 -2

ფვბუღბს გპჯუყჯპ #) ბფყღპბსსღბს




# 27 იანვრიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად




## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

მეორე ტომი

## 100 გამოჩენილი მხედართმთავარი

გამოსულია

„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

**პირველი ტომი – ტირანები**




გამოსაცემად მზადდება:

- **უდიდესი ბრძოლები**
- **100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია**
- **კანიბალიზმის ისტორია**
- **100 გამოჩენილი მეცნიერი**
- **მასონები – იდუმალი საძმო**
- **მაფიის ისტორია**

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

·ღსპფვ უფბსღფჟბცრბყცს=

fcnhjghjuyjpb

#) ბფყღპბსსღბს

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემა არ გაქვთ. **კურო** — სახლში დიდი სიხარული გელით. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — კარგ ხასიათზე ხართ და ამის მიზეზი ნამდვილად გაქვთ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ ინტუიციას ენდეთ. **სასწორი** — გახარებული ხართ, ოჯახში ბედნიერებაა. **ღრიანკალი** — გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, გელით სხვა სიახლეც. **მშვილდოსანი** — იმიჯის შეცვლა ამ ეტაპზე საუკეთესო გამოსავალია. **თხის რქა** — პატარა პრობლემას ადვილად მოაგვარებთ, მთავარია არ შეშინდეთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერი კარგად არის. **თევზები** — არ გარისკოთ, ჩვეულ რიტმს დაუბრუნდით.

უბცეპღტ,ს ,ტცყბტპ ცქტს=

# თეონა ქუმსიაშვილის ცრემლიანი დაბადების დღე

*ეკა ირემაშვილი*

27 იანვარს თეონა ქუმსიაშვილს 28 წელი შეუსრულდებოდა. ამ დღეს მისი ხსოვნის საღამო გაიმართა. საღამოს ორგანიზატორები მისი მეუღლე, პოეტი გელა დაიაური და მათი ოჯახის მეგობარი, ფოტორეპორტიორი პაატა ვარდანაშვილი იყვნენ.

ამ საღამოზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ თეონას ახლობლები, ნაცნობები და მისი შემოქმედების მოყვარულები. დარბაზი ხალხს ვერ იტევდა.

საღამო, როგორც მოსალოდნელი იყო, ცრემლიანი გამოდგა. ამ საღამოს შესრულდა თეონას სიმღერები. წაიკითხეს მასზე და მის მიერ დაწერილი ლექსები. საღამო მიჰყავდა მამა პეტრეს. 27 იანვარი მამა პეტრეს დაბადების დღეც იყო. მას 33 წელი შეუსრულდა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე



# 18 იანვრიდან

ეუბრფკეპბ გპჯტმნბ

„ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება უნიკალური პროექტის

## „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“

მე-18 ტომი

# ფვეყლსტყბ

**უფპტსბ ლფ ოზუყბ ტპსფლ * კფპბ**

hპჯცღჯპღბ

**თარაზულად:** 5. თავისუფალი სამუშაო ადგილი დაწესებულებაში; 6. ზებრისა და ცხენის ნაჯვარი; 10. წნელით დაწნული ჭურჭელი მოგრძო ფორმის; 11. ბუნების მძლავრი მოვლენა; 12. რაიმე სამუშაოს შესასრულებელი იარაღი; 17. იატაკის საცხი; 18. მაყურებლის ადგილი თეატრში; 19. გამანადგურებელი ქარიშხალი; 20. ეკრანი.

**შვეულად:** 1. ჩაუკეტავი მრუდი [მათემატ.]; 2. ძლიერ შხამიანი გველი; 3. გონების უეცარი დაბინდვა დროებით; 4. სასუნთქი გზების მომწამვლელი ნივთიერება; 7. მსხვილი სამრეწველო საწარმო; 8. უბედურება, ვაი-ვაგლახი; 9. მოკლე დროით რამდენიმე ბანკის გაერთიანება; 13. ოთხკუთხედი; 14. დერეფანი; 15. ხელოვნური ბოჭკო; 16. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საფრანგეთსა და ბელგიაში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ.*

